

სახელმეკრულებო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. ნასყიდობა

ნასყიდობის საგნის ღირებულების ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-75-71-2017

31 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „მ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის მონინალმდებე მხარე ან გამყიდველი) სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინალმდებე მხარე ან მყიდველი) მიმართ და მოითხოვა საქონლის ღირებულების – 130 000 ლარის, პირგასამტეხლოს – 2 600 ლარისა და საბანკო გარანტიის საფუძველზე მიღებული თანხის – 6 220 ლარის ანაზღაურება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2013 წლის 8 ნოემბერს მხარეთა შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, რომლის პირობებიც დაზუსტდა 2013 წლის 15 ნოემბერს და საბოლოოდ მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა მიენიშებინა 303 000 ლარის ღირებულების საქონელი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოსარჩელემ შეასრულა სრულად და გააფორმა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. მოპასუხემ გადაიხადა მხოლოდ საქონლის ღირებულების ნაწილი – 173 000 ლარი, ხოლო დავალიანება შეადგენს 130 000 ლარს. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამყიდველის მიერ წარდგენილ იქნა ასევე საბანკო გარანტია, რომლით გათვალისწინებული თანხაც – 6 220 ლარი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მიიღო შემქმნმა, რადგანაც ხელშეკრულება გამყიდველს არ დაურღვევია. გარდა ამისა, სახელმწიფო შეს-

ყიდვების შესახებ ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდაზე ვალდებულების დარღვევისას, მოპასუხე ამ შეთანხმებიდან გამომდინარე, ვალდებულია აანაზღაუროს 2 600 ლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით მოითხოვა, რომ გამყიდველმა ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა. ხელშეკრულების მე-10 პუნქტით განსაზღვრულია შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი, რომლის დაცვაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. ამ თვალსაზრისით საქმეში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები: საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა. საყურადღებოა, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების სანინააღმდეგოდ განხორციელებული შესრულება, რადგანაც საქონელი იყო უხარისხო, უკან დაუბრუნდა გამყიდველს, ხოლო პროდუქციის იმ ნაწილის ღირებულება, რომელიც ჯეროვნად იქნა მიწოდებული, წარმოადგენდა არა 173 000, არამედ – 166 617 ლარს და ეს თანხა ანაზღაურებულია. მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ შემძენს საქონელი დადგენილ ვადაში არ მიუწოდებია, შესაბამისად, ხელშეკრულების 16.6 პუნქტზე დაყრდნობით მას დაეკისრა პირგასამტეხლო 6 060 ლარის ოდენობით, თუმცა, მიუხედავად შეტყობინების გაგზავნისა, მას ეს თანხა არ აუნაზღაურებია, რის გამოც, ამავე ხელშეკრულების 11.2 პუნქტზე დაყრდნობით, მოპასუხემ, როგორც საბანკო გარანტიის ბენეფიციარმა, გარანტისაგან მოითხოვა და მიიღო დარიცხული პირგასამტეხლო.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აპელანტის სასარგებლოდ დაეკისრა 74 285,71 ლარის, ასევე, პირგასამტეხლოს – 1 485,72 ლარის ანაზღაურება.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. ვიდრე საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის კვლევას შევუდგებოდეთ, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს შეფასების საგანზე. განსახილველი დავის საგანს ნასყიდობის საგნის ღირებულების, ვალდებულების დარღვევის გამო პირგასამტეხლოსა და ბენეფიციარის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რა სარჩელი, სააპელაციო პალატამ გამყიდველის სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის (ნივთობრივი ნაკლის არმქონე) შესაბამისი შესრულების პროპორციული ღირებულების ანაზღაურებისა და ანაზღაურების დაყოვნების გამო შემძენისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში. რაც შეეხება საბანკო გარანტიის საფუძველზე ბენეფიციარის მიერ ჩათვლილ თანხას, ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში და საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ

იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი არ ეთანხმება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას და საკასაციო საჩივრის პრეტენზიებს სწორედ სამართლის ნორმათა დარღვევაზე აფუძნებს. საკასაციო შედავების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე:

1.2.1. 2013 წლის 8 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №707 ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი №1-ის შესაბამისად, შემძენისათვის მიენოებინა საქონელი (ზამთრის საცვალე და წინდა). ხელშეკრულების მოქმედება განისაზღვრა 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით;

1.2.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით, მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 311 000 ლარს და მოიცავდა მიწნოდების ყველა ხარჯს. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრა ხელშეკრულების დანართი №1-ით;

1.2.3. 2013 წლის 15 და 19 ნოემბრის შეთანხმების ოქმებით შეტანილ იქნა ცვლილება ხელშეკრულების დანართი №1-ში და მისაწოდებელი საქონლის ოდენობის შესაბამისად, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 303 000 ლარით. ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, ერთი ერთეული ზამთრის საცვლის ღირებულება შეადგენდა 13 ლარს;

1.2.4. ხელშეკრულების 10.1. პუნქტით განისაზღვრა გამყიდველის მიერ საქონლის გადაცემისა და მყიდველის მიერ მისი მიღების დადასტურების წესი: მიღება დასტურდებოდა ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. 10.2 პუნქტით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისათვის საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

10.3 პუნქტით კი, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი საქონლის საბოლოო მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარმოადგენდა და ანგარიშსწორების ვალდებულებას არ წარმოშობდა. 10.4 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე თუ:

- იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო);

- მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში);

- მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები;

- სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

- ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია;

- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

1.2.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდა 2 ეტაპად. პირველი ნაწილის თანხა – 166 617 ლარი შემქმნმა გადაიხადა სრულად. სადავოს წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ 2013 წლის 18 და 26 დეკემბერს მიწოდებული საქონლის ღირებულების (10 500 ცალი ზამთრის საცვალი) ანაზღაურების საკითხი, რომელზეც გაფორმებულია დროებითი შენახვის აქტები №136, №142. დროებითი შენახვის №136 აქტის თანახმად, გამყიდველმა 2013 წლის 8 ნოემბრის №707 ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველს მიაწოდა 70 ტომარა ზამთრის საცვალი, რაზეც მიმღებსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდა დროებითი შენახვის აქტი. 2013 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №142 დროებითი შენახვის აქტის თანახმად კი – 37 ტომარა ზამთრის საცვალი, რაზეც მიმღებსა და მიმწოდებელს შორის ასევე გაფორმდა დროებითი შენახვის აქტი. გამყიდველის მიერ მყიდველის სანივთე ბაზაზე ჯერ 7 000 ერთეული, ხოლო შემდეგ – 3 500 ერთეული საქონლის შეტანას, რომელიც ბაზის საცავში დასაწყობდა და შედგა დროებითი შენახვის აქტი ადასტურებს მოპასუხის 2014 წლის 2 დეკემბრის წერილი;

1.2.6. მიწოდების შემდეგ მოხდა ზამთრის საცვლების გადარჩევა. 6 000 ცალი იყო ხარისხიანი, ხოლო 4 500 – პატარა ზომის. აღნიშნული პროდუქცია მოპასუხემ დაუბრუნა მიმწოდებელს,

კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 21 თებერვლის №39 აქტის თანახმად, სანივთე ბაზის პირველი შენახვის ქვეგანყოფილების საცავიდან მოსარჩელის წარმომადგენელმა გაიტანა დროებით შენახვაზე დადებული 10 500 ერთეული ზამთრის საცავალი.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა-შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. ვინაიდან კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ მათ სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

1.4. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მყიდველს არ შეიძლება დაეკისროს ნასყიდობის საგნის ღირებულების ანაზღაურება იმ პირობებში, როდესაც მას ქონება (ნასყიდობის საგანი) საკუთრებაში არ გადასცემია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მხარეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ ძირითად ნორმას სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ნასყიდობა სინალაგმატური, კონსესუალური გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე – მყიდველს გააჩნია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. ნორმის პირველი ნაწილი ადგენს გამყიდველის ვალდებულებას, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ნასყიდობის საგნის, ისე – ამ საგანზე ნამდვილი უფლების გადაცემით (მაგ: ნივთის პირდა-

პირი მფლობელისაგან გამოთხოვის უფლება). კანონი ნასყიდობის ნამდვილობისათვის რაიმე შეზღუდვას არც ერთი ხსენებული წესის მიმართ არ ადგენს და როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში (ბუნებრივია, მხარეთა შეთანხმების პირობებში) გამყიდველის მხრიდან ვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევს. სწორედ ამ წესის დაცვის შემდგომ წარმოეშვება გამყიდველს შემძენისაგან საპასუხო შესრულების (ფასის გადახდა) მოთხოვნის უფლება (იხ. სუსგ-ები: №ას-793-760-2016, 20 იანვარი, 2017 წელი; №ას-671-642-2016, 20 იანვარი, 2017 წელი). ნასყიდობა, როგორც სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი კერძო ინსტიტუტი, ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით, წესრიგდება სახელშეკრულებო სამართლისათვის კანონით დადგენილ ყველა იმ ზოგად რეგულაციასთან ერთობლიობაში, რომლებიც ვალდებულების შესრულების სტანდარტს ადგენენ. ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები სამოქალაქო კოდექსის უზოგადესი პრინციპი, რომლის თანახმადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სკ-ის 361.2 მუხლი). კანონის მოხმობილი დანაწესი ადგენს სამოქალაქო ურთიერთობისათვის მახასიათებელ შესრულების პრინციპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი ძირითადად ორიენტირებულია ვალდებულების შესრულებაზე, რის გამოც, სამართლის თეორიაში დამკვიდრდა გაბატონებული შეხედულება კრედიტორის მოთხოვნების კლასიფიკაციისა, რომელთაგან პირველს შესრულების, ხოლო მეორეს – ზიანის ანაზღაურების, ე.წ. მეორადი მოთხოვნები ეწოდება. სწორედ ვალდებულების შესრულების აუცილებლობიდანაა ნაკარნახევი სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრებული ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტიც (სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები) და საკითხის მარეგულირებელი დანაწესების სისტემურ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ კრედიტორს, თუკი არ არსებობს პატივისაღები ინტერესი, უპირატესად ევალება ვალდებულების შესრულებაში მოვალისათვის ხელშეწყობა, მათ შორის დამატებითი ვადის დაწესების გზით, რათა მიღწეულ იქნას სახელშეკრულებო შეთანხმების საგანი (შესრულების მოთხოვნა). ამ მხრივ, კანონი თავად ადგენს კეთილსინდისიერების სტანდარტს, რაზეც სააპელაციო სასამართლომაც მიუთითა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (სკ-ის 8.3 და 115-ე მუხლები), თუმცა, სასამართლო წესით საქმის განხილვისას უპირობოდაა გასათვალისწინებელი საპროცესო სამართლით დადგენილი პრინციპები, რომელთაგან ერთ-ერთი დისპოზიციურობაში ვლინდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლიდან გამომ-

დინარე, მხარე არა მხოლოდ დარღვეული უფლების დაცვის ფარგლებშია აღჭურვილი შესაძლებლობით მიმართოს სასამართლოს, არამედ, თავადვე განსაზღვრავს დავის საგანს იმგვარად, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს მასში, მხარის დისპოზიციური ნების ფარგლებში სასამართლომ უნდა დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და მათი სწორი იურიდიული კვალიფიკაციის შედეგად გადანყვიტოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

1.5. განსახილველ შემთხვევაში, როგორც სარჩელის, ისე – სააპელაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ მოსარჩელე ძირითადად ხელშეკრულების შესრულების და არა მეორეადი მოთხოვნის წარმომშობ ფაქტებზე მიუთითებს. მას სასამართლო წესით არ უთხოვია მყიდველის დავალდებულება, მიიღოს ნასყიდობის საგანი ან/და მიღებულად ჩაითვალოს იგი. აღნიშნულის პარალელურად დადგენილია და მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია კასატორის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით განხორციელებული შესრულების (ნასყიდობის საგანი) მისთვის დაბრუნების ფაქტი, შესაბამისად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად, მყიდველი ვადიდა ხელშეკრულებიდან გამყიდველის მიერ შესრულების ვადის დარღვევის გამო და მხარეთა შორის განხორციელდა რესტიტუცია – მოსარჩელეს დაუბრუნდა ვადის დარღვევით მიწოდებული საქონელი. ხელშეკრულებიდან კრედიტორის გასვლა მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია (შესაბამისად, მის მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერების კვლევას საკუთარი ინიციატივით ვერ შეუდგება საკასაციო პალატა) და არც იმგვარ ფაქტებზე მიუთითებია, რასაც სამოქალაქო კოდექსი შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტად განიხილავს (მაგ: სკ-ის 434-ე მუხლით განსაზღვრული დეპონირება). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პირის დავალდებულებას, შეასრულოს ვალდებულება. კანონის სხვაგვარი განმარტება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას დაარღვევს და გამოიწვევს და ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და გამყიდველის ქონებრივი რესტიტუციის გამო არ არსებობს მყიდველისათვის იმ საქონლის ღირებულების დაკისრების წინაპირობა, რომელზეც მას საკუთრების უფლება არ გადასცემია.

1.6. რაც შეეხება პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხს, პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ამ ნაწილშიც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ანაზღაურების წინაპირობად განიხილება ვალდებულების დარღვევა. ამავე კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით კი, კრედიტორს პასუხისმგებლობა (ნასყიდობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მხარეები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენენ როგორც კრედიტორს, ისე – მოვალეს) წარმოეშობა თუ იგი არ იღებს იმ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ კრედიტორმა (ამავდროულად მოვალემ) უარი განაცხადა ნაკლის არმქონე იმ შესრულების მიღებაზეც, რომელიც ვადის დარღვევით განახორციელა გამყიდველმა, შესაბამისად, მას არც ანაზღაურების ვალდებულება წარმოშობია, რაც სავსებით ამოორიციხავს პირგასამტეხლოს მყიდველისათვის დაკისრებას.

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადის ნაწილში (სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში) არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო ნორმათა დარღვევის გამო საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან უდავოა, რომ გამყიდველმა დაარღვია ვალდებულება, ხოლო მყიდველმა უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე, ამასთანავე, დააბრუნა ვადის დარღვევით გადაცემული ნასყიდობის საგანი, შესაბამისად, არ არსებობს მისთვის ნასყიდობის საფასურისა და პირგასამტეხლოს დაკისრების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო პალატამ 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებით აპელანტს (მოსარჩელე) გადაუფადა სახელმწიფო ბაჟის – 5 552,8 ლარის გადახდა

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. უდავოა, რომ კასატორი, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების გათვალისწინებით კი, ამ ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა 3 788,57 ლარს (იხ. სსკ-ის 39.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, 41.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 391.3 მუხლი).

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ განეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის განთავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზედაც მას უარი ეთქვა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 5 552,8 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადასახდელი 3 788,57 ლარის, სულ – 9 341,37 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. შპს „მ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „მ-ის“ სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

ტროს მიმართ, 2013 წლის 8 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №707 ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. შპს „მ-ს“ (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.11.2015წ. განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 5 552,8 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადასახდელი 3 788,57 ლარის, სულ – 9 341,37 ლარის გადახდა.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ერთობლივი საქმიანობა

ამხანაგობის წევრობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-866-808-2017

17 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფიზიკურმა პირებმა: დ. დ-მ, პ. გ-მა, ი. კ-მ, გ. მ-ემ, პ. ხ-მა და პ. ბ-მ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დამფუძნებლები) 2005 წლის 28 ნოემბერს დააფუძნეს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინალმდებელი მხარე ან ამხანაგობა), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, ქ. თბილისში, მდებარე მიწის ნაკვეთების „გეგმით განსაზღვრულ დაახლოებით 2832 კვ.მ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და მათ ნაცვლად ახალი მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 930-ე და მომდევნო მუხლი).

2. დამფუძნებლებმა ერთობლივი საქმიანობის წერილობითი ხელშეკრულება სანოტარო წესით დაამოწმეს. შეთანხმების ხელმოწერის დროისათვის ამხანაგობას მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი (პ. გ.) პირობადადებული საკუთრების უფლებით გადასცემდა ქ. თბილისში, მდებარე 2832 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, ხოლო დანარჩენ წევრებს ფულადი ან არაფულადი შენატანები უნდა განეხორციელებინათ (სსკ-ის 188-ე, 931-ე-932-ე მუხლები).

3. 2008 წლის 15 ოქტომბერსა და იმავე წლის 20 ოქტომბერს, ერთ შემთხვევაში, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობასა და მ. კ-ქს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, რო-

გორც პირველი მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან შემკვეთი) შორის და, მეორე შემთხვევაში, ამხანაგობასა და გ. ო-ს (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან შემკვეთი) შორის დაიდო შეთანხმებები, რომლებიც დასათაურდა, როგორც „ამხანაგობაში განწერიანების შესახებ“ ხელშეკრულებები. ამ შეთანხმებების თანახმად, ქ. თბილისში,, ასაშენებელ სახლში, მოპასუხეებს განსაზღვრული ოდენობის თანხის სანაცვლოდ, კონკრეტული ფართები უნდა გადასცემოდათ.

4. პირველ მოპასუხეს აშენებულ უძრავ ნივთზე საკუთრება 46 120, ხოლო მეორე მოპასუხეს კი, 37950 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ გადაეცემოდა. მითითებული თანხები მოპასუხეებმა ამხანაგობას სრულად გადაუხადეს.

5. თავის მხრივ, ამხანაგობამ (მოსარჩელემ) მოპასუხეებს საკუთრებაში გადასცა შეთანხმების საგანი.

6. 2013 წლის 19 აპრილს, ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მენაშენეთა მიერ თანხის დამატებაზე (დარჩენილი სამუშაოების შესრულების მიზნებისათვის), რაც შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, განისაზღვრა 43 აშშ დოლარით 1 კვ.მ-ზე. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამხანაგობის წევრების გარკვეულმა ნაწილმა ამხანაგობაში დამატებითი თანხები შეიტანა.

7. 2013 წლის 19 სექტემბრის კრების ოქმის მიხედვით, ამხანაგობის იმ წევრებს, რომლებმაც არ გადაიხადეს 2013 წლის 19 აპრილის კრების ოქმით დადგენილი თანხა, დამატებითი ვადა განესაზღვრათ. მოპასუხეებმა არც ამ ვადაში ამხანაგობის გადაწყვეტილებით დადგენილი დამატებითი თანხები არ გადაიხადეს.

8. 2014 წლის 5 თებერვალს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ, პირველი მოპასუხისათვის, დამატებით – 3376.36, ხოლო მეორე მოპასუხისათვის – 3008.28 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეები წარმოადგენენ ამხანაგობის მონაწილე პირებს, რომელთაც ამხანაგობის წინაშე ფულადი ვალდებულება გააჩნიათ, მათი მხრიდან თანხის გადაუხდელობა კი, აბრკოლებს ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის მიზნის საბოლოოდ მიღწევას. მან მიუთითა 2013 წლის 19 აპრილს გამართულ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა მშენებარე საცხოვრებელი სახლის ე.წ. „შავ კარკასამდე“ მიყვანისათვის, არსებული ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მენაშენეთა მიერ თან-

ხის დამატება, რაც შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საცხოვრებელი სახლის თითოეული მესაკუთრისათვის 1 კვ.მ-ზე 43 აშშ დოლარით განისაზღვრა. ამხანაგობის წევრების მიზანი იყო, რომ ერთიანი ძალითა და კრიზისული სიტუაციის სწორი მართვით დასრულებულიყო სამშენებლო სამუშაოები. გასათვალისწინებელი იყო, რომ ამხანაგობის წევრთა უმრავლესობის მიერ დამატებითი თანხების გადახდამ შედეგობრივად გამოიწვია ის, რომ მშენებარე ობიექტზე არ შეჩერებულა სამშენებლო სამუშაოები, ასაშენებელი 18 დონიდან აშენდა 18 დონე, ამასთან, დასრულდა შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები. მოსარჩელის მტკიცებით, ამხანაგობის წინაშე არსებობს სხვა სახის სერიოზული გამოწვევები, რაც ერთობლივი საქმიანობის მიზნების მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა გადაიჭრას. ყურადსაღებია, რომ ამხანაგობას გააჩნია ფულადი ვალდებულება ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წინაშე – გადასახდელია მრავალფუნქციური ობიექტის კოეფიციენტის მოსაკრებელი, 458 659 ლარი, იმ შემთხვევაში კი, თუ ამხანაგობა შენობას ექსპლუატაციაში ვადაში ჩააბარებს, ეპატიება არსებული კოეფიციენტის დავალიანება. ამხანაგობის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ ვალდებულებას ასრულებს კეთილსინდისიერად, დამატებით ფულად თანხას იხდიან დროულად, ერთჯერადად ანდა გარკვეული პერიოდულობით, ხოლო მოპასუხებთან ეს საკითხი გადაუწყვეტელია, რადგანაც, ისინი უარს აცხადებენ დამატებითი თანხების გადახდაზე.

9. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და წარდგენილი შესაგებლებით გამოიციხეს მოთხოვნა. პირველი მოპასუხის განმარტებით, მან სრულად შეასრულა 2008 წლის 15 ოქტომბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და ამხანაგობას გადაუხადა უძრავი ნივთის საფასური. ამ უკანასკნელმა მას საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, მდებარე საცხოვრებელი ბინა 77 კვ.მ (ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში), ასევე, ავტომანქანის სადგომი. დამატებითი თანხის შეტანასთან დაკავშირებით მოპასუხეს არ შეთანხმებია, შესაბამისად, ის არ იყო ვალდებული მოთხოვნილი თანხის გადახდაზე. მეორე მოპასუხის მტკიცებით, მხარეებს შორის 2006 წლის 24 იანვრისა და 2008 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულებებით დამატებითი შენატანის პირობები განსაზღვრული არ ყოფილა, ამდენად, ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, მისი ე.წ. „ჩვეულებრივი წევრისთვის“ დამატებითი შენატანების განხორციელება მოეთხოვა. გარდა ამისა, ამხანაგობის წევრებმა გადაწყვეტილებები წესების დარ-

ღვევით მიიღეს, რაც გარიგებების უცილოდ ბათილობის საფუძველი იყო. მოპასუხის მითითებით, კონკრეტული წევრების მიერ კრების ოქმის საფუძველზე, ამხანაგობაში დამატებითი შენატანის განხორციელება არ მიუთითებდა სხვა წევრების ვალდებულების წარმოშობაზე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, ამხანაგობის სარჩელი დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს 3376.36 აშშ დოლარის, ხოლო მეორე მოპასუხეს 3008.28 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 317-ე, 930-ე, 932-ე, 934-ე, 937-ე მუხლები.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები და მიუთითა, რომ ამხანაგობის წინაშე არსებული პრობლემური საკითხები უნდა გადაჭრილიყო ერთობლივი საქმიანობის მიზნების მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამხანაგობის მოთხოვნა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი – დამატებითი თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე, დასაბუთებული იყო;

12.2. სააპელაციო პალატის განმარტებით, ამხანაგობასა და მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მოპასუხეებმა აღიარეს 2005 წლის 28 ნოემბრის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მიზნები, დაეთანხმნენ ამხანაგობაში განევრიანების პირობებსა და წევრების უფლება-მოვალეობებს, ასევე იკისრეს ვალდებულება, განუხრელად დაეცვათ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით წევრებისათვის დადგენილი ვალდებულებები. ამდენად, პალატის დასკვნებით, ისინი ვალდებული იყვნენ არა მხოლოდ განეხორციელებინათ მითითებული ხელშეკრულებით დადგენილი შენატანი, არამედ, დამორჩილებოდნენ და შეესრულებინათ ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება, დამატებითი თანხების შეტანის თაობაზე.

13. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გა-

დანყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. კასატორების მოსაზრებით, სასამართლომ უნდა იმსჯელოს მათი, როგორც ამხანაგობის წევრების სამართლებრივ ბუნებასა და სტატუსზე, კერძოდ, შესაფასებელია, ისინი წარმოადგენენ ამხანაგობის დამფუძნებელ თუ ე.წ. „ჩვეულებრივ წევრებს“. კასატორების განმარტებით, ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს მათივე ნაკისრი ვალდებულებებისა და უფლებების განსაზღვრისათვის;

13.2. კასატორების მტკიცებით, მათ დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება რაიმე ფორმით არ აუღიათ;

13.3. კასატორების მითითებით, 2013 წლის 19 სექტემბრის კრების ოქმი კანონსაწინააღმდეგო გარიგება იყო და სააპელაციო სასამართლოს მათი მითითება ამ კრების ოქმის ბათილობაზე, საკმარისად უნდა ჩაეთვალა მისი კანონიერების შესასწავლად. ასევე, ყურადსაღებია, რომ აღნიშნულ ოქმს ხელს მხოლოდ ორი პირი აწერს, შესაბამისად, არასანდოა ის მითითებაც, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას ამხანაგობის 87-მა წევრმა დაუჭირა მხარი;

13.4. კასატორების განმარტებით, 2013 წლის 19 აპრილის სხდომის ოქმი რომლითაც, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დამატებითი შენატანების განხორციელების შესახებ, საერთოდ არ არის წარმოდგენილი საქმეში.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრები დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ იქნეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამარ-

თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინეს.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო ხასიათის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმების საფუძველზე, ამ ურთიერთობის მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სამართლის ნორმა (ნორმები) პირს უნდა ანიჭებდეს უფლებას, მოსთხოვოს ვალდებულ პირს, შეასრულოს სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან (სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ყოველთვის წარუმატებელი იქნება, თუ არ არსებობს კანონის ნორმა, საიდანაც გამომდინარეობს ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს (შდრ. სუსგ საქმე №ას-245-233-2017 6.06.2017). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას – მოპასუხეებისათვის ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრების თაობაზე, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. 2008 წლის 15 და 20 ოქტომბრის ხელშეკრულებები, რომელსაც ის ეყრდნობა, ასეთი მოთხოვნის წარდგენის საშუალებას მას არ აძლევს, რადგანაც მოპასუხეებს სრულად შესრულებული აქვთ მითითებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და, აქედან გამომდინარე, ფულადი ვალდებულება შეწყვეტილია (სსკ-ის 427-ე მუხლი). აღნიშნული ხელშეკრულებების სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით საკასაციო სასამართლო ამხანაგობის ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა 2008 წლის 15 და 20 ოქტომბრის შეთანხმებები დაასათაურეს, როგორც „ამხანაგობაში განწვერიანების შესახებ“ ხელშეკრულება, ის ამხანაგობაში მოპასუხეების განწვერიანე-

ბის საფუძვლად ვერ მიიჩნევა, რადგანაც 2005 წლის 28 ნოემბრის სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნდა წარმოშობოდათ მოპასუხეებს ე.წ. „ჩვეულებრივი წევრის“ უფლება-მოვალეობები, სანოტარო წესით იქნა დამოწმებული, ანუ მხარეებმა გარიგების ნამდვილობა წერილობითი შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმებას დაუკავშირეს და, აქედან გამომდინარე, ამხანაგობაში განეწვერიანებასთან დაკავშირებით ყველა შემდგომი გარიგებაც სანოტარო წესით უნდა დამოწმებულიყო (სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც მოპასუხეების შემთხვევაში დაცული არ ყოფილა და შესაბამისად, მათ არ წარმოემოზოდათ საერთო საქმიანობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები.

17. გარდა ამისა, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას თავისი სპეციფიკა გააჩნია. სსკ-ის 930-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე. პალატას მიაჩნია, რომ ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ამხანაგობაში მხოლოდ იმ მიზნით განეწვერიანდნენ, რომ ამხანაგობისაგან ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათთვის ბინა აეშენებინა. პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შექმნა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის დასახელებული წევრები პასუხისმგებელი არიან ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე და მათი მი-

ზანი აღნიშნულ ამხანაგობაში არა მხოლოდ შენატანის პროპორციული უძრავი ქონების მიღება, არამედ ამხანაგობის შემოსავლებში მონაწილეობა და მოგება-ზარალის განაწილებაცაა (სსკ-ის 931-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, 935-ე მუხლები). განსახილველ შემთხვევაში კი, ამხანაგობის ე.წ. „ჩვეულებრივ წევრებს“, ამ შემთხვევაში მოპასუხეებს, ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, სრული უფლებამოსილება არ გააჩნდათ და ისინი მხოლოდ აშენებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლებით იყვნენ აღჭურვილნი (იხ. შდრ. სუსგ, საქმე №ას-482-458-2013 16.01.2014წ.; საქმე №ას-630-597-2014, 28.07.2015 „იმისათვის, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება გაიმიჯნოს ნარდობის ხელშეკრულებისაგან, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დავახასიათოთ ამხანაგობის ხელშეკრულების ის მხარეები, რომლითაც იგი ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს წევრებისგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თვისებურებები. როდესაც ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ. ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით“).

18. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მათ სახელშეკრულებო თვითბოჭვის ფარგლებში იკისრეს ვალდებულება, ერთობლი-

ვად ემოქმედათ ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად ამხანაგობის მიზნების მისაღწევად და ამ მიზნების მიღწევისას წარმოშობილ ვალდებულებებზე აიღეს პასუხისმგებლობა. ამდენად, პალატის მოსაზრებით, ამხანაგობაში განწევრიანების შესახებ ხელშეკრულებებში, მოპასუხეების ამხანაგობის წევრებად მოხსენიება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ აღნიშნული პირები ამხანაგობის მონაწილე წევრებად და მის ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირებად მივიჩნიოთ.

19. ამრიგად, 2008 წლის 15 და 20 ოქტომბრის შეთანხმებები სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საერთო საქმიანობის სამართლებრივ ურთიერთობად და არასწორად გამოიყენა 930-ე და მომდევნო მუხლები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნების გაზიარების შემთხვევაშიც კი, არ იარსებებდა სარჩელის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც 2013 წლის 19 აპრილისა და 19 სექტემბრის კრებას მოპასუხეები არ ესწრებოდნენ და მათ არ აუღიათ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება. ამხანაგობასა და მოპასუხეებს შორის ურთიერთობა ნარდობად უნდა შეფასდეს და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (სსკ-ის 629-ე და მომდევნო მუხლები). სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ანუ, ნარდობის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ შემკვეთი საკუთრების უფლებას იძენს შესრულებული სამუშაოს რეზულტატზე, რისთვისაც იხდის კონკრეტულ საზღაურს. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2008 წლის 15 ოქტომბერს, ამხანაგობასა და პირველ მოპასუხეს შორის, ხოლო 2008 წლის 20 ოქტომბერს, ამხანაგობასა და მეორე მოპასუხეს შორის ხელშეკრულებები დაიდო, რომელთა თანახმად, პირველ მოპასუხეს ამხანაგობაში 46 120, ხოლო მეორე მოპასუხეს, 37 950 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის შენატანი უნდა განეხორციელებინა. შენატანების სანაცვლოდ, ქ. თბილისში,, ასაშენებელ სახლში, პირველ მოპასუხეს 77 კვ.მ ფართის საცხოვრებელი ბინა, ასევე, ავტომანქანის სადგომი (15 კვ.მ), ხოლო მეორე მოპასუხეს, 69.04 კვ.მ ფართის საცხოვრებელი ბინა უნდა გადასცემოდა საკუთრებაში. შესაბამისად, შინაარსობრივად ხელშეკრულების დადების მიზანი იყო შესრულებული სამუშაოს რეზულ-

ტატის, კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა, რისთვისაც მოპასუხეები ახორციელებდნენ არა არაფულადი სახის რაიმე შენატანს, არამედ იხდიდნენ კონკრეტული ფართის ბინის განსაზღვრულ ღირებულებებს. საკასაციო პალატის განმარტებით, მოპასუხეებთან დადებული ხელშეკრულებებით ცალსახად დგინდება, რომ მათი ინტერესი შემოიფარგლებოდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ფართის (ბინის) მიღებით. მათ ხელშეკრულება გააფორმეს უკვე შექმნილ ამხანაგობასთან. შესაბამისად, მათ ამხანაგობის დამფუძნებლებისაგან განსხვავებული სამართლებრივი კავშირი აქვთ ამხანაგობასთან. ისინი ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები კი არ გახდნენ, არამედ შეთანხმებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ აშენებულ მრავალბინიან კორპუსში გახდნენ განსაზღვრული ფართის მესაკუთრეები. რადგანაც განსახილველ შემთხვევაში, ნარდობა არ ითვალისწინებდა უძრავი ნივთის დამზადებას (აშენებას) მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (სსკ-ის 629.2 და 631.1 მუხლები), ამხანაგობას (მენარდეს) არ შეუძლია, მოითხოვოს შეთანხმებულ საზღაურზე მეტი.

20. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

21. ამდენად, მოსარჩელეს კასატორების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელების მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, 695 ლარისა (პირველი მოპასუხის სასარგებლოდ) და 621.3 ლარის (მეორე მოპასუხის) ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე

და 1991-ე მუხლებით და

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ-ს“ (ს/ნ) მ. კ-ძის (პ/ნ) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 695 (ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის ანაზღაურება;
6. ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ-ს“ (ს/ნ) გ. ო-ის (პ/ნ) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 621.3 (ექვსას ოცდაერთი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარის ანაზღაურება;
7. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ ნაწილში, რომლითაც:
 - 7.1. მ. კ-ძეს (პ/ნ) აეკრძალა, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი,, სადარბაზო 1, სართული 8, ბინა 40, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი გასხვისება;
 - 7.2. გ. ო-ს (პ/ნ) აეკრძალა, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი,, სადარბაზო 2, სართული 3, ბინა 94, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი გასხვისება;
8. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სსსსი

ვალდებულების შესრულება სსსსის ზაპირი ხელშეკრულების საფუძველზე

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1067-1026-2016

23 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: სსსსის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-
ლების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-
ფუძვლები:**

1.1. ზ. მ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი, მეორე კასატორი, გამსესხებელი ან კრედიტორი) სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში შპს „რ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, მეორე
აპელანტი, პირველი კასატორი, მსესხებელი, მოვალე ან კომ-
პანია) მიმართ მოპასუხისათვის სსსსის ძირი თანხის – 1 516 461
ლარის, საპროცენტო სარგებლის – 606 925 ლარისა და ვალდე-
ბულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის (მიუღებელი
შემოსავლის) – 181 976 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:
2005 წლის აპრილში მოსარჩელესა და მოპასუხის დირექტორ ბ.
მ-ს შორის დაიდო სსსსის ზეპირი ხელშეკრულება, რომლის სა-
ფუძველზეც 2005 წლის 27 აპრილამდე კომპანიისათვის უნდა გა-
ესესხებინა 300 000 აშშ დოლარი, ხოლო მსესხებელს უნდა გა-
დაეხადა სარგებელი – სსსსის ძირი თანხის 50%-ის ოდენობით,
რაც თვეში 150 000 აშშ დოლარს, ხოლო, ჯამში – 450 000 აშშ
დოლარს შეადგენდა, რადგანაც ვალდებულება უნდა შესრუ-
ლებულიყო 2011 წლის ოქტომბერში, დაბრუნების დროს არსე-
ბული კურსის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა
გადაეხადა 821 250 ლარი (საიდანაც ძირი შეადგენდა 547 500,
ხოლო პროცენტი – 273 750 ლარს). 2009 წლის იანვარში მხარე-

ებს შორის კვლავ დაიდო სესხის ზეპირი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გამსესხებელს 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე მოპასუხისათვის უნდა გადაეცა 586 558 აშშ დოლარი. სესხი იყო სარგებლიანი და 2009 წელს გადაცემული თანხის შემთხვევაში იგი 15%-ს, ხოლო, შემდგომ წლებში გადაცემული თანხის შემთხვევაში – 10%-ს შეადგენდა. ეს თანხა კომპანიას პროცენტის გათვალისწინებით უნდა დაებრუნებინა 2012 წლის 10 სექტემბრისათვის. დასაბრუნებელი თანხის ოდენობამ შეადგინა 788 202 აშშ დოლარი (1 302 136 ლარი, საიდანაც ძირი 968 961, ხოლო სარგებელი – 333 175 ლარს შეადგენდა). 2012 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით მოვალეს ვალდებულება არ შეუსრულებია, რამაც გამსესხებელს მიაყენა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელიც 12%-იანი განაკვეთით დაანგარიშების შემთხვევაში, 181 976 ლარს შეადგენს (1 516 461 X 0,12). გამსესხებლის მიერ სესხის გადაცემას ადატურებს ბანკის ამონაწერი, რომლის თანახმადაც კომპანიის ანგარიშზე ჰოლანდიის ბანკ „ა-დან“ 2005 წლის 26 აპრილს, დანადგარების შეძენის მიზნით, გადარიცხულია 300 000 აშშ დოლარი. თანხის გადაცემა დასტურდება კომპიუტერული ექსპერტიზის შედეგებითაც (ელექტრონული მიმონერა საზოგადოების გენერალურ დირექტორთან, საფინანსო დირექტორსა და ფინანსისტთან, რომლებიც ადასტურებენ თანხის გადარიცხვის ფაქტს).

2. მოპასუხის პოზიცია:

კვალიფიციური/მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის 300 000 აშშ დოლარის თაობაზე სესხის ზეპირი ხელშეკრულება არ დადებულა. ამ ფაქტს არ ადასტურებს 2005 წლის საბანკო გადარიცხვის ქვითარი. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს სესხის ზეპირად დადების შესაძლებლობასაც, თუმცა მოპასუხე წარმოადგენს იურიდიულ პირს – მენარმე სუბიექტს, რომელსაც გააჩნია ბუღალტერია და არ აქვს ზეპირი ფორმით სესხის დადების უფლებამოსილება, ამასთანავე, მოსარჩელე თავად ვერ უთითებს კომპანიის რომელ წარმომადგენელთან დადო ხელშეკრულება. გადარიცხვის ქვითარი რომ სესხის ხელშეკრულების არსებობას არ ამტკიცებს, თანაც 50%-იანი სარგებლის გახდის პირობით დასტურდება იმ გარემოებით, რომ იგი არა სესხის გადაცემის, არამედ, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტია, ამასთანავე, უსაფუძვლოა მხარის მითითება, როგორც სარგებელზე, ისე – თანხის დაბრუნების ვადაზე.

2005 წელს კომპანია იწყებდა წარმოებას, რის გამოც, მოსარჩელესთან წერილობით შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მას უნდა შეესყიდა და მოპასუხისათვის მიენოდებინა მანქანა-დანადგარები. ამ ვალდებულების შესრულებისათვის მას წინასწარ გადაუხადეს 300 000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა 2005 წლის 26 აპრილს საბანკო გადარიცხვის გზით უკან დაუბრუნა მოპასუხეს იმ საფუძველით, რომ შემკვეთმა ნივთი უფრო დაბალ ფასად შეიძინა. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება, მართალია, წერილობით იყო გაფორმებული, მაგრამ, რადგანაც გასულია საბუღალტრო დოკუმენტების შენახვის 6-წლიანი ვადა, ეს მტკიცებულება მოპასუხეს არ გააჩნია. ამის საპირისპირო შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ სესხის ხელშეკრულება მართლაც დადებულია, იგი 2005 წლის მოთხოვნაა და სახელშეკრულებო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა გასულია. იურიდიული პირის მიერ ნასესხები თანხის ბუღალტრული ასახვის მოტივით არ დაეთანხმა მოპასუხე სარჩელში მითითებულ გარემოებას მეორე ზეპირი სესხის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. რაც შეეხება ელექტრონული ფოსტით მიმონერას, მოპასუხემ განმარტა, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები თ. მ-ი და გ. ლ-ი არიან, გ. ც-ი ამ უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი და მისი მხრიდან ე.წ ვალის აღიარება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ნამდვილად, ამასთანავე, გ. ც-ი განმარტავს, რომ მან მხოლოდ დაიანგარიშა მოსარჩელის მიერ მიწოდებული ციფრები. რაც შეეხება ნ. ე-ეს, ის ასევე არაუფლებამოსილი პირია კომპანიის ვალის აღიარების საკითხთან მიმართებით, მან მხოლოდ ყოველდღიური წარმოების მონაცემები გააგზავნა, რომელსაც მოსარჩელესთან არავითარი კავშირი არ აქვს. თ. მ-ს ვალის არსებობა არც წერილობით და არ ზეპირად არ უღიარებია, წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი მიუთითებს ვინმე „მას სესხზე“, რომელსაც სარჩელთან შემხებლობა არ აქვს, სარჩელზე დართული ზოგიერთი მტკიცებულების ნამდვილობა კი, საექსპერტო კვლევის საგანი არ გამხდარა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღიარება უფლებამოსილი პირის მიერ რომც იყოს განხორციელებული, სასამართლო მას, როგორც მტკიცებულებას, არ მიიღებს, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ ამგვარი აღიარება შეცდომის შედეგია. მოპასუხის განმარტებით, ვალდებულების არარსებობას ადასტურებს მას და მოსარჩელეს შორის 2008 წლის 25 მაისს გაფორმებული ზოგადი ხასიათის №ზ-01 ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ იკისრა ვალ-

დებულება, მოსარჩელისათვის გამოეყო სესხი წლიური 18%-იანი სარგებლით. სესხის ხელშეკრულების არსებითი პირობები უნდა დარეგულირებულიყო დამოუკიდებელი შეთანხმებით. მოპასუხემ 2008 წლის 17 ივნისს გასცა სესხი 270 000 ევრო 5 წლით, ხოლო 2009 წლის 9 აპრილს – მოსარჩელესთან გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება სესხად 60 000 აშშ დოლარის გაცემაზე (იხ. თავდაპირველი შესაგებელი). მოგვიანებით მოპასუხემ კვლავ მიმართა სასამართლოს დაზუსტებული შესაგებლით და დამატებით განმარტა, რომ 2005 წლის 1 აპრილს შპს „რ-სა“ და ს. ხ-ოვის კუთვნილ კომპანია შპს „ი-ს“ შორის დაიდო №1-2005 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს მოპასუხისათვის 2005 წლის აპრილიდან 2006 წლის დეკემბრამდე უნდა ესესხებინა 1 500 000 აშშ დოლარი, სესხი უნდა გადასცემოდა უშუალოდ გამსესხებლის ან მის მიერ ნომინირებული პირების მეშვეობით, სესხისა და სარგებლის დაბრუნებაც უნდა მომხდარიყო უშუალოდ გამსესხებლის ან მის მიერ ნომინირებული პირისათვის. ს.ხ-ოვის კომპანიის მიერ 2005 წლის 3 აპრილს გამოგზავნილი შეტყობინების თანახმად, გამსესხებლის სახელით მოქმედი ნომინირებული პირები მოპასუხეს გადასცემდნენ შემდეგი ოდენობით თანხებს: ჰ-ი – 665 200 აშშ დოლარს; კ-ი – 534 800 აშშ დოლარს; ზ. მ-ი – 300 000 აშშ დოლარს. ჰ-ი და კ-ი ს. ხ-ოვის კომპანიებს წარმოადგენდნენ, ხოლო ნა-სესხები თანხები – გამსესხებლის საკუთრებას, ნომინირებული პირები მოქმედებდნენ, როგორც გამსესხებლის უბრალო აგენტები, ამდენად, მოსარჩელე შპს „ი-ის“ დავალებით მოქმედი პირია და იგი არ წარმოადგენს შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილს. ამასთანავე, თუკი მოსარჩელე მოთხოვნას დავალების ფარგლებში აყენებს, საგულისხმოა, რომ სესხის დაფარვა უნდა დაწყებულიყო მოპასუხის მიერ პროდუქციის გამოშვებიდან და რეალიზაციიდან – 2006 წლის 26 ივნისიდან, ამ დროიდან კი, გასულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ს. ხ-ოვის დაკითხვის ოქმის თანახმად (02.06.2008წ.), მან 300 000 აშშ დოლარი საკუთარი კომპანიიდან („მ-ი“) დაუბრუნა მოსარჩელეს იმავე პირად ანგარიშზე, რომლიდანაც მოსარჩელეს მოპასუხისათვის აქვს გადარიცხული 300 000 აშშ დოლარი. საგულისხმოა, რომ №1-2005 სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხეს შესრულებული აქვს. მოპასუხის განმარტებით, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზ.მ-ს, როგორც 39%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე სანარმოს მართვისას კანონსაწინააღმდეგოდ აქვს მიღებული გარკვეული ოდენობით

თანხა (იხ. დაზუსტებული შესაგებელი).

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ზ. მ-ის სარჩელი შპს „რ-ის“ მიმართ 2005 წლის აპრილის სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით, შპს „რ-ს“ ზ. მ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის – 643 183 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა 436 558 აშშ დოლარია, ხოლო პროცენტი – 206 625 აშშ დოლარი, შპს „რ-ს“ ზ. მ-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის ასანაზღაურებლად 436 558 აშშ დოლარის წლიური 9%-ის – 39 290 აშშ დოლარის გადახდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, მოსარჩელემ მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, მოპასუხემ – ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოვალეს გამსესხებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 793 183 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხა 586 558 აშშ დოლარია, ხოლო სარგებელი – 206 625 აშშ დოლარი, მოპასუხეს ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 23 795,49 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო 2005 წლის აპრილის ზეპირი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის სახით 150 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორების მოთხოვნა:

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა კასატორმა მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო, მეორე კასატორმა – სესხის ძირი თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს ზეპირი ფორმით სესხის ხელშეკრულების დადება, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება და მოთხოვნის ხანდაზმულობა წარმოადგენს. იმისათვის, რათა სასამართლომ შეაფასოს კასატორთა პრეტენზიების მართებულობა, მიზანშეწონილად მიიჩნევს, უპირველესად ყურადღება სესხის, როგორც განკარგვითი ხელშეკრულების ბუნებაზე და ამ ხელშეკრულების ნამდვილობის (როგორც მატერიალური, ისე – საპროცესო-სამართლებრივი კუთხით) საკითხებზე გაამახვილოს.

1.1.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას სასესიო ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობების მტკიცების თვალსაზრისით და დამატებით განმარტავს, რომ სადავოობისას სესხის ხელშეკრულების დადების – თანხის გადაცემის ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრება გამსესხებელს – მოსარჩელეს. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენო-

ბის ნივთი. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება), რომელიც, თავის მხრივ, მიიღო მსესხებელმა. მატერიალური სამართლის ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც ნივთის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. საგულისხმოა თავად მტკიცების სტანდარტიც, კერძოდ, საინტერესო მატერიალური სამართალი ადგენს თუ არა ხელშეკრულების დადების ფაქტის გარკვეული მტკიცებულებით დადასტურების ვალდებულებას (როგორცაა, მაგ: სკ-ის 312-ე მუხლი – უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული (იხ. სუსგ №ას-1245-1168-2015, 20 მაისი, 2016 წელი).

1.1.2. საკასაციო პალატა სესხის ხელშეკრულების დადების მტკიცების თვალსაზრისით განმარტავს, რომ ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია მხარეს სარ-

ჩელში ფორმალური თვალსაზრისით მითითებული ჰქონდეს დამფუძნებელი ნორმის ფაქტობრივი აღწერილობა (აბსტრაქტული ელემენტები), მოპასუხის შედავების გათვალისწინებით კი, განისაზღვრება უდავო და სადავო ფაქტობრივი გარემოებები, რაც მტკიცების პროცესზე აისახება. ზეპირი სესხის ხელშეკრულების პირობებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სესხის რეალური ბუნებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს (გამსესხებელს) ეკისრება თანხის გადაცემის დადასტურება, თუმცა, მხოლოდ ეს საკმარისი არ არის, რამდენადაც, შედავების შემთხვევაში, მოსარჩელეს ეკისრება ასევე იმ არსებით პირობებზე ნების არსებობის დადასტურება, რომელიც კანონის იმპერატიული მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის დაცვით იქნა მიღწეული (მაგ: მხარეთა შეთანხმება, რომ განსაზღვრულ ვადაში/მოთხოვნისთანავე დააბრუნოს იმავე ოდენობის გვაროვნული ნივთი; შეთანხმება სარგებელზე; მის ოდენობასა და გადახდის წესზე და სხვა).

1.2. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან მქონე, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.2.1. 2005 წლის 15 მარტს შეიქმნა შპს „რ-ი“, დამტკიცდა მისი წესდება, დირექტორად დაინიშნა ბ. მ-ი, განისაზღვრა საწესდებო კაპიტალი და წილი. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 მარტის დადგენილებით შპს „რ-ი“ გატარდა რეგისტრაციაში. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 23 თებერვლის №... ბრძანებით შპს „რ-ის“ სამენარმეო რეგისტრაციის მონაცემებში განხორციელდა ცვლილება – დამფუძნებლის 2006 წლის 21 თებერვლის №... გადაწყვეტილებით საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა ბ. მ-ი და დაინიშნა გ. ლ-ი. საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 8 იანვრის №... ბრძანებით შპს „რ-ის“ სამენარმეო რეგისტრაციის მონაცემებში განხორციელდა ცვლილება და 2006 წლის 28 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების ოქმის საფუძველზე, საზოგადოებიდან გავიდა პარტნიორი ბ. მ-ი, ხოლო საკუთარი წილი მიჰყიდა სანესდებო კაპიტალის ნომინალურ ღირებულებაში ახალ პარტნიორ შპს „ს-ს“. 2007 წლის 30 ოქტომბერს შპს „ს-მა“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა ზ. მ-ს სრულფასოვნად წარმოადგინოს კომპანიის უფლებები, დაიცვას მისი ინტერესები და კომპანიის სახელით განხორციელოს მოქმედებები. შპს „რ-ის“ პარტნიორთა 2007 წლის 27 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით განხორციელდა ცვლილებები შპს

„რ-ის“ წესდებაში, დამტკიცდა ახალი რედაქცია. შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო სამი წევრის შემადგენლობით: თავმჯდომარე – მ. მ-ი, მოადგილე – ზ. მ-ი, წევრი – ა. კ-ი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 30 მაისის №... ბრძანებით სამეწარმეო რეესტრში გატარდა ცვლილება და შპს „რ-ის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა თ. მ-ი, ხოლო კომერციული დირექტორის თანამდებობაზე – გ. ლ-ი;

1.2.2. 2005 წლის 26 აპრილს ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამიდან ზ. მ-მა შპს „რ-ის“ ანგარიშზე გადარიცხა 300 000 აშშ დოლარი;

1.2.3. მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის იანვარში მას და კომპანიის დირექტორ თ. მ-ს შორის გაფორმდა ზეპირი სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ზ. მ-მა მოპასუხეს 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე ასესხა 586 558 აშშ დოლარი. აღნიშნულ სესხს დაერიცხებოდა პროცენტები: 2009 წელში გადარიცხულ თანხებს 15% და შემდგომ წლებში – 10%. აღნიშნული თანხა კომპანიას პროცენტების გათვალისწინებით, უნდა დაებრუნებინა 2012 წლის 10 სექტემბრისათვის. გამსესხებლის მტკიცებით, სასესხო ურთიერთობის უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენდა მას და საზოგადოების გენერალურ დირექტორ თ. მ-ს, ფინანსურ დირექტორ გ. ც-სა და საზოგადოების ფინანსისტ ნ. ე-ეს შორის არსებული ელექტრონული წერილები (თანდართული ცხრილით), რომლებიც ადასტურებდნენ მოსარჩელის მიერ საზოგადოებისათვის თანხების გადარიცხვას. საქმეში წარმოდგენილი აღნიშნული მტკიცებულებების ანალიზით, რომელთა ნამდვილობა მოპასუხის მხრიდან შედავებული არ არის, ზ. მ-მა შპს „რ-ის“ ანგარიშზე 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე ჩარიცხა თანხები. 2012 წლის 26 ივლისის ელექტრონული წერილითა და თანდართული ცხრილით, რომელიც საქმეში არსებულ ცხრილებს შორის ყველაზე ბოლოს იყო გაგზავნილი, თ. მ-ი ადასტურებდა შპს „რ-სა“ და ზ. მ-ს შორის სასესხო ურთიერთობას. ზ. მ-ის 2012 წლის 25 ივლისის ელექტრონული წერილის მიღების შემდეგ თ. მ-ი არ უარყოფდა შპს „რ-სა“ და ზ. მ-ს შორის სასესხო ურთიერთობის ფაქტს და წერილთან ერთად უგზავნიდა ცხრილს, სადაც მოცემული იყო სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება, სულ ძირი თანხა – 436 558 აშშ დოლარი, ხოლო პროცენტი – 206 625 აშშ დოლარი, ძირი და პროცენტი ჯამში შეადგენდა 643 183 აშშ დოლარს. საქმეში არსებული არც ერთი ელექტრონული წერილით არ იყო უარყოფილი

შპს „რ-ის“ ვალი ზ. მ-ისადმი. ამ ვალდებულების ფარგლებში მოსარჩელე მოპასუხისგან მხოლოდ 102 161 აშშ დოლარის დაბრუნებას ადასტურებდა.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული შედავება.

1.4. ვინაიდან საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, როგორც სარჩელის დაკმაყოფილების, ისე – მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სასამართლო ინდივიდუალურად შეაფასებს თითოეულ ამ ნაწილთან მიმართებით წარმოდგენილ პრეტენზიებს:

1.4.1. საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის შედავებას, რომ არ არსებობდა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის დეკემბრამდე გადარიცხული თანხისა და სარგებლის მისთვის დაკისრების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით პალატა არ ეთანხმება კომპანიის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სესხის ხელშეკრულების არსებობა არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო ელექტრონული მიმონერის მასალებით და ფაქტის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცებულებათა შეფასების პროცესუალური სტანდარტი. კასატორის განმარტებით, სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც დაუსაბუთებელია, რადგანაც მასში არ არის მითითებული სასესხო ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობებზე.

1.4.2. საკასაციო პალატა აღარ მიუბრუნდება ზეპირი ფორმით სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს, ასევე, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების ჩამოთვლას და მიუთითებს ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.1.1.-1.1.2. პუნქტებზე, ამასთან, ყურადღე-

ბას გაამახვილებს მოსარჩელის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების ფარგლებში საკუთარი პოზიციის სამტკიცებლად არჩეული საშუალების იურიდიულ ვარგისიანობაზე. გამსესხებელი განმარტავს, რომ მან ზეპირი ფორმით დადო მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულება, რომელიც იყო სარგებლიანი, მოპასუხე არ ასრულებს ვალდებულებას, რაც მას წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას (იხ. სარჩელი). მტკიცების თვალსაზრისით მოსარჩელემ წარადგინა ელექტრონული მიმონერა, როგორც საზოგადოების გენერალურ, ისე – ფინანსურ დირექტორსა და ფინანსისტთან. საკასაციო პალატა საქმის მასალების დეტალურ კვლევაზე დაყრდნობით იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას, რომ ელექტრონული მიმონერის ნამდვილობის თვალსაზრისით მოპასუხეს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, რაც შეეხება ამ მიმონერის დასაშვებობა-განკუთვნადობის საკითხს, პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით ისინი სავსებით მართებულად მიიჩნიეს წერილობითი ხასიათის მტკიცებულებებად, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში, წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენენ პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. თავად ელექტრონული მიმონერის შინაარსის ყოველმხრივი ანალიზი კი, სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 625-ე მუხლების (ვალდებულების წარმშობის დროს მოქმედი რედაქციის) ნორმატიულ აღწერილობას პასუხობენ.

1.4.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის შემდგომ გადაჭრას მათი იურიდიული ძალმოსილების საკითხი, რაც მათ შინაარსობრივ კვლევას ითვალისწინებს. შინაარსობრივი კვლევის სტანდარტი კი, ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების ინდივიდუალური და ერთობლივი შეფასება აყალიბებს სასამართლოს შინაგან რწმენას სადავო მოვლენის/ფაქტის არსებობის თაობაზე და სასამართლოსაც ამ გზით გამოაქვს დასკვნა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე მოვლენას. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს, რომლებიც შეეხება საზოგადოების უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი) ვალდე-

ბულების არსებობის აღიარებას და მიიჩნევს, რომ ამ აღიარების სწორი სამართლებრივი ანალიზისათვის საჭიროა მათი ინდივიდუალური შეფასება. ამ თვალსაზრისით პალატა მოიშველიებს დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულება ერთმანეთისაგან განასხვავებს მარტივ, კაუზალურ და აბსტრაქტულ აღიარებას. მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშანთვისებები. მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და ბუნებრივია უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარტივი, ისე – კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყება თავიდან. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა (იხ. სუსგ №ას-383-364-2015, 27 მაისი, 2016 წელი). უდავოა, რომ ელექტრონული მიმონერა სწორედ ვალდებულების კაუზალური აღიარებაა – შეიცავს ყველა იმ ელემენტს, რომლებიც დაკმაყოფილებულ ნაწილში ამყარებენ, როგორც მოსარჩელის მიერ გადმოცემულ ფაქტებს, ისე – იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას. ამ მტკიცებულებებს მოპასუხემ დაუპირისპირა კაუზალური აღიარების ავტორთა განმარტებები იმგვარად, რომ ეს განმარტებები არ აქარწყლებენ ელექტრონულ მიმონერაში ასახულ ინფორმაციას, არამედ, წარმოადგენს მათ უარყოფას, ანუ ისინი არ არიან წონადი მტკიცებულებები, რომლებიც ელ.მიმონერის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა.

1.4.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობას განაპირობებს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი და ვალდებულების წარმოშობის თვალსაზრისით, მასზე გავლენას ვერ იქონიებს ისე-

თი ფაქტორები, როგორცაა მენარმე სუბიექტის მიერ ნასესხები თანხის ბუღალტრული აღრიცხვის წესები და სესხის აღებისათვის სამენარმეო საზოგადოების მიერ წესდებით გათვალისწინებული მოწესრიგება. იმ პირობებშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ზ. მ-ს, როგორც სანარმოსთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირს, უნდა სცოდნოდა სანარმოს მმართველობითი ორგანოების წინასწარი თანხმობის, ასევე, სესხის საზოგადოების საბუღალტრო ანგარიშებში ასახვის აუცილებლობა, ეს არგუმენტები მაინც ვერ გახდება საფუძველი იმისა, რომ სამართლებრივი ძალის არმქონედ მივიჩნიოთ ამ წესების დარღვევით დადებული სესხის რეალური ხელშეკრულება, რადგანაც სანარმოს შიდა ურთიერთობის მომწესრიგებელი კორპორაციული წესების იმგვარი დარღვევა, როგორზეც მოპასუხე მოუთითებს, სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმის საფუძველზე არ შეიძლება გარიგების ნამდვილობის შეცდომების საფუძველად იქნას გამოყენებული, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ადასტურებენ, როგორც თანხის მიღებას, ისე – შესრულების მზაობას (იხ. სკ-61.3 მუხლი).

1.4.5. ამ უკანასკნელ საკითხებთან მიმართებაში პალატა ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკასაც: ვალდებულების აღიარებად საკასაციო სამართლომ არ მიიჩნია იმგვარი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილი იყო არა საზოგადოების დირექტორის, არამედ – ბუღალტრის მიერ და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენილია საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირის – დირექტორის მიერ, რომელსაც მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით აქვს ამ მანდატის სხვა პირებისათვის გადაცემის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული ნორმა წარმოადგენს საზოგადოების ინტერესების დაცვის მექანიზმს იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება სათანადო უფლებამოსილების მინიჭების გარეშე წარმოდგენილია სხვა, თუნდაც ამ საზოგადოებასთან რაიმე საფუძველთ დაკავშირებული, მაგრამ კანონით არაუფლებამოსილი პირის მიერ (იხ. სუსგ №ას-334-686-07, 13 ნოემბერი, 2007 წელი). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ დაუშვებლად მიიჩნია მოვალის საკასაციო საჩივარი და არ გაიზიარა მისი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სანარმოს მიერ აღებული სესხის ნამდვილობა დამოკიდებულია ამ თანხის საზოგადოების ანგარიშზე განთავსებაზე, რადგანაც დირექტორის მხრიდან სესხის აღების ფაქტის ცალ-

მხრივი წერილობითი დადასტურება ამ სასესიო ურთიერთობის ნამდვილობას განაპირობებდა (იხ. სუსგ №ას-1561-1464-2012, 1 მარტი, 2013 წელი).

1.4.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სამართლოს დასაბუთებას ვალდებულების შესრულების თაობაზე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ სწორად იქნა გამოყენებული/განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 429-ე და 431-ე მუხლები, რომელთა დებულებები იძლევიან იმ მატერიალურ-სამართლებრივ გარანტიას მოვალისათვის, რომელიც მას სრულ შესაძლებლობას მისცემს თუნდაც არაკეთილსინდისიერი კრედიტორის პირობებში, დაამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი ადგენს ასევე მოვალის უფლებადამცავ დანაწესს, კერძოდ, თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად (იხ. სკ-ის 433-ე მუხლი). მატერიალური სამართლის ნორმით რეგლამენტირებული სავალო საბუთის ინსტიტუტიდან გამომდინარე, შესრულების მტკიცების საპროცესო საშუალებას წარმოადგენს რა სავალო საბუთი, მოპასუხეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, სწორედ ამ საბუთის წარდგენით უნდა დაეცვა თავი სარჩელისაგან. როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, მსესხებელს მსგავსი დოკუმენტი არ წარუდგენია, ამდენად, მოსარჩელის მიერ დამტკიცებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში სააპელაციო პალატამ სწორად დააკისრა მოვალეს მის სასარგებლოდ სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის გადახდა, რაც შეეხება 102 161 აშშ დოლარს, ვინაიდან ამ თანხის მიღებას ადასტურებს მოსარჩელე, პალატამ მართებულად მიიჩნია ამ ოდენობით ვალდებულება შეწყვეტილად, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 427-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლებისა.

1.4.7. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველ კასატორს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, არამედ, შემოიფარგლა ზოგადი ხასიათის შედავებით (კრიტიკით) იმის თაობა-

ზე, რომ მოსარჩელის პოზიცია თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელია, ასევე, მისი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ამ საკითხთან მიმართებით არის ის, რომ ვინაიდან მოსარჩელე სესხის არსებობას ვერ ადასტურებს, მიუღებელ შემოსავალზე საუბარი გაუმართლებელია. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოვალის ამ განმარტებებს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, „მიუღებელი შემოსავალი“ არის სარგებელი, ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, თუმცა, ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე აბსტრაქტული ზიანის არსებობის მტკიცებას მოსარჩელეს უადვილებს ის, რომ თავად ფული წარმოადგენს მიმოქცევად საშუალებას და საყოველთაოდ ცნობილია, რომ მის ბრუნვას შეუძლია გარკვეული მოგების მიღება. იმ ვითარებაში, როდესაც დგინდება მოპასუხის მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის წინაპირობების დარღვევა და იგი ნასესხები თანხისა და სარგებლის დაუბრუნებლობას შეეხება, არსებობს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები, ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა, როგორც მოთხოვნის

დამფუძნებელი ნორმა, ისე – თავად მიუღებელი შემოსავლის წყაროს – ფულის მსყიდველუნარიანობის საკითხი და მართებულიად დააკისრა მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დავალიანების – 793 183 აშშ დოლარის წლიური 9%-ის გადახდა (საბანკო ანაბრიდან შესაძლო მოგების მიღების პროპორციით).

1.5. ზ. მ-ის საკასაციო საჩივრის პრეტენზიებთან მიმართებით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.5.1. მეორე კასატორის პრეტენზიები ძირითადად მიმართულია 2005 წლის აპრილის შეთანხმების საფუძველზე გადარიცხული 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის კანონიერებისაკენ. ამ თვალსაზრისით, ქვედგომმა სასამართლოებმა სარჩელის უარყოფა დაამყარეს მოპასუხის მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას წარდგენილ შესაგებელში გამოთქმულ შედაგებასა და მასზე დართული მტკიცებულებების ანალიზს და დადგენილად ცნეს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი გადარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტში ასახული თანხა წარმოადგენდა არა მეორე კასატორის მიერ კომპანიისათვის ნასესხებ თანხას, არამედ, კომპანიის მიერ ს. ხ-საგან ნასესხებ თანხას, რომლის ფარგლებშიც, ზ. მ-ი წარმოადგენდა ნომინირებულ აგენტს, რომლის ვალდებულებაც, გამსესხებლის სახელით 300 000 აშშ დოლარის შპს „რ-ის“ ანგარიშზე გადარიცხვით შემოიფარგლებოდა. სასამართლოს მიერ დადგენილ ამ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით მეორე კასატორის კრიტიკა შეეხება, როგორც მტკიცებულებების დასაშვებობის, ისე – მათი იურიდიული სანდოობის საკითხს, ამასთანავე, მხარე პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაზე, რაც გამოიხატა მოპასუხის შეცვლილი პოზიციის გაზიარებაში.

1.5.2. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს და განმარტავს, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 (1) მუხ-

ლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არა ერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპებს კანონმდებელი ორ ძირითად ნაწილად ყოფს, ესაა საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად (იხ. სსსკ-ის 203-ე მუხლი) და სასამართლოს მთავარი სხდომის სტადია (სსსკ-ის 207-ე მუხლი). იმის მიხედვით, თუ საქმე განხილვის რა ეტაპზეა, განსხვავებულია მხარეთა უფლებრივი მდგომარეობაც, რომელთაგან განსახილველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია მოპასუხის უფლებები: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი ადგენს მოპასუხის საპროცესო თავდაცვის ძირითადი ინსტრუმენტის – შესაგებლის ინსტიტუტს და ნორმის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრულია, რომ პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამო-

სილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა. ამ საპროცესო წესის დარღვევით, ბუნებრივია, ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, რამდენადაც ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოვალემ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებელით უარყო სესხის არსებობა და წარადგინა კვალიფიციური შედაგება: სესხი ბულალტრულად არ იყო აღრიცხული, ამასთან, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ქვითარი იყო არა სესხის გადაცემის, არამედ, ზ. მ-ის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2005 წელს კომპანია იწყებდა წარმოებას, რის გამოც, მოსარჩელესთან წერილობით შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მას უნდა შეესყიდა და მოპასუხისათვის მიენოდებინა მანქანა-დანადგარები. ამ ვალდებულების შესრულებისათვის მას წინასწარ გადაუხადეს 300 000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა 2005 წლის 26 აპრილს საბანკო გადარიცხვის გზით უკან დაუბრუნა მოპასუხეს იმ საფუძვლით, რომ დავალების მიმცემმა ნივთი უფრო დაბალ ფასად შეიძინა. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება, მართალია, წერილობით იყო გაფორმებული, მაგრამ, რადგანაც გასული იყო საბულალტრო დოკუმენტების შენახვის 6-წლიანი ვადა, ეს მტკიცებულება მოპასუხეს არ გააჩნდა (იხ. თავდაპირველი შესაგებელი). სააპელაციო პალატამ, იმ საფუძვლით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან დარღვეული იყო საქმის მომზადების ეტაპზე მტკიცებითი შუამდგომლობების გადაწყვეტის საკითხი (მტკიცებულებათა დასაშვებობა), 2013 წლის 20 ნოემბრის განჩინებით გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (ეს საკითხი გაზიარებულ იქნა საკასაციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 მაისის განჩინებით). საქმის ხელახლა განხილვისას საქალაქო სასამართლომ ნაცვლად მთავარი სხდომისა, დანიშნა მოსამზადებელი სხდომა და მოპასუხისაგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 201-ე და 219-ე მუხლების დარღვევით მიიღო აბსოლუტურად განსხვავებული შესაგებელი განსხვავებული მტკიცებულებებით. ამ საპროცესო დარღვევის პირობებ-

ში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის თაობაზე და უარყოფს ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობას კომპანიის მიერ სხვა პირთან სესხის დადების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე წარმოადგენდა მინდობილ პირს, ასევე, მხედველობაში არ იღებს საპროცესო წესების დარღვევით წარმოდგენილ მტკიცებულებებს (სსსკ-ის 103.3 მუხლი) და საკასაციო საჩივრის ფარგლებში გამოთქმული პრეტენზიების დეტალურ კვლევას აღარ შეუდგება. მიუხედავად ამისა, პალატა მიიჩნევს, რომ მოხმობილი გარემოება ვერ გახდება გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რამდენად, სახეზე არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უმთავრესი წინაპირობა – საპროცესო ნორმების დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყოლია, კერძოდ:

1.5.3. საკასაციო პალატა სადავო გარემოებების შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს მოპასუხის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ შედავებით, რომლის ფარგლებშიც მან 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის დაკისრებაზე უარის თქმა იმ საფუძვლითაც მოითხოვა, რომ:

ა) მხოლოდ გადარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა სესხის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტის დადგენის მიზნით საკმარისი არ იყო;

ბ) მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

1.5.4. ზეპირი სესხის ხელშეკრულების დადების მტკიცების თვალსაზრისით სასამართლო აღარ შეუდგება იმ გარემოებებზე მსჯელობას, რომლებიც შეიძლება ვალდებულების წარმოშობის საფუძველად მიგვეჩნია და მიუთითებს ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.1.2. პუნქტში გადმოცემულ სამართლებრივ შეფასებაზე, ამასთანავე, ქვემდგომი სასამართლოების მიერ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოვალეს მოთხოვნა წარუდგინა 2006 წელს, სარჩელი კი, სასამართლოში აღიძრა 2012 წლის 11 ოქტომბერს. საკასაციო პალატა არ იზიარებს მეორე კასატორის ზოგადი ხასიათის შედავებას სასამართლოს მხრიდან ამ საკითხის მომწესრიგებელი ნორმების დარღვევისა და ხანდაზმულობის საკითხის არასწორად განმარტების თაობაზე და მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც შესრულების მოთხოვნის თაობაზე კრედიტორის უფლებას შემოფარგლავს გარკვეული ვადებით. ამ შემთხვევაში, ეს ვადა, როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნისა, ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილიდან გამომდინარე, სამ წელს შეადგენს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის სარგებელი წარმოადგენს არა ძირითად, არამედ, ნაწარმოებ უფლებას და მისი იძულებითი განხორციელება, ამავე კოდექსის 145-ე მუხლიდან გამომდინარე, ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზეა დამოკიდებული. ვინაიდან დადგენილია, რომ კრედიტორს მოთხოვნა წარმოეშვა 2006 წელს (სკ-ის 130-ე მუხლი), ხოლო უფლების იძულებით დაცვის მიზნით მან სასამართლოს მიმართა 2012 წელს, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში, 2005 წლის გადარიცხვიდან გამომდინარე სესხის ხელშეკრულების დადების პირობებში, მოპასუხე უფლებამოსილია უარი განაცხადოს, როგორც სესხის ძირის, ისე – სარგებლის ანაზღაურებასა თუ სხვა მოთხოვნაზე.

1.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს, რომლის წინააღმდეგაც, როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედაცვა არ ყოფილა წარმოდგენილი კასატორთა მხრიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:

ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა;

გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. გაზრდილი მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დასაბუთება:

2.1. 2017 წლის 9 ივნისს მეორე კასატორის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს და განმარტა, რომ ვინაიდან საქმის განხილვის მიმდინარეობისას მოპასუხეს ვალდებულება შესრულებული არ აქვს, ხოლო მოსარჩელეს ამ თანხის მიუღებლობით ადგება ზიანი, მოვალეს 2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ივლისის ჩათვლით დამატებით დაეკისროს გადასახდელი თანხის წლიური 9%.

2.2. საკასაციო სასამართლო შუამდგომლობაში მოცემული არგუმენტაციისა და მოთხოვნის შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა, რაც საქმის განხილვის ამ ეტაპზე დაუშვებელია, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის იმპერატიული დათ-

ქმია, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია.

2.3. მოხმობილი არგუმენტიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მეორე კასატორის გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

3. მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმისა და საქმის განხილვის გადადების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთება:

3.1. 2017 წლის 9 ივნისის განცხადებით მეორე კასატორმა სასამართლოს წარმოუდგინა იურიდიული კომპანია „თ-ის“ 2017 წლის 9 ივნისის დასკვნა მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შეფასების მიზნით, აღნიშნული დასკვნა საპროცესო წესების დაცვით გაეგზავნა მოპასუხეს, რომლის წარმომადგენელმაც მოითხოვა საქმის განხილვის გადადება და საპროცესო ვადის განსაზღვრა შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად.

3.2. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე საქმის განხილვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პრაქტიკულად 2017 წლის 29 მაისს დაასრულა, თუმცა, საქმის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2017 წლის 23 ივნისს, რის შესახებაც, ბუნებრივია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ეცნობათ მხარეებს. ვინაიდან ზემოხსენებული დასკვნა წარმოდგენილია სასამართლოს მხრიდან საქმის განხილვის დასრულების შემდგომ, პალატა მას ვერ შეაფასებს და ამავე კოდექსის 104-ე მუხლის საფუძველზე უბრუნებს მეორე კასატორს.

3.3. რაც შეეხება საქმის განხილვის გადადებას, პალატა ხელმძღვანელობს ზემოთ მოყვანილი არგუმენტებით და მიიჩნევს, რომ არ არსებობს რა დამატებით წარმოდგენილი მოსაზრებების გაზიარების წინაპირობა, არც პირველი კასატორის მიმართ ირღვევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განტიკებული პრინციპები, შესაბამისად, არ არსებობს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე (1) მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

4. პროცესის ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარ-

გებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა საკასაციო საჩივრები, არ არსებობს მხარეთა შორის პროცესის ხარჯების, მათ შორის იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის ერთ-ერთი მხარისათვის დაკისრების წინაპირობები, გარდა ამისა, კასატორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ბიუჯეტში დატოვებას განაპირობებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 216-ე, 406-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „რ-ისა“ და მისი დირექტორის, თ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
4. შპს „რ-ის“ წარმომადგენელ ა. კ-ის შუამდგომლობა იური-

დიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

5. ზ. მ-ის წარმომადგენელ მ. გ-ას შუამდგომლობა 2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ივლისამდე გადასახდელი თანხის – 793 183 აშშ დოლარის წლიური 9%-ის – 327 188 აშშ დოლარის შპს „რ-ისათვის“ დაკისრების თაობაზე დარჩეს განუხილველად.

6. კასატორ ზ. მ-ს დაუბრუნდეს 2017 წლის 9 ივნისის №ა-2427-17 განცხადებაზე დართული იურიდიული კომპანია „თ-ის“ 2017 წლის 9 ივნისის დასკვნა 23 (ოცდასამი) ფურცლად.

7. შპს „რ-ის“ წარმომადგენელ ა. კ-ის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადებისა და შესაბამისი დასკვნის წარდგენისათვის საპროცესო ვადის განსაზღვრის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

8. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სესხის თანხის ოდენობის დადასტურება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-819-767-2017

20 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 04 სექტემბერს, ზ. ქ-ვილსა (შემდეგში: მოსარჩელე) და გ. ხ-ვილს (შემდეგში: მოპასუხე) შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება (შემდეგში: სესხის ხელშეკრულება). სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო 2012 წლის 31 დეკემბერს. სესხის ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დაადასტურა ნოტარიუსმა.

2. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის, ე. ც-ის, მ. ხ-ვი-

ლის (შემდეგში: პირველი დასაჩუქრებული), ს. ხ-ვილის (შემდეგში: მეორე დასაჩუქრებული), ბ. კ-ის, ქ. ქ-ვილის, ლ. ლ-ვილის, ლ. მ-ვილის, რ. ს-იას, გ. ჩ-ის, გ. ს-ვილის, ზ. კ-იას მიმართ და მოითხოვა:

3. მოპასუხისათვის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 293000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება;

4. 2013 წლის 29 იანვრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების, ასევე, 2013 წლის 30 მაისის ჩუქების ხელშეკრულების და 2013 წლის 11 სექტემბრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

5. 2013 წლის 30 მაისის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ყველა იმ პირობის ბათილად ცნობა, რომელიც ეხება იპოთეკასა და იპოთეკის საგანს, კერძოდ, ხელშეკრულების მე-4-მე-7 მუხლებში ჩამოყალიბებული პირობების ბათილად ცნობა.

6. მოპასუხემ თავდაპირველ სარჩელთან ერთად განსახილველად წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 293 აშშ დოლარის გადახდა.

8. ამავე გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილი იქნა მოპასუხისათვის 292 707 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

9. ასევე, გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილია ე. ც-ის, პირველი და მეორე დასაჩუქრებულის და გ. ხ-ვილის მიმართ 2013 წლის 29 იანვრის, 30 მაისის და 11 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში; ბ. კ-ის, ქ. ქ-ვილის, ლ. ლ-ვილის, ლ. მ-ვილის, რ. ს-იას, გ. ჩ-ის, გ. ს-ვილის და ზ. კ-იას მიმართ 2013 წლის 30 მაისის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში.

10. უარყოფილია შეგებებული სარჩელიც.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის მოთხოვნათა დასაბუთებულობის განხილვის მიზნით უპირატესად უნდა გარკვეულიყო სესხის ხელშეკრულების შედგენისას მხარეთა რეალური ნება მიმართული იყო 293 თუ 293000 აშშ დოლარის სესხებისკენ.

12. ამის მნიშვნელობა განპირობებულიყო იყო იმით, რომ შეთანხმებაში ციფრობრივად და სიტყვიერად მითითებული იყო ურთიერთგანსხვავებული მონაცემი.

13. ყურადღება გამახვილდა რამდენიმე ფაქტობრივ გარე-

მოებაზე:

14. პირველი, 2012 წლის 04 სექტემბრის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა გაცემული იყო ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე და ვალდებულების შესრულების მიზნით მსესხებლის უძრავი ქონება დაუტვირთავი იყო.

15. მეორე, ორასოთხოცდაცამეტი ათასი აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი ლარი წარმოადგენდა მოცულობით თანხას, ხოლო სასარჩელო მოთხოვნების განხილვისას მოსარჩელე ვერც განმარტავდა და ვერც ადასტურებდა გააჩნდა თუ არა მას აღნიშნული ფულადი რესურსი.

16. მესამე, 2012 წლის 04 სექტემბრის სესხის ხელშეკრულების შედგენისას მოსარჩელეს თავადაც გააჩნდა შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის და სს „თ-ის“ (შემდეგში: ბანკის) მიმართ. მის მიმართ მიმდინარეობდა სააღსრულებო ღონისძიებანი.

17. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლის 04 სექტემბრის ხელშეკრულებაში დაშვებული იყო მხოლოდ ტექნიკური ხასიათის უზუსტობა და მხარეებმა სესხის ხელშეკრულება შეადგინეს მხოლოდ 293 აშშ დოლარის გადაცემის მიზნით. მოპასუხეს მოსარჩელისაგან მიღებული ჰქონდა მხოლოდ სესხის ხელშეკრულებაში მითითებული 293 აშშ დოლარი.

18. 2012 წლის 04 სექტემბრის გარიგების ბათილად ცნობის შესახებ წარდგენილი შეგებებული სარჩელის უარყოფა კი, გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) მე-4 და 102-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილად ცნობის მტკიცების ტვირთის არასაკმარისად განხორციელებით.

19. დაუდასტურებლად იქნა მიჩნეული მოსარჩელის მითითება სადავო 2013 წლის 29 იანვრის, 30 მაისის და 11 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებების არანამდვილობასთან (გარიგებების გაფორმება მარტოოდენ კრედიტორის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით) მიმართებითაც, იმ თვალსაზრისით, რომ კრედიტორის მიმართ მოპასუხის ფინანსური ვალდებულება მხოლოდ 293 აშშ დოლარით შემოიფარგლებოდა.

20. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

21. მოგვიანებით, სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპ-

ზე, იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში მოსარჩელემ უარი თქვა მოთხოვნაზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, რაც დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 293 000 აშშ დოლარი; ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 29 იანვარს, ერთი მხრივ, მოპასუხესა და მეორე მხრივ, პირველ და მეორე დასაჩუქრებულს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება, 2013 წლის 30 მაისს, ერთი მხრივ, პირველ და მეორე დასაჩუქრებულს, ხოლო, მეორეს მხრივ, ე. ც-ეს შორის, დადებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება და 2013 წლის 11 სექტემბერს, ერთი მხრივ, ე. ც-ესა და მეორე მხრივ, პირველ და მეორე დასაჩუქრებულს შორის, დადებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება.

23. გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 03.10.2012 წლისათვის მოპასუხის სახელზე ირიცხებოდა უძრავი ქონება მდებარე, ქ. თბილისში, „...“-ის საცხოვრებელ კვარტალში (ნაკვეთი №18) (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება).

24. მოპასუხის მიერ არსებული ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სადავო უძრავი ქონება დატვირთული იყო იპოთეკით (01.07.2008 წლის იპოთეკის ხელშეკრულება).

25. 2013 წლის 17 იანვრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეტყობინების საფუძველზე, მოპასუხეს ეცნობა, რომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, 14.01.2013 წელს, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაიწყო გამარტივებული წარმოება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ. აღსასრულებელ თანხას შეადგენდა 485 100,00 ლარი.

26. 2013 წლის 29 იანვარს, ერთის მხრივ მოპასუხესა და მეორეს მხრივ პირველ და მეორე დასაჩუქრებულს შორის დაიდო უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხემ პირველ და მეორე დასაჩუქრებულს აჩუქა სადავო უძრავი ქონება. ჩუქების გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერები დაამოწმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა თანამშრო-

მელმა.

27. 01.02.2013 წელს მომზადებული ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეებს წარმოადგენენ პირველი და მეორე დასაჩუქრებული. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 29.01.2013 წლის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, ხოლო, უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის თარიღად – 01.02.2013წ..

28. 29.01.2013 წლის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში პირველი და მეორე დასაჩუქრებულის უფლების რეგისტრაციის მომენტისათვის (01.02.2013წ.) ქონებაზე არსებული ყადაღა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თ-ის სარეგისტრაციო სამსახურის 31.01.2013 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე შეწყვეტილი იყო; რაც შეეხება ქონების უფლებრივ დატვირთვას, მასზე კვლავ აღინიშნებოდა იპოთეკა ბანკის სასარგებლოდ.

29. 2013 წლის 30 მაისს შედგენილი სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, ე. ც-ემ ბ. კ-ისგან მიიღო 32000 აშშ დოლარი, ქ. ქ-ვილისგან მიიღო 7000 აშშ დოლარი, ლ. ლ-ვილისგან მიიღო 15000 აშშ დოლარი, ლ. მ-ვილისგან მიიღო 5000 აშშ დოლარი, რ. ს-ისგან მიიღო 30000 აშშ დოლარი, გ. ჩ-ისგან მიიღო 45000 აშშ დოლარი, გ. ს-ვილისგან მიიღო 30000 აშშ დოლარი და ზ. კ-ისგან მიიღო 5000 აშშ დოლარი. ე. ც-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა სადავო უძრავი ქონება. ამავე დღეს, 2013 წლის 30 მაისს, ერთი მხრივ პირველ და მეორე დასაჩუქრებულს, ხოლო, მეორე მხრივ, ე. ც-ეს შორის, სადავო უძრავ ქონებაზე გაფორმდა ჩუქება. გარიგებაზე ხელმოწერები დაამონმა ნოტარიუსმა.

30. 11.09.2013 წელს მომზადებული ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს ე. ც-ე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 30.05.2013 წლის ჩუქების ხელშეკრულება, ხოლო, უფლების რეგისტრაციის თარიღად – 04.06.2013წ. ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით 30.05.2013 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული ფიზიკური პირების სასარგებლოდ.

31. 2013 წლის 11 სექტემბერს, ერთი მხრივ ე. ც-ესა და მეორე მხრივ, პირველ და მეორე დასაჩუქრებულს შორის, დაიდო უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ე. ც-ემ პირველ და მეორე დასაჩუქრებულს აჩუქა სადავო უძრავი

ქონება. გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერები დაამოწმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა თანამშრომელმა.

32. 11.09.2013 წელს მომზადებული ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეებს წარმოადგენენ: პირველი და მეორე დასაჩუქრებული. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 11.09.2013 წლის ჩუქების ხელშეკრულება, ხოლო, უფლების რეგისტრაციის თარიღად – 11.09.2013წ. ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ნივთი დატვირთულია იპოთეკით 30.05.2013 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული ფიზიკური პირების სასარგებლოდ.

33. პირველი და მეორე დასაჩუქრებული არიან მოპასუხისა და ე. ც-ის შვილები. მოპასუხე და ე. ც-ე იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში 2009 წლის 29 ივლისიდან.

34. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა 2012 წლის 31 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების მიზნით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით მოვალეს წარმოადგენს მოსარჩელე, ხოლო აღსასრულებელი თანხის მოცულობა შეადგენდა 190 ლარს. 2012 წლის 31 მარტს შსს საპატრულო პოლიციამ შეადგინა მეორე სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით შესასრულებელი ვალდებულება შეადგენდა 160 ლარს. მოთხოვნის აღსრულების მიზნით კრედიტორმა მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. აღსრულების მიზნით დაყადაღდა მოსარჩელის სახელზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 04 მაისის გადახდის ბრძანების შესაბამისად მოსარჩელეს ბანკის სასარგებლოდ დაეკისრა 7485,17 ლარი. 2012 წლის 05 ივნისს შედგა სააღსრულებო ფურცელი.

36. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ ბანკის მიწერილობის თანახმად კრედიტორი სააღსრულებო სამსახურს ატყობინებს მოსარჩელის მიმართ მოთხოვნის 5225 ლარამდე შემცირების შესახებ.

37. სააპელაციო სასამართლომ დავის სამართლებრივი მონესრიგების თვალსაზრისით იმსჯელა, სესხის ხელშეკრულების შედგენისას მხარეთა რეალურ ნებაზე – მიმართული იყო იგი 293 თუ 293000 აშშ დოლარის სესხებისკენ [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ-ის) 52-ე მუხლი]. აღნიშნულის გასარკვევად კი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ

მხედველობაში იყო მისაღები „გონიერი ადამიანის“ ქცევის სტანდარტიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაში მითითებული სადავო სესხის თანხების შეუსაბამობა, რომელთაგან, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი მათგანი მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბევრად უფრო შესაძლებელი იყო, შეცდომა დაშვებულიყო სესხის თანხის ციფრობრივ, ვიდრე მის სიტყვიერ აღნიშვნაში, რამდენადაც სადავოდ გამხდარი სიტყვიერი აღნიშვნა გაცილებით მეტი წერილი-გრაფიკული ნიშნის შემცველია, ვიდრე სესხის თანხის ციფრობრივი აღნიშვნა.

38. სააპელაციო პალატამ მიუხედავად ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა (სსკ-ის 319-ე მუხლი) ძნელად წარმოსადგენად მიიჩნია სესხის ხელშეკრულების დადება 293 აშშ დოლარზე, რადგან უფრო ლოგიკური იქნებოდა სესხის ხელშეკრულების დადება 300 აშშ დოლარზე, 290 აშშ დოლარზე, ან/და თუნდაც 295 აშშ დოლარზე.

39. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო სესხის ხელშეკრულებაში ციფრობრივად მითითებული თანხა (293 აშშ დოლარი), როგორც წესი, სასესხო ურთიერთობებში არ წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს. ამდენად, სესხის ოდენობის დადგენისას, გონიერი ადამიანი უპირატესობას მიანიჭებდა სიტყვიერ ჩანაწერს, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, 293 000 აშშ დოლარის სესხება უფრო ლოგიკური იყო ვიდრე, 293 აშშ დოლარის. ამასთან, სესხის ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დაამოწმა ნოტარიუსმა, თუმცა, 293 აშშ დოლარზე სესხის ხელშეკრულების დადებისას ხელმოწერების ნოტარიუსის მიერ დადასტურება, უფრო ალოგიკური იყო, ვიდრე ლოგიკური.

40. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2013 წლის 14 იანვარს აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაიწყო გამარტივებული წარმოება მოპასუხის მიმართ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. მოპასუხემ კი, მას შემდეგ, რაც შეიტყო აღნიშნულის თაობაზე, (2013 წლის 24 იანვარი) 2013 წლის 04 თებერვალს წარადგინა პროტესტი.

41. იმავდროულად, მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება, 2013 წლის 29 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე განკარგა მცირეწლოვანი შვილები: პირველი და მეორე დასაჩუქრებულების სასარგებლოდ. მოპასუხის მიერ უძრავი ქონების განკარგვა განხორციელებული იყო ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მისი შეტყობინებიდან (24.01.2013წ.) 5

დღის შემდეგ (29.01.2013წ). ამ გარემოების გაანალიზებისა და შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 293 აშშ დოლარის სასესხო დავალიანების გადახდისაგან თავის არიდების გამო, მოპასუხე შეტყობინების მიღებიდან 5 დღეში არ გააჩუქებდა ბინას მისსავე ქალიშვილებზე, რომლებმაც, შემდგომ დედის სასარგებლოდ განკარგეს მითითებული უძრავი ქონება, ხოლო, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, კვლავ დაუბრუნა უძრავი ნივთი შვილებს.

42. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სესხის ხელშეკრულებაში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობა და მხარეებმა სესხის ხელშეკრულება შეადგინეს 293 000 აშშ დოლარის გადაცემის მიზნით.

43. რაც შეეხება ამ მოცულობის თანხის უზრუნველყოფის გარეშე გაცემის საკითხს, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ ეჭვის საფუძველად მიიჩნია, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ ამ დროისათვის მოპასუხის სადავო უძრავი ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ 01.07.2008 წლის იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, ირკვეოდა ისიც, რომ მოპასუხეს, 12.10.2005 წელს დადებული სესხის ხელშეკრულების თანახმად, ბანკისაგან მიღებული ჰქონდა 250 000 აშშ დოლარი, 25 წლის ვადით. ხოლო, ვალდებულებით გრაფაში იყო მითითება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.12.2011 წლის №2/13410-11 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ედო ყადაღა. ამდენად, უძრავ ქონებაზე ყადაღის არსებობისას, შეუძლებელი იყო მისი დამატებით უფლებრივი დატვირთვა. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ 2012 წლის 04 სექტემბრის ხელშეკრულებით გაცემული სესხი არ იყო სარგებლიანი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ამ თანხის გადაცემით მოსარჩელე არ იყო დაინტერესებული. შესაბამისად, იგი, მოპასუხესთან ახლო ურთიერთობაში ყოფნის გამო, არ იყო დაინტერესებული მოთხოვნა უზრუნველყოფა ქონებით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით.

44. რაც შეეხება აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან, 2012 წლის 04 სექტემბრის სესხის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის თავად მოსარჩელე მხარეს გააჩნდა კრედიტორების მიმართ ვალდებულებები, შესაბამისად, 293 000 აშშ დოლარის მოცულობის ფულადი თანხა მას არ გააჩნდა და იგი ამ ოდენობის თანხის გასესხებას ვერ შეძლებდა. სააპელაციო სა-

სამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხის და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით. სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა მიერ მათი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძვლად მითითებულ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არა აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. თუმცა, რაც შემთხვევებში, მტკიცებულების არჩევის აუცილებლობას თვით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს. ფულადი ვალდებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების წარმოშობის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს მოვალისათვის თანხის გადაცემის ფაქტზე. სესხის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა და იგი დადებულად ითვლება მსესხებლისათვის თანხის ან გვაროვნული ნივთის გადაცემის მომენტიდან. სესხის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, გასესხებული თანხის გადაცემის დამტკიცების მოვალეობა აქვს გამსესხებელს. ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს თანხის გადაცემის და შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს ზეპირი სახის მტკიცებულებებით – მონმის ჩვენებით, მხარის ახსნა-განმარტებით.

45. ამდენად, კანონმდებელი სესხის ხელშეკრულების წერილობით ფორმას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, რადგან ხელშეკრულების სადავობისას მხარეთა ინტერესების დაცვა იყოს გარანტირებული, გამსესხებელი – თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად მიუთითებდა წერილობითი ფორმით დადებულ სესხის ხელშეკრულებაზე, მსესხებელს კი, უნდა ედასტურებინა ამ საბუთის უსწორობა.

46. მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა გასესხებული თანხის გადაცემის დამტკიცების მოვალეობა და არა გასესხებული თანხის წარმოშობის წყაროს დამაჯერებლობა. შესაბამისად, თუ საიდან გააჩნდა გამსესხებელს თანხის ეს ოდენობა, გამსესხებლის მტკიცების საგანში შემავალ გარე-

მოებას აღარ წარმოადგენდა.

47. ამასთან, თავის მხრივ, არც მოპასუხეს წარუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც გააბათილებდა სანოტარო წესით დადასტურებულ წერილობით სესხის ხელშეკრულებაში მითითებული სესხის ოდენობას (293 000 აშშ დოლარი) და მტკიცების ტვირთს, ამ ნაწილში, შეაბრუნებდა მოსარჩელე მხარისკენ.

48. სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

49. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

50. ზემოაღნიშნული მუხლებისა და სსკ-ის 623-ე-624-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორმა მოვალეს სესხად გადასცა სწორედ 293 000 აშშ დოლარი.

51. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავო ჩუქების ხელშეკრულებების ბათილობის საფუძველად მიუთითებდა მათ მოჩვენებითობაზე [სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი]. მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). ამრიგად, აუცილებელი იყო ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამომვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამომვლენას. მითითებული გარემოებების დადასტურება გარიგების ბათილობის მომთხოვნი მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

52. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოპასუხეები იყვნენ ოჯახის წევრები. კერძოდ, დადგინილი იყო, რომ პირვე-

ლი და მეორე დასაჩუქრებული წარმოადგენდა მოპასუხის და ე. ც-ის შვილებს. მოპასუხე და ე. ც-ე იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში 2009 წლის 29 ივლისიდან.

53. ამასთან, ჩუქების ხელშეკრულების საგანზე, დროის მოკლე პერიოდში, რამდენჯერმე გაფორმდა ჩუქება-გაჩუქება, რაც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას, ოჯახის წევრები მოქმედებდნენ იმ განზრახვით, რომ შეენარჩუნებინათ საკუთრება სადავო ბინაზე, რომელიც შესაძლოა, მოსარჩელის მიმართ სასესხო ვალდებულების არსებობის გამო, მიქცეულიყო სარეალიზაციოდ.

54. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული პრეზუმირებული ფაქტები ქმნიდნენ სადავო გარიგებების მოსაჩვენებლად დადების ვარაუდს, რაც ცსკ-ის 56.1 მუხლის მიხედვით, ამ გარიგებების ბათილობის საფუძველი იყო.

55. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხეებმა წარადგინეს საკასაციო საჩივარი. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ შეგნებულად არ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 17 იანვრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეტყობინება მოვალეს ან/და მისი ოჯახის წევრს არ ჩაბარებია.

56. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ ბანკის წარმომადგენლის წერილის მიხედვით ირკვეოდა, რომ კრედიტორი სააღსრულებო სამსახურს ატყობინებს მოსარჩელის მიმართ მოთხოვნის 5225 ლარამდე შემცირების შესახებ. შეტყობინება გაკეთდა 2012 წლის 20 დეკემბერს, ხოლო კრედიტორისადმი არსებული დავალიანება მოსარჩელემ დაფარა ერთი წლის შემდეგ – 2013 წლის 18 დეკემბერს.

57. კასატორთა მოსაზრებით, ციფრობრივი და სიტყვიერი აღნიშვნა არის არა მექანიკური შეცდომა, არამედ იგი გაკეთებულია წინასწარ განზრახვით, ვინაიდან მოსარჩელე 2009 წლიდან იმყოფებოდა უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში (2009 წლის 25 სექტემბრიდან ვერ ფარავდა ბანკის კრედიტს, რის გამოც, მისმა დავალიანებამ შეადგინა 20 193 ლარი). იმავდროულად, სადავო ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2012 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად თუ მოვალეს მართლაც ჰქონდა დავალიანება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა მას ეთხოვა მოსარჩელისათვის ამ თარიღის კორექტირება. კასატორები განმარტავენ, რომ 2013 წლის 14 იანვარს მოსარჩელის სააღსრულებო ბიუროსთვის მიმართვის

ერთადერთი მიზანი ისეთი დოკუმენტის შექმნა იყო, რომელიც გააცოცხლებდა ვადაგასულ ხელშეკრულებას და მას ქმედუნარიანს გახდიდა სხვადასხვა პირებთან ურთიერთობაში. აქვე კასატორები უთითებენ, რომ აღნიშნული გამარტივებული წარმოების დაწყებას თანხის ამოღების მიზანი არ ჰქონია. ასევე, იმის გამო, რომ მოსარჩელემ სარჩელი სასამართლოში აღძრა გამარტივებული წარმოების შეწყვეტიდან შვიდი თვის შემდეგ.

58. კასატორები განმარტავენ, რომ სააპელაციო პალატამ ყურადღება არ მიაქცია მონმედ დაკითხული ნოტარიუსის ახსნა-განმარტებას, სადაც მან დეტალურად აღნიშნა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა სანოტარო მოქმედების შესრულების ღირებულებას, რაც სესხის თანხაში შედიოდა ანუ 293 აშშ დოლარში. მოპასუხეები აქვე უთითებენ, რომ პალატამ ასევე არ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ნოტარიუსის მიერ მარტივი წერილობითი ფორმით დადებული სადავო ხელშეკრულების მხოლოდ ხელმოწერები იქნა დამონმებული.

59. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოპასუხეს დიდი ფინანსური ვალდებულებები ჰქონდა (მას სახლ-კარს უყიდნენ და იგი მოაღებეს ემალებოდა) და იგი 300 დოლარს არ ისესხებდა.

60. რაც შეეხება სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარეშე გაცემის საკითხს, კასატორმება მიუთითებს, რომ ვინაიდან, მოვალის უძრავ ქონებას ედო ყადაღა, სააპელაციო პალატამ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს წარდგენილი ჰქონდა 200-გვერდიანი დოსიე, რომლის მიხედვით მოპასუხეს სხვა ქონებაც (აქტივები) გააჩნდა.

61. უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში, კასატორები მიუთითებენ, რომ სადავო უძრავ ქონებას 2013 წლის 29 იანვარს მოეხსნა ყადაღა, რის შედეგადაც მოპასუხემ შვილებს საკუთრებაში გადასცა უძრავი ქონება. შესაბამისად, თუ მოპასუხეს სურვილი ჰქონდა ვალდებულებებს გაქცეოდა, იგი ბინას გაასხვისებდა კეთილსინდისიერ შემძენზე.

62. კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან სესხი არ იყო სარგებლიანი, მას არ სჭირდებოდა უზრუნველყოფა.

63. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა მონინალმდეგე მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მისთვის გადაცემული თანხა წარმოადგენდა ბანკიდან გამოტანილ კრედიტს, რომელიც მონინალმდეგე მხარემ ერთ-ერთი კომპანიის სახელით სესხის სახით გამოიტანა და კასატორ გ.

ხ-ვილს გადასცა სხვა ბანკის ნარინჯისფერ კონვერტში ჩადებული. აღნიშნულზე სააპელაციო პალატის სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ კრედიტი ბანკიდან იყო გამოტანილი, კონვერტიც ამავე ბანკის უნდა ყოფილიყო, რასაც იზიარებენ კასატორები. ისინი აპელირებენ, რომ ალოგიკურია 505 000 ლარის კონვერტში მოთავსება.

64. საკასაციო საჩივრის ავტორები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებაზე, კერძოდ, მის მიერ არა სესხის სახით გაცემული თანხის, არამედ, ბიზნესში ჩადებული თანხის თაობაზე, რომელი ბიზნეს-გეგმაც მის მიერ მოწონებული იყო. შესაბამისად, სადაო თანხა დაკავშირებული იყო მაღალ რისკებთან, რაც თავის მხრივ მოითხოვდა დაზღვევას.

65. კასატორები თვლიან, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტება მხარეთა შორის ახლო ურთიერთობის არსებობის თაობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან, ამის თაობაზე არანაირი მტკიცებულება არ არსებობს და აღნიშნულის მომხსენებელი მოსამართლის განსხვავებულ აზრში ასახვა სრულიად სამართლიანია.

66. კასატორთა განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში სადაო თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ყველა გარემოებას, კერძოდ, გამსესხებელმა უნდა განმარტოს თანხის წარმოშობის წყარო. სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ 4 წლის განმავლობაში საკუთარი საბანკო კრედიტის გადახდისათვის თავის არიდების ფაქტი. იგი წელიწადი და 9 თვე იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში სამი სხვადასხვა საქმიდან გამომდინარე. არ ფლობდა არანაირ უძრავ-მოძრავ ქონებას, არ ეწეოდა არანაირ სამეწარმეო საქმიანობას და არ უფიქსირდებოდა არანაირი შემოსავალი. შესაბამისად, კასატორები თვლიან, რომ ასეთ პირობებში, გაურკვეველია მოწინააღმდეგე მხარის მიერ 505 000 ლარის სარგებლისა და უზრუნველყოფის გარეშე სხვისთვის მიბილიზება, მაშინ, როცა არ გადაიხადა თავისი დავალიანება თუნდაც 5 000 ლარის ოდენობით. კასატორების მოსაზრებით, ლოგიკურობას მოკლებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ 293 000 აშშ დოლარზე ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ, როცა მას 2 წლის განმავლობაში სამი აღმასრულებელი ეძებდა და ვერ პოულობდა. ასევე, თანხის წარმოშობის წყაროდ საბანკო კრედიტის მითითება, საიდან გამომდინარეც, სარგებლის გადახდა თავად მოუწევდა.

67. კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხემ ოთხჯერ შეცვალა სადაო თანხის წარმოშობის წყარო და ვერც მისი გადაცემა ვერ დაამტკიცა. თავდაპირველად, აღნიშნავდა, რომ თანხის გადაცემა მოხდა ნოტარიუსის თანდასწრებით სანოტარო ბიუროში, შემდეგ შეცვალა პოზიცია და ამტკიცებდა, რომ სადაო თანხა ნოტარიუსთან მისვლამდე გადასცა ხელშეკრულების გაფორმების დღეს, თუმცა, კვლავ შეცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ თანხის გადაცემა წინა დღეს მოხდა მოწმის თანდასწრებით.

68. კასატორები თვლიან, რომ კასატორთა მიერ მტკიცებულებების წარუდგენლობის თაობაზე სააპელაციო პალატის განმარტება არ არის მართებული, რადგან კასატორების პოზიცია საქმეში არსებული მტკიცებულებების მითითებით სრულად არის მოყვანილი მათ წერილობით პოზიციაში, რომელზეც სააპელაციო სასამართლოს პასუხი არ გაუცია. კასატორები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩუქების ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებულ განმარტებაზე და თვლიან, რომ იგი არ ეფუძნება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ვინაიდან, მამამ სადავო ბინა საკუთარ შვილებს გადასცა საჩუქრად, ხოლო დასაჩუქრებულებს მიერ მისი გადაცემა საკუთარი დედისთვის განპირობებული იყო ბინის იპოთეკით დატვირთვისას იპოთეკარების მოთხოვნით, რომ მსესხებელი და მესაკუთრე ყოფილიყო ერთი და იგივე პიროვნება. კასატორთა განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (საჯარო რეესტრის ჩანაწერები) ადასტურებს სადაო ბინასთან დაკავშირებულ ჩუქების ხელშეკრულების მიზანს, რასაც შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვა და გამოირიცხა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ჩუქების ხელშეკრულება გამოირიცხავს შემძენის კეთილსინდისიერებას, ვინაიდან, გამჩუქებელი და შემძენი შეთანხმდნენ, მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგი.

69. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მიიჩნევენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორი და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები, სსკ-ის 338-ე და 345-ე მუხლები. ასევე, სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, სახელდობრ, სსკ-ის 56-ე, 185-ე, 312-ე, 319-ე და 623-ე მუხლები.

70. საკასაციო პალატის 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. საკასაციო პალატის 2017 წლის 6 სექტემბრის განჩინებით გადაწყდა, რომ სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა მომხდარიყო მხარეთა დასწრებით 2017 წლის 13 სექტემბერს. საკასაციო პალატის 2017 წლის 13 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის 5-ე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მხარეებს სსსკ-ის 218-ე მუხლის საფუძველზე მიეცათ დრო საქმის მორიგებით დასრულებისათვის. საკასაციო პალატაში 2017 წლის 29 ნოემბერს მხარეთა დასწრებით გამართულ ზეპირ სხდომაზე მხარეებმა განაცხადეს, რომ ვერ შეძლეს საქმის მორიგებით დასრულება და მოითხოვეს საქმის არსებითი განხილვა. საკასაციო პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის საოქმო განჩინებით სსსკ-ის 257-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 20 დეკემბრისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

71. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

72. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობა (მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სადავო თანხის გადაცემა) წარმოადგენს.

73. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სარჩელი საფუძვლიანია, რადგანაც მოსარჩელემ დაადასტურა წერილობით გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის თანხის რეალურად გადაცემის ფაქტი.

74. კასატორები ნაწილობრივ არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და პრეტენზიას გამოთქვამენ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით გამოკვლევის თაობაზე, რის შესაბამისადაც, სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

75. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველი ნორმა ადგენს საკასაციო პრეტენზიის დასაშვებობა-დასაბუთებულობის სტანდარტს და საკასაციო სასამართლოს წარმოუშობს ვალდებულებას, საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს კასატორის მითითებათა საფუძვლიანობა (სსსკ-ის 404.1 მუხლი).

76. საკასაციო განაცხადის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს სადავო ურთიერთობის იურიდიულ ბუნებაზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივებსა და საქმეში არსებულ სადავო მტკიცებულებებზე:

77. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატი სათვის სავალდებულო ძალის მქონეა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

78. 2012 წლის ოთხ სექტემბერს მხარეებმა წერილობით გააფორმეს სესხის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა გამსესხებლის (მოსარჩელე) მიერ, მსესხებლისათვის (მოპასუხე), ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, უსასყიდლო სესხის მიცემა და მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება; კერძოდ, ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, გამსესხებელი გასცემს მსესხებელზე სესხს საერთო თანხით 293 (ორასოთხმოცდაცამეტი ათასი) აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს სესხი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. სესხის თანხა მსესხებელს მიღებული აქვს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. 1.3. პუნქტის თანახმად, სესხის დაბრუნების ვადა არის ორი ათას თორმეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბერი. ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებ-

რივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

79. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4-ე მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

80. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის (ძირი თანხა) დაბრუნების მოთხოვნა – სსკ-ის 623-ე მუხლი [სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი], თანმიმდევრობით განხორციელებული უნდა იყოს მოთხოვნის საფუძვლის განმაპირობებელი შემდეგი წინაპირობები:

81. მსესხებელს გადაცემული უნდა ჰქონდეს განსაზღვრული (სადავო) თანხა საკუთრებაში და უნდა კისრულობდეს განსაზღვრულ ვადაში, გადაცემული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებას.

82. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

83. სესხის ხელშეკრულება არის ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულება, თუმცა იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდლე-შიო რჩენა.

84. სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პირის ნებაა გამოვლენილი (რამეთუ ხელშეკრულება ზოგადად გულისხმობს ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენას), არამედ იმაზე, თუ როგორაა განანილებული უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების მხარეებს შორის. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემულის დაბრუნება, ხოლო მსესხებელი კი, ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

85. სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როცა გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ხელშეკრულების საგანს. მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას.

86. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სადავო იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, საკასაციო პალატამ შემდეგი განმარტება გააკეთა: „სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება)“ (შდრ: სუსგ №ას-1245-1168-2015, 20.05.2016წ.). სხვა საქმეშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას.

ბას ანუ, იგი დადებულად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (მდრ. სუსგ, საქმეზე №ას-361-343-2015, 14.12.2015).

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და სამართლებრივი ძალის აუცილებელი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლის საკუთრებაში რეალურად გადაცემა, სადავობის შემთხვევაში, მოსარჩელემ (გამსესხებელმა) უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებაც ფაქტობრივი გარემოებაც.

88. საგულისხმოა, რომ საკითხი იმის შესახებ თუ დავის მონაწილე რომელმა მხარემ უნდა ადასტუროს თანხის გადაცემის ანუ, ხელშეკრულების დადების შესახებ გარემოება, არ რეგულირდება მატერიალური სამართლის ნორმით. სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნას სსსკ-ის ზოგადი ნორმა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისთვის [სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი], რომლის თანახმად თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. ანუ გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით.

89. სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად,

არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებუ-
ლი თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტუ-
რებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წე-
რილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის
ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (შდრ: სუსგ №ას-398-
371-2017, 06 ივნისი, 2017 წელი).

90. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სა-
მართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველ-
ზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძ-
ლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან
გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნე-
ბი, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე
განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძ-
ვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა
იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირ-
ველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნ-
და დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თა-
ვის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომ-
ლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სა-
ხის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სა-
ხის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა გასესხებული თან-
ხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ და-
საშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით სა-
ბუთს.

91. მაშასადამე, სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლე-
ბა და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსეს-
ხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთ-
რებაში გადაცემის მომენტიდან გარიგებით შეთანხმებულ ვა-
დაში (შდრ. სუსგ №ას-361-343-2015, 14.12.2015წ.). შესაბამისად,
მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე
შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ
ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის
ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცი-
ლებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსეს-
ხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა.

92. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2012 წლის
04 სექტემბერს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორ-
მდა სესხის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი
ფულადი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო 2012 წლის 31
დეკემბერს. სესხის ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერე-
ბის ნამდვილობა დაადასტურა ნოტარიუსმა. მოსარჩელემ სარ-

ჩელი აღძრა მოპასუხისათვის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 293000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

93. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორების ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელემ (გამსესხებელმა) მსესხებელს (მოპასუხეს) გადასცა მხოლოდ 293 აშშ დოლარი. შესაბამისად, 292707 აშშ დოლარის ნაწილში სესხის ხელშეკრულება არ ითვლება დადებულად, რადგან მოსარჩელეს (აპელანტს) მოპასუხისათვის (კასატორისათვის) ეს თანხა საკუთრებაში არ გადაუცია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში, კასატორებმა წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

94. საკასაციო პალატა არ იმსჯელებს საკითხზე ნამდვილად არსებობდა თუ არა სესხზე შეთანხმება მხარეთა შორის. მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 293 აშშ დოლარი. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მხოლოდ მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

95. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია განიმარტოს, სესხის ხელშეკრულების შედგენისას მხარეთა რეალური ნება მიმართული იყო 293 თუ 293000 აშშ დოლარის სესხებისკენ. საკითხის ამგვარი კვლევა განპირობებულია იმით, რომ წერილობით ხელშეკრულებაში ციფრობრივად სესხის სახით გადაცემულ თანხად მითითებულია 293, ხოლო სიტყვიერად – 293 000 აშშ დოლარი.

96. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიიჩნევს, რომ მოპასუხეს არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც გააბათილებდა სანოტარო წესით დადასტურებულ წერილობით სესხის ხელშეკრულებაში მითითებული სესხის ოდენობას (293 000 აშშ დოლარი) და მტკიცების ტვირთს, ამ ნაწილში, შეაბრუნებდა მოსარჩელისაკენ. იმგვარი საკანონმდებლო დანაწესის პირობებში, რომლის თანახმადაც, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის

ხელშეკრულება [სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი], ხოლო წარმოშობილი ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას [სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი], ასევე, სსკ-ის 623-ე-624-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ კრედიტორს მოვალისათვის (მოსარჩელეს მოპასუხისათვის) სესხად გადაცემული ჰქონდა სწორედ 293 000 აშშ დოლარი.

97. განსახილველ შემთხვევაში, კასატორების მიერ სწორედ სესხის სახით გადაცემული თანხის ოდენობის კუთხითაა წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო შედაგება (პრეტენზია).

98. კასატორები სადავოდ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც შეეხება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 292707 დოლარის ნაწილში სესხის თანხას გადაცემას.

99. ამ თვალსაზრისით, ყურადღებაა მისაქცევი კასატორების იმ პოზიციაზე, რომ სესხის წერილობით ხელშეკრულებაში სესხად გადაცემული თანხის ციფრობრივი და სიტყვიერი აღნიშვნა არის არა მექანიკური შეცდომა, არამედ იგი გაკეთებულია წინასწარ განზრახვით, ვინაიდან მოსარჩელე 2009 წლიდან იმყოფებოდა უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში (2009 წლის 25 სექტემბრიდან ვერ ფარავდა ბანკის კრედიტს, რის გამოც, მისმა დავალიანებამ შეადგინა 20 193 ლარი). იმავედროულად, სადავო ხელშეკრულებას ვადა ამოიწურა 2012 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, თუ მოვალეს მართლაც ჰქონდა დავალიანება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა მას ეთხოვა მოსარჩელისათვის ამ თარიღის კორექტირება.

100. კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება მოვალის მიერ 4 წლის განმავლობაში საკუთარი საბანკო კრედიტის გადახდისათვის თავის არიდების ფაქტი. მოვალე წელიწადი და 9 თვე იმყოფებოდა მოვალეთა რეესტრში სამი სხვადასხვა საქმიდან გამომდინარე. არ ფლობდა არანაირ უძრავ-მოძრავ ქონებას, არ ეწეოდა არანაირ სამეწარმეო საქმიანობას და არ უფიქსირდებოდა არანაირი შემოსავალი. ასეთ პირობებში, გაურკვეველია გამსესხებლის მიერ 505 000 ლარის სარგებლისა და უზრუნველყოფის გარეშე სხვისთვის მობილიზება, მაშინ, როცა არ გადაიხდა თავისი დავალიანება თუნდაც, 5 000 ლარის ოდენობით.

101. კასატორები განმარტავენ, რომ სააპელაციო პალატამ

ყურადღება არ მიაქცია მონმედ დაკითხული ნოტარიუსის ახსნა-განმარტებას, სადაც მან დეტალურად აღნიშნა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა სანოტარო მოქმედების შესრულების ღირებულებას, რაც სესხის თანხაში შედიოდა ანუ 293 აშშ დოლარში.

102. საკასაციო პალატა იზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ/ აპელანტმა/ გამსესხებელმა დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების – 292707 დოლარის მსესხებლისათვის გადაცემის დამტკიცება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით კი, მოსარჩელე ვალდებულია სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით ასახოს მისი მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილი). კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ოთხჯერ შეცვალა სადავო თანხის წარმოშობის წყარო და ვერც თანხის რეალურად გადაცემა დამტკიცა.

103. თავდაპირველად მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ თანხის გადაცემა მოხდა ნოტარიუსის თანდასწრებით სანოტარო ბიუროში, შემდეგ შეცვალა პოზიცია და ამტკიცებდა, რომ სადავო თანხა მოპასუხეს ნოტარიუსთან მისვლამდე გადასცა ხელშეკრულების გაფორმების დღეს, თუმცა, კვლავ შეცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ თანხის გადაცემა სესხის შეთანხმებაზე ხელმოწერის წინა დღეს მოხდა მოწმის თანდასწრებით.

104. ასეთი არათანმიმდევრული პოზიციის პირობებში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტით – 2012 წლის 04 სექტემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებულ მხოლოდ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეცანა დასკვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მოცულობის – მსესხებლისათვის სესხად გადაცემული თანხის ოდენობის შესახებ.

105. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა საონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე

ნაწილი} (შდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.2017წ.) „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული. „მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს) (შდრ. სუსგ №ას-№ას-929-891-2014, 22.04.2015)“. „სასესხო ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობების მტკიცების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სადავოობისას სესხის ხელშეკრულების დადების – თანხის გადაცემის ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრება გამსესხებელს – მოსარჩელეს (შდრ. სუსგ №ას-1067-1026-2016, 23.06.2017წ.)“.

106. 2012 წლის 04 სექტემბრის სესხის ხელშეკრულება არ შეიცავს დამაჯერებელ, უტყუარ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. შესაბამისად, მხოლოდ ამ დოკუმენტით გაურკვეველია, მოპასუხეს გადაეცა თუ არა სადავო 292 707 აშშ დოლარი და მას წარმოეშობა თუ არა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი ოდენობის თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება.

107. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბა-

მისად, საპელაციო სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო სამართალწარმოების ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს მხარეთა შორის 292707 აშშ დოლარის ნაწილში სასესხო სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, რომლის გადანყვეტის გარეშეც შეუძლებელია მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან მარტოდენ სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას.

108. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საპელაციო პალატამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს მოსარჩელის უფლების არსებობის საკითხი.

109. იმავდროულად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილია სადავო გარიგებათა (ჩუქების ხელშეკრულებები) ბათილობის ნაწილშიც, თუმცა, ამ ეტაპზე მათზე საკასაციო პალატა არ იმსჯელებს, რამდენადაც ამ საკითხის კვლევა მხოლოდ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე სესხად გადაცემული თანხის ოდენობის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშია მიზანშეწონილი, რამეთუ საპელაციო სასამართლოს ძირითადი დასკვნები სადავო ჩუქების გარიგებათა ბათილობის ნაწილში, დაეყრდნო სწორედ მოპასუხის მხრიდან სადავო თანხის – 293 000 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულების თავის არიდების საფუძვლის არსებობას, სადავო უძრავ ქონებაზე თვალთმაქცური გარიგების (სსკ-ის 56-ე მუხლი) დადების კონტექტში.

110. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ

საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადანყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ხ-ვილის, ე. ც-ის, მ. ხ-ვილის, ს.-ვ. ხ-ვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ნარდობა

შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1100-1057-2016

9 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტიშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-
ფუძვლები:

1.1. შპს „ნ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასა-
ტორი ან მენარდე) სარჩელი აღძრა სასამართლოში წალენჯი-
ხის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში – მოპასუხე, მო-
წინააღმდეგე მხარე ან შემკვეთი) მიმართ და მოითხოვა შეს-
რულებული სამუშაოს ღირებულების – 219 611,97 ლარის ანაზ-
ღაურება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:
მოსარჩელე წარმოადგენს ტენდერში გამარჯვებულ კომპანი-
ას, რომელთანაც 2013 წლის 18 ოქტომბერს გაფორმდა სახელ-
მწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლის თა-
ნახმადაც, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა ქ. წა-
ლენჯიხაში, თ-ის, ს-იას, მ-ის, კ-ას, შ-იას, ფ-ის, მ-ასა და კ-იას
სახელობის ცენტრალური მოედნის შავის საფარის სარეკონ-
სტრუქციო სამუშაოების წარმოება 2013 წლის 20 დეკემბრამ-
დე. 2013 წლის 16 დეკემბრის ცვლილების თანახმად, სამუშაო-
ების შესრულების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 15 მაისამდე,
თავის მხრივ, შემკვეთმა იკისრა ვალდებულება, მოსარჩელი-
სათვის ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოებისა და ინსპექ-
ტირების ჯგუფის დადასტურებული მოცულობის შესაბამისად,
მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტუ-
რის წარდგენის საფუძველზე, მისი წარდგენიდან 10 დღეში გა-

დაეხადა სამუშაოს ღირებულება, რომლის ჯამურმა ოდენობამაც შეადგინა 1 486 385 ლარი. ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, სამუშაოს მიღებისათვის სავალდებულო იყო ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარდგენა, თუმცა, გაურკვეველი მიზეზის გამო, ექსპერტიზამ დასკვნა არ გასცა მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული ტექნოლოგიური წესების გამოყენების გამო, შესაბამისად ამისა, კვლევისათვის მენარდემ მიმართა შპს „კავკასიური ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიის“ საგამოცდო ლაბორატორიას, რომლის დასკვნებითაც დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელემ სამუშაოები სათანადო ტექნოლოგიური წესების დაცვით შეასრულა. სამუშაოების წარმოება დასრულდა 2014 წლის 15 მაისს. სამუშაოების შესრულების ყოველ ეტაპზე განხორციელდა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა, რომელთა დადასტურების შემთხვევაშიც, თანხა ირიცხებოდა მენარდის ანგარიშზე. შემკვეთმა ააწარმოა მხოლოდ მისი ნაწილი – 1 263 221,68 ლარი, რაც შეეხება 219 611,97 ლარს, იგი აღიარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით, თუმცა, ამ ვალდებულებას მოპასუხე არ ასრულებს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების შემფარხებელი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ, ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საჭირო იყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დადასტურება სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრებოდა მოსარჩელეს. ამ უკანასკნელმა კი, ხელშეკრულებით ნაკისრი დადასტურების ვალდებულება ვერ უზრუნველყო. მოპასუხემ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 5.11. პუნქტით, რომლის თანახმადაც შემკვეთი უფლებამოსილია, ექსპერტიზის დასკვნის წარდგენამდე შესრულებული სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ის ოდენობით. ინსპექტირების ჯგუფის 2015 წლის 6 იანვრის №1/2 აქტის თანახმად, მიზანშეუწონლადაა მიჩნეული მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა ზემოხსენებული დასკვნის წარმოდგენამდე, ხოლო, ხელშეკრულების პირობების თანახმად, ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება საკუთარი ხარჯით ეკისრება მენარდეს. ამდენად, მოსარჩელის

მტკიცება, რომ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიუხედავად, შემკვეთმა ვერ უზრუნველყო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, საფუძველსაა მოკლებული. გარდა ამისა, მენარდემ გადააცილა სამუშაოს შესრულების ვადას, რის გამოც მოპასუხემ არაერთხელ გაფრთხილა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, წარედგინა შესაბამისი დასკვნა და გადაეხადა პირგასამტეხლო, ამ ვალდებულებათა დარღვევის გამო კი, შემკვეთმა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და უარი განაცხადა დარჩენილი თანხის გადახდაზე.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის პრეტენზიები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ნორმის მე-2 ნაწილი გვთავაზობს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, თუ რა განიხილება სამართლის ნორმის დარღვევად, მათ შორისაა სასამართლოს მიერ მოთხოვნის

დამფუძნებელი ნორმის არასწორი განმარტება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ძალით კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

1.2. საკასაციო განხილვის საგანს წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერება, რომლის ფარგლებშიც მენარდე აცხადებს, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულა ჯეროვნად, ხოლო შემკვეთი, რომელმაც ფაქტობრივად მიიღო შესრულება, დაუსაბუთებლად აცხადებს უარს შემხვედრ შესრულებაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, საზღაურის სრულად გადახდაზე უარს ასაბუთებს იმით, რომ მენარდემ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, სათანადო მტკიცებულების წარდგენით არ დაადასტურა სამუშაოს ჯეროვანი შესრულების ფაქტი, რის გამოც იგი გავიდა ხელშეკრულებიდან და აღარ არსებობს შესრულებული სამუშაოს ღირებულების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები.

1.3. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უმთავრეს წინაპირობად მიიჩნიეს სწორედ ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ, ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ვერ შეძლო შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხთან შესაბამისობის დადასტურება. სასამართლოების ამ დასკვნას არ ეთანხმება მენარდე და პრეტენზიას აცხადებს საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის არასათანადო შეფასებაზე.

1.4. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.4.1. 2013 წლის 18 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... (20570) ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უნდა განეხორციელებინა ქ. ნალენჯიხაში, თ-ის, ს-იას, მ-ის, კ-ას, შ-იას, ფ-ის, მ-ას ქუჩებისა და გ.კ-იას სახელობის ცენტრალური მოედნის შავი საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც შემდგომში დაემატა ე-სა და მ-იას ქუჩის ასფალტის საფარის მოპირკეთება. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 1 486 385 ლარით. შესრულების საბოლოო ვადა – 2014 წლის 1 მაისამდე, ხოლო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2014 წლის 15 მაისამ-

დე;

1.4.2. ხელშეკრულების 2.3. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ანგარიშსწორება ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მათი წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა მენარდეს;

1.4.3. ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და მოპასუხის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული წესებისა და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, მენარდე ვალდებული იყო, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, არ მიეღო სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოეყენებინა ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვებოდა მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე (ხელშეკრულების 15.1. პუნქტი). გარდა ამისა, შემკვეთი უფლებამოსილი იყო, ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოებზე შეეჩერებინა საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ის ოდენობით (ხელშეკრულების 5.11. პუნქტი). სარჩელით მოთხოვნილი თანხა – 219 611,97 ლარი, სწორედ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ს შეესაბამება;

1.4.4. 2015 წლის 2 ოქტომბერს მოსარჩელემ წერილით მიმართა შემკვეთს და აღნიშნა რომ 2013 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გამოკვლევა ჩა-

ატარა რუსული გოსტ-ის მიხედვით. ექსპერტიზის დასკვნით მიჩნეული იქნა, რომ ასფალტის ხარისხი ვერ აკმაყოფილებდა „გოსტ 9128-84“ მოთხოვნებს, რის გამოც სამუშაოების ღირებულების დადგენა შეუძლებელი იყო. აღნიშნულის შემდეგ, მენარდემ წაღწევის ზოგიერთ ქუჩებზე (შ-იას, ფ-ისა და თ-ის ქუჩა) ამოჭრა კერები და ჩაატარა მათი ლაბორატორიული კვლევა აკრედიტაციის მქონე შპს „კავკასიური ინფრასტრუქტურის ტექნოლოგიის“ საგამოცდო ლაბორატორიაში, რომლის დასკვნითაც დგინდება, რომ ასფალტობეტონის ნარევები აკმაყოფილებდა გერმანული სტანდარტის მოთხოვნებს;

1.4.5. ინდ.მენარმე დამოუკიდებელი ექსპერტ „დ-ის“ 2016 წლის 20 იანვრის №002/0-1 დ.რ. დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი გაცნო შესრულებული სამუშაოს შესახებ დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილებით, საქართველოში სამოქმედოდ დასაშვებად იქნა მიჩნეული გერმანიის რესპუბლიკაში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებით დამატებით, დროებით სამოქმედოდ დაიშვა ყოფილ საბჭოთა კავშირში 1992 წლამდე მოქმედი და შემდგომ პერიოდში მოდიფიცირებული სამშენებლო ნორმები და წესები, თუმცა №52 დადგენილებას არ გაუბათილებია ან არ აუკრძალავს 2006 წლის 24 თებერვალს მიღებული №45 დადგენილებით დასაშვები ნორმები და წესები, რისი გათვალისწინებით, გერმანიის რესპუბლიკაში მოქმედი ნორმები და წესები დღესაც მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორს ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, არამედ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი სადავოდ ხდის სამუშაოს შესრულების დადასტურების მიზნით მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების მართლზომიერებას.

1.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის შედავებას ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან საპროცესო სასამართლის ნორმის დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ

დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. ამ მხრივ, პალატა ჯერ დავის მატერიალურ-სამართლებრივ, ხოლო შემდგომ საპროცესო წესებზე გაამახვილებს ყურადღებას:

1.6.1. უდავოა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ წარდობის ხელშეკრულებას. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. უდავოა ისიც, რომ მხარეები შეთანხმდნენ ანაზღაურების ოდენობასა (სკ-ის 630-ე მუხლი) და წესზე (სკ-ის 648-ე მუხლი), რომლის ფარგლებშიც განსაზღვრეს, რომ სამუშაოს შესრულების ხარისხი და ოდენობა უნდა დადასტურებულიყო სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნით (სკ-ის 641-ე მუხლი).

1.6.2. მოსარჩელე აცხადებს, რომ მან ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, რის მიუხედავადაც მოპასუხე არ ანაზღაურებს შეთანხმებულ საზღაურს სრულად. სარჩელშივეა განმარტებული, რომ სამუშაოს ჯეროვანი შესრულების ფაქტი სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ ვერ დაადასტურა სათანადო მეთოდოლოგიის არარსებობის გამო, ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით კი, დგინდება, რომ შესრულებას არ გააჩნია ნივთობრივი ნაკლი.

1.6.3. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლის შესწავლით დასტურდება, რომ შემკვეთი დარჩენილი საზღაურის გადახდაზე უარს ასაბუთებს წარდობის ხელშეკრულებით მხარეთა მიერ პირდაპირ გათვალისწინებული მტკიცებულების – სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარუდგენლობით და განმარტავს, რომ ინსპექტორების ჯგუფმა ამ საფუძვლით არ გააფორმა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება, ხელშეკრულების პირობების თანახმად, ეკისრებოდა მენარდეს საკუთარი ხარჯით, რაც არ განუხორციელებია, ამ, ასევე, ვალდებულების დარღვევის საფუძვლით კი, მოპასუხე გავიდა ხელშეკრულებიდან და ისარგებლა შეთანხმების 5.11. პუნქტით (შემკვეთი უფლებამოსილია, ექსპერტიზის დასკვნის წარდგენამდე შესრულებული სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულებით).

ბის 15%-ის ოდენობით).

1.6.4. არსებული ფაქტობრივი მოცემულობის საპროცესო-სამართლებრივი მხარის შეფასების მიზნით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო სამართალში აღიარებულია შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლის ფარგლებშიც სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ-ის 4.1. მუხლი). შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს რა სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის ქვაკუთხედს, მისი არა მხოლოდ მხარეთა, არამედ, სასამართლოს მხრიდან განუხრელი დაცვა პირდაპირ და უშუალო ინდიკატორად გვევლინება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებისა. სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე ხდება მხარეთა შედეგების საფუძვლიანობის კვლევა და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების სადავო და უდავო ფაქტებად კვალიფიცირება, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საპროცესო თავდაცვის საშუალებად ადგენს მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარდგენის უფლებას, რომელიც საქმის მომზადების ეტაპზე უნდა იქნეს წარდგენილი და პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს: მოპასუხე ვალდებულია, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს (სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები). აღნიშნული საპროცესო წესი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდე-

ნადაც, სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, შესაგებლთი შეუდავებელ ფაქტებს სასამართლოს მოსამზადებელი ეტაპის ამონურვის შემდგომ ველარ გახდის სადავოდ მოპასუხე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ბუნებრივია, ამ საპროცესო სტანდარტის დადგენა გავლენას ახდენს სასამართლო კვლევის საგანზე, რაც იმას ნიშნავს, მოსამართლე, როგორც ნეიტრალური არბიტრი, მტკიცებულებათა კვლევას ახორციელებს არა საკუთარი, არამედ, მხარეთა მიერ განხორციელებული შედავების ფარგლებში და ამ მხრივ ადგენს საქმის გადაწვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა-არარსებობას.

1.6.5. საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ 2016 წლის 11 მარტს რაიონულმა სასამართლომ დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა და ამ დრომდე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მოპასუხის მხრიდან დამატებითი შედავების წარდგენა არ იკვეთება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლო გასცდა შეფასების საგანს და შესაგებელში შესაბამისი შედავების არარსებობის პირობებში საკუთარი ინიციატივით მიიჩნია არასაკმარისად მოსარჩელის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით წარდგენილი ალტერნატიული კვლევის შედეგები. მტკიცებულებათა შეფასების ზემოხსენებული საპროცესო წესებიდან გამომდინარე, ვერ გაიზიარებს პალატა ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დამოუკიდებელი ექსპერტის კვლევის უარყოფას იმ საფუძლით, რომ „დასკვნა ეყრდნობა მხოლოდ თეორიულ საფუძვლებს; დამოუკიდებელ ექსპერტს პირადად არ შეუმონმებია ადგილზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი; არ ჩაუტარებია ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესასწავლად საკონტროლო ლონისძიებები; ექსპერტის მიერ დასკვნა მიღებულია, მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე; წარმოდგენილი დოკუმენტაცია კი მოიცავდა მხოლოდ, შპს „ნ-ის“ მიერ, გადამონმების მიზნით, წალენჯიხის ზოგიერთ ქუჩებზე კერძოდ: შ-იას, ფ-ისა და თ-ის ქუჩებზე ამოჭრილ კერნებს და კვლევის დროს არ არსებობდა კ-ას, მ-ის, მ-ას, ს-იას, ე-ს, მ-იას

ქუჩებისა და გ. კ-იას ცენტრალური მოედნიდან აღებული ნიმუშები. გარდა ამისა, დასკვნაში გამოყენებულია გაუქმებული ადმინისტრაციული აქტები და მასში არ არის მსჯელობა შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ხარისხის მაჩვენებელზე“. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომლის თანახმადაც, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის კვლევის თანახმად, შესრულებული სამუშაო იმ დროს მოქმედი ასფალტის საფარის ხარისხის მოქმედ ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა. საკასაციო სასამართლო ამ საკითხის სწორი ანალიზის მიზნით, საჭიროდ მიიჩნევს, შეაფასოს ხელშეკრულებით სამუშაოს ხარისხის განმსაზღვრელი წესი. საქმეში წარმოდგენილი ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოს მოცულობა და ხარისხი მენარდეს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარდგენით უნდა დაედასტურებინა. ხელშეკრულების ეს დებულება, სასამართლოს მოსაზრებით, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მხედველობაში იქნას მიღებული მისი დანიშნულება და ის, თუ რა შედეგის მიღწევას ისახავდნენ მიზნად მხარეები არსებით პირობებზე შეთანხმებისას, რადგანაც ხელშეკრულების დებულების უკრიტიკოდ გაზიარება ეწინააღმდეგება სამართლის პრინციპებს, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. უდავოა ის ფაქტი, რომ შეთანხმებული მტკიცებულების წარდგენა სამუშაოს ხარისხის განსაზღვრის მიზანს ემსახურება, თავის მხრივ, ნარდობის ხელშეკრულების სპეციფიკას წარმოადგენს უნაკლო ნივთის დამზადების ვალდებულება, თუ ხელშეკრულების საგანს ნაკეთობის დამზადება წარმოადგენს (სკ-ის 639-ე მუხლი). კანონმდებელი გვთავაზობს ნივთობრივი ნაკლის არაპირდაპირ დეფინიციას და 641-ე მუხლით ადგენს, რომ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ საექსპერტო დაწესებულების კვლევის შედეგებისადმი კონტრაჰენტის მაღალი სანდოობიდან გამომდინ-

ნარე, შესაძლებელია, მხარეთა წინასწარი შეთანხმება სრულად ექცეოდეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით დაცულ სფეროში (სკ-ის 327-ე მუხლი), თუმცა, იმ ვითარებაში, როდესაც კვლევის ჩატარებას ვერ ახერხებს ექსპერტი გარკვეული მიზეზით, ეს გარემოება არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მენარდეს და წაერთვას შესაძლებლობა, სხვა სპეციალისტის/ექსპერტის მიერ ნაწარმოებ კვლევაზე დაყრდნობით ადასტუროს მოვალეობის ჯეროვანი შესრულების ფაქტი. კანონის სხვაგვარი განმარტება მიგვიყვანდა სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით გარანტირებული კერძო ხასიათის ურთიერთობაში დამკვიდრებულ „პირთა თანასწორობის“ პრინციპის უარყოფამდე. საკასაციო პალატა მიუბრუნდება წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.4.4.; 1.6.3. და 1.6.4. პუნქტებში განვითარებულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ შემკვეთის დასაბუთებული შედაგების არარსებობის პირობებში გასაზიარებელია მოსარჩელის პოზიცია სამუშაოს უნაკლოდ შესრულების შესახებ. ამ დასკვნის საპირისპიროდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, შემკვეთს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ გერმანული სტანდარტით შესრულებული შავი საფარის სამუშაოები არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტს და გოსტ 9128-84 სტანდარტთან შედარებით, იგი გამოყენებისათვის არ არის ვარგისი.

1.6.6. ზემოთ განვითარებული მსჯელობის საპირისპიროდ, სარჩელის უარსაყოფად ვერ გამოდგება მოპასუხის შედაგება, მოსარჩელის მხრიდან სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევისა და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის გამო შემკვეთის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. ამ შემთხვევაში, უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის, რომ ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები, მეორად მოთხოვნამდე კრედიტორს ანიჭებენ სრულ შესაძლებლობას, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება ასეთის დამტკიცების შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 642-ე, 643-ე და 645-ე მუხლები), ხოლო 644-ე მუხლით ნაკეთობის ნაკლის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება პირველადი მოთხოვნის შესრულების კანონისმიერი რესურსები (სკ-ის 405-ე მუხლის წინაპირობები). მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთს შესაგებელში არ მიუთითებია, რომ ის ნაკლიანი შესრულების გამო გავიდა ხელშეკრულებიდან და ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად დაიცვა დამატებითი ვადის განსაზღვრის წინაპირობები, უფრო მეტიც, მოპასუხის შედაგების თუნდაც ფორმალურ-

სამართლებრივი თვალსაზრისით გაზიარება არ იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მენარდემ ნაკლიანი შესრულება განახორციელა, იგი საკუთარ პოზიციას ამყარებს მხოლოდ სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარუდგენლობაზე, ასევე აღნიშნავს, რომ არ მომხდარა ფორმა №2-ებისა და „სხვა დოკუმენტების“ წარდგენა. რაც შეეხება ვადის გადაცილებით გამოწვეული ჯარიმის საკითხს, შეგებებული სარჩელის არარსებობის პირობებში მას საკასაციო პალატა ვერ განიხილავს.

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასების ნაწილში წარმოადგინა დასაშვები საკასაციო პრეტენზია, რომლის ანალიზი იძლევა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველს. ამასთანავე, რადგანაც არც შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებელი ოდენობა და არც დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტორები გარემოება მხარეთა შორის სადავო არაა (არ იკვეთება სსსკ-ის 412-ე მუხლით განსაზღვრული საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც მენარდემ სამუშაოს ჯეროვანი შესრულების ფაქტის დადასტურება შეძლო სათანადო მტკიცებულებით, რომლის წინააღმდეგაც შემკვეთს არსებითი შესაგებელი არ აქვს წარმოდგენილი, სასამართლო თვლის, რომ არსებობს მენარდის სარჩელის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად

შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე სულ 13 000 ლარი გადაიხადა, ამ თანხის ანაზღაურება, ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე, უნდა დაეკისროს მოპასუხეს მენარდის სასარგებლოდ.

2.3. რაც შეეხება სააპელაციო სამართალწარმოებისას გადავადებულ სახელმწიფო ბაჟს – 7 000 ლარს, ვინაიდან მოპასუხე, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია, ამ ხარჯს გაიღებს სახელმწიფო, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ნ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ნ-ის“ სარჩელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, 2013 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდეს.
4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ს/კ №...) შპს „ნ-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს 219 611,97 ლარის გადახდა.
5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ს/კ №...) შპს „ნ-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ ასევე დაეკისროს პროცესის ხარჯის – 13 000 ლარის ანაზღაურება.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-1111-1031-2017

27 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სამედიცინო მომსახურების ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურების სახით პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „აკ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე ან მომსახურების გამწვევი) მიერ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, 2014 წლის ივნისში სს „ს-ში“ (შემდეგში: მოპასუხე ან მენარმე სუბიექტი ან სადაზღვევო კომპანია) დაზღვეული პირებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 36 115.80 ლარი, ხოლო 2014 წლის ივლისში – 7495.40 ლარი.

2. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების – 43611.20 ლარის გადახდის დაკისრება; აგრეთვე, 2014 წლის ივნისსა და ივლისში გაწეული მომსახურების გადახდის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება 2015 წლის 25 მარტამდე 10 097.94 ლარის, ხოლო 2014 წლის ივნისსა და ივლისში გაწეული სამედიცინო მომსახურების გადახდის ვადაგადაცილებისათვის – 2015 წლის 25 მარტიდან აღსრულებამდე ყოველდღიურად 43.61 ლარის გადახდის დაკისრება (დავალიანების 43611.20 ლარის 0.1%) [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 629-ე, 417-ე მუხლები].

3. მოპასუხემ სარჩელი უარყო, როგორც მომსახურების ღირებულების, ისე, მისი გადახდის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში. იმავდროულად, სადავო გახდა პირგასამტეხლოს გონივრულობა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ძირითადი დავალიანება – 43 611,20 ლარი; 2015 წლის 25 მარტამდე დარიცხული

პირგასამტეხლო – 10 097,94 ლარი, ხოლო 2015 წლის 25 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად – 43,61 ლარი; ასევე, მედიაციის სამსახურში გადახდილი ბაჟი – 1 000 ლარი.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სრულად გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა სადაზღვევო კომპანიამ, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დაეკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ივნისის თვის დავალიანება 36 115,80 ლარი. ივლისის თვის დავალიანება – 7 495,40 ლარი. ივნისის თვის დავალიანების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო – 2015 წლის 25 მარტამდე 1908,84 ლარი, ხოლო 2015 წლის 25 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად – 7,20 ლარი; ივლისის თვის დავალიანების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო – 2015 წლის 25 მარტამდე 307,50 ლარი, ხოლო 2015 წლის 25 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად, 1,50 ლარი; მედიაციის სამსახურში გადახდილი ბაჟი – 1000 ლარი.

6. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია განჩინების პ-1-ით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

7. სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურის რეკომენდაციით მხარეთა შორის დავის გადასაჭრელად შესაბამისი წარმოება სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურში გაიმართა.

8. სასამართლომ დავა მოაწესრიგა საქართველოს მთავრობის 14.05.2012 წლის №177 დადგენილებით (შემდეგში: დადგენილება).

9. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2014 წლის ივნისის და ივლისის თვეებში განეული სამედიცინო მომსახურების დამატურებული დოკუმენტაცია მოპასუხეს წარედგინა 2014 წლის 04 ივლისს და 2014 წლის 04 აგვისტოს (მომდევნო თვეების 5 რიცხვამდე), რაც შეესაბამებოდა „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადას.

10. №177 დადგენილების თანახმად, მოპასუხეს თანხა უნდა გადაეხადა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან 19 სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისად, ივნისის თვეში განეული მომსახურების საფასური – 36 115.80 ლარი უნდა გადაეხადა 2014 წლის 31 ივლისამდე, ხოლო ივლისის თვის საფასური – 7

495.40 ლარი კი, 2014 წლის 01 სექტემბრამდე.

11. მოპასუხემ დაარღვია გადახდის პირობები [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) მე-400 მუხლი. (დისპოზიციას: მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა)].

12. 2014 წლის ივლისის თვის მომსახურების მიმართ მოპასუხეს კორექტირებული აქტი არ წარუდგენია, ანუ ინსპექტირების შედეგად მხარეს პრეტენზია მოსარჩელის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით არ ჰქონია, თუმცა, ივლისის თვის სამედიცინო მომსახურების საფასური არ აუნაზღაურებია.

13. 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია საანგარიშგებო დოკუმენტაციის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება და მიმწოდებელთან წერილობით ან ელექტრონულად გააფორმოს ურთიერთშედარების აქტი, რომელსაც თან ერთვის რეესტრი შემთხვევების მიხედვით. რეესტრი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული შემთხვევის თაობაზე აღიარებული და კორექტირებული თანხების შესახებ. მზღვეველმა ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე აღიარებული თანხის გადარიცხვა უნდა მოახდინოს არა უგვიანეს ამ პერიოდის დამთავრებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში.

14. დადგენილია, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს ივნისის თვის მომსახურებაზე ინსპექტირების შედეგად შედგენილი კორექტირების აქტი სამი დღის დაგვიანებით, 2015 წლის 25 ივლისის ნაცვლად, 2014 წლის 28 ივლისს წარუდგინა.

15. №177 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ცალკეული შემთხვევა სადავო ინსპექტირების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გახდეს. ამავე დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სადავო შემთხვევის არსებობის მიუხედავად, ყველა სხვა სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება, დადგენილ ვადებში უნდა ანაზღაურდეს.

16. პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ივლისის თვის დავალიანება, რომელიც ინსპექტირების 15 დღის ვადაში მზღვეველის მიერ შეცილებული არ ყოფილა, საერთო წესით უნდა ანაზღაურდეს.

17. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს ივნისის თვის მომსახურებაზე ინსპექტი-

რების შედეგად შედგენილი კორექტირების აქტი დაგვიანებით წარუდგინა, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში და არ ყოფილა შედავებული სააპელაციო საჩივრით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავალიანება, სრული ოდენობით, საერთო წესის დაცვით ანაზღაურებას ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ კორექტირების აქტი დაგვიანებით იქნა გამოგზავნილი, რაც დავალიანებული თანხის ანაზღაურების უპირობო საფუძველია.

18. იმავდროულად, პალატამ იმსჯელა პაციენტ თ. შ-იას მკურნალობასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე და აღნიშნა, რომ ამგვარი პრეტენზიები თავისთავად არ წარმოადგენდა სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის წინაპირობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

19. №177-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მზღვეველი ვალდებულია არ ჩაერიოს მიმწოდებლის მკურნალობის ტაქტიკაში და სამედიცინო აუცილებლობის, მათ შორის, მედიკამენტების, სამედიცინო მანიპულაციების, კვლევებისა და სხვათა განსაზღვრაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სადაზღვევო შემთხვევა სცდება შეთანხმებული მკურნალობის პროტოკოლის ფარგლებს.

20. №177-ე დადგენილების 3.4 მუხლის „ა.დ.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მზღვეველი უფლებამოსილია არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს სადაზღვევო შემთხვევა, თუ, სადაზღვევო შემთხვევის ღირებულების უსაფუძვლოდ გაზრდის მიზნით, მიმწოდებლის მიერ შემთხვევისათვის მინიჭებულია მცდარი კოდი ან დამძიმებულია დიაგნოზი. ამავე დადგენილების 3.4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტებით აღწერილი გარემოებები (სადაზღვევო შემთხვევის ღირებულების უსაფუძვლოდ გაზრდა) დადასტურებული უნდა იყოს მხარეთა მიერ მოწვეული ექსპერტების დასკვნებით ან სამედიცინო მედიაციის სამსახურის აქტით ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (სსსკ-ის 102.3 მუხლი).

21. სააპელაციო პალატამ კი შედავებული ფაქტი დაუდასტურებლად მიიჩნია შესაბამის მტკიცებულებათა (მაგ: ექსპერტის დასკვნა, სპეციალისტის ახსნა-განმარტება და ა. შ.) წარმოუდგენლობის მოტივით.

22. ის გარემოება, რომ პაციენტ თ. შ-იას მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმის გადაწყვეტილება სისხლის ანალიზის პასუხის მიღებამდე, ანტიბიოტიკოთერაპიის დანყების თაობაზე, გაუმართლებელი რისკი იყო, არ დასტურდებოდა. სააპელაციო

პალატამ აღნიშნა, რომ კლინიკა აღნიშნულ მდგომარეობას გარდაუვალ აუცილებლობად აფასებს, რომელიც პაციენტის მდგომარეობის კრიტიკული გართულების თავიდან აცილებას ემსახურებოდა. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდებოდა მოსარჩელის მიერ დაავადების მართვის (კვლევა, მკურნალობა) ქვეყანაში მოქმედი გაიდლაინებისა და პროტოკოლების საპირისპიროდ წარმოება; საქმის მასალებით ასევე არ დასტურდებოდა სადაზღვევო შემთხვევისათვის მცდარი კოდის მინიჭებისა, თუ დიაგნოზის დამძიმების შესახებ გარემოება. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ განხორციელებული მკურნალობის პროტოკოლისადმი შეუსაბამობის ან სადაზღვევო შემთხვევის ღირებულების უსაფუძვლოდ გაზრდის ფაქტი.

23. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კლინიკის სამართალდამრღვევად ცნობა და ადმინისტრაციული სახდელის დადება კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარის თქმის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, თუ აღნიშნული დარღვევა არ ადასტურებს იმგვარი გადაცდომის არსებობას, რაც №177-ე დადგენილების შესაბამისად სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში, კლინიკის მიერ სანიტარულ/ტექნიკური ნების დარღვევა პაციენტთა მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის წინაპირობა ვერ გახდება.

24. სააპელაციო პალატამ იმსჯელა პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნა რომ №177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი უფლებამოსილია დაზღვეულთათვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს მოსთხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზღაურებელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე – ასანაზღაურებელი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

25. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირგასამტეხლოს გადახდა მზღვეველს არ ათავისუფლებს წარმოშობილი დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის ვალდებულებისაგან. ნიშანდობლივია, რომ განხორციელებული ცვლილების შედეგად ზუსტად დადგინდა, თუ რა პერიოდიდან განისაზღვრება დასარიცხი პირგასამტეხლო 0,02%-ით, კერძოდ, თუ თანხა ასანაზ-

ლაურებელი 2014 წლის 8 აგვისტომდე, ასანაზლაურებელ თანხას პირგასამტეხლო 0,1%-ის ოდენობით ემატება, ხოლო თუ თანხა 2014 წლის 8 აგვისტოს შემდეგ პერიოდს მოიცავს, ასეთ შემთხვევაში, ასანაზლაურებელ თანხას პირგასამტეხლო 0,02%-ის ოდენობით ერიცხება. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2014 წლის ივნისის თვის დავალიანება 36 115,80 ლარს შეადგენს, ხოლო 2014 წლის ივლისის დავალიანება – 7 495,40 ლარს, შესაბამისად, დავალიანების ძირი თანხა, საერთო ჯამში, 43 611,20 ლარია.

26. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და სააპელაციო საჩივრით შედავებული არ ყოფილა ის გარემოება, რომ ივნისის თვის სამედიცინო მომსახურების საფასური 36 115,80 ლარი 2014 წლის 31 ივლისამდე უნდა გადახდილიყო, ხოლო ივლისის თვის სამედიცინო მომსახურების საფასური – 2014 წლის პირველ სექტემბრამდე.

27. №177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი უფლებამოსილია: დაზღვეულთათვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზლაურების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს მოსთხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზლაურებელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე – ასანაზლაურებელი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა 2014 წლის 8 აგვისტოს შემდგომ პერიოდზე განხორციელდა 0,02%-ის ოდენობით.

28. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ივნისის თვის დავალიანება 36 115,80 ლარს შეადგენს, რომელიც 2014 წლის 31 ივლისამდე უნდა დაფარულიყო, ამიტომ პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე (36,12 ლარი) 2014 წლის პირველი აგვისტოდან 2014 წლის 8 აგვისტომდე (7 დღე), 252,84 ლარს შეადგენს (36,12*7), ხოლო 2014 წლის 9 აგვისტოდან 2015 წლის 25 მარტამდე (230 დღე) 1656 ლარს შეადგენს (7,2*230). 2015 წლის 25 მარტის შემდგომ კი, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიური პირგასამტეხლო 7,2 ლარია.

29. ამდენად, პირგასამტეხლოს ოდენობა ივნისის თვის დავალიანების ანგარიშში 2014 წლის პირველი აგვისტოდან 2015 წლის 25 მარტამდე 1908,84 ლარია, ხოლო 2015 წლის 25 მარტის შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულებამდე 7,2 ლარი. რაც შეეხება ივლისის თვის დავალიანებას, რომელიც 7 495,40 ლარს შეადგენდა, 2014 წლის პირველ სექტემბრამდე უნდა დაფარული-

ყო, შესაბამისად, ივლისის თვის დავალიანების ანგარიშში ვადაგადაცილების პირგასამტეხლო 2015 წლის 25 მარტამდე 307,50 ლარს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის 25 მარტიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე 1,5 ლარს.

30. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სადაზღვევო კომპანიამ/აპელანტმა რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

31. კასატორის არგუმენტები ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სადაზღვევო კომპანიამ კლინიკას წარუდგინა კორექტირების აქტი, რომლითაც მოხდა ანგარიშფაქტურა №2210-ში მითითებული პაციენტის თ. შ-იას მომსახურების საფასურის კორექტირება სრულად. აღნიშნულ პაციენტზე მოთხოვნილი იყო 4325 ლარი, რაც დაკორექტირდა სრულად. კორექტირების მიზეზი იყო შემდეგი: საქმეზე წარმოდგენილი ამონაწერიტ პაციენტის სამედიცინო ბარათიდან ირკვეოდა, რომ პაციენტს დაენიშნა, ანტიბიოტიკოთერაპია სენტრამი გენტამიცინის კომბინაციით 15 მაისს. აღსანიშნავია, რომ სისხლის სტერილობაზე ანალიზზე სინჯი პაციენტს აუღეს 15 მაისს, თუმცა დაწესებულება არ დაელოდა ანალიზების შედეგებს პირდაპირ დაიწყო ანტიბიოტიკოთერაპია. პროცესზე აღნიშნული ქმედება კლინიკის მიერ ახსნილი იქნა, როგორც არჩევანი ცუდსა (ანტიბიოტიკოთერაპიის უარყოფითი შედეგები) და უარსესს (პაციენტის მდგომარეობის კრიტიკული გართულება) შორის.

32. ნეონატალური სეფსისის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული პროტოკოლის თანახმად ანტიბაქტერიული თერაპიის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს ანამნეზურ და ლაბორატორიულ მონაცემებს, კლინიკის ეპიდემიოლოგიურ სტატუსს და შეირჩეს ჰოსპიტალის ინფექციონისტთან კონსენსუსის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ეს ჩანაწერი იმისთვის რომ ყურადღება იქნეს მიქცეული შესაბამის პირთა მიერ არის გამოყოფილი ძირითადი ტექსტიდან და არის გამოუქებული.

33. პირდაპირ ჩანს, რომ მდგომარეობის სიმწვავე ისე განსაზღვრა შესაბამისმა მკურნალმა ექიმმა და ისე დანიშნა მკურნალობა რომ არ დაელოდა სავალდებულო ანალიზების შედეგს. აღსანიშნავია, რომ ანალიზმა აჩვენა რომ სისხლი იყო სტერილური.

34. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის „კლინიკური პრაქ-

ტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ 94/ნ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) არის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) საფუძველზე შემუშავებული კლინიკური მდგომარეობის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები და მოქმედებათა თანმიმდევრობა. მითითებული დებულების საფუძველზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევს გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და დანერგვის პროცესს და კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციების დანერგვის პროცესის ზედამხედველობასა და განხორციელებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით. ამდენად, ნაციონალური გაიდლაინი, მისი ფორმულირებიდან გამომდინარე, არის ნორმატიული ხასიათის რეკომენდაცია და მისი გათვალისწინება სავალდებულოა ყველა სამედიცინო დაწესებულებისათვის. როდესაც ნორმატიული აქტი სამედიცინო დაწესებულებას სავალდებულოდ უწესებს, რომ უნდა ჰქონდეს დამტკიცებული კლინიკური პროტოკოლი, ეს თავისთავად ნიშნავს რომ მან უნდა იხელმძღვანელოს ამ პროტოკოლით, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთოდ აზრს კარგავს მხოლოდ დამტკიცებული პროტოკოლის არსებობა.

35. პროტოკოლების და გაიდლაინების დანიშნულება არის შემდეგი: კონკრეტული დაავადების დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია ამა თუ იმ კვლევების ჩატარება, აღნიშნული კვლევების აუცილებლობა შეიძლება დადგინდეს საერთაშორისო სტანდარტით, გაიდლაინით და კონკრეტული კლინიკის სამედიცინო კვლევებით და პრაქტიკით, რომელიც მოცემულია პროტოკოლში რაც თავის მხრივ აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს გაიდლაინებს – საერთაშორისოდ მიღებულ მკურნალობის პრაქტიკას.

36. განსახილველ შემთხვევაში, მოხდა დარღვევა, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ მოსარჩელის მიერ გამართლებული

იქნა, როგორც „არჩევანი ცუდსა და უარეს შორის“ სამწუხაროდ სასამართლომ წაახალისა სამედიცინო დაწესებულება გააგრძელოს მოქმედება ამ პრინციპით და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი გადაწყვიტოს პრინციპით: „არჩევანი ცუდსა და უარესს შორის“ ისე რომ პაციენტი საერთოდ შეიძლება არც იყოს საქმის კურსში მის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე ამ ტიპის ჩარევის შესახებ.

37. 177-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევა აანაზღაუროს სამედიცინო აუცილებლობის პრინციპზე დაყრდნობითა და სადაზღვევო დაფარვის ფარგლებში;

38. 177-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე მზღვეველი ვალდებულია „მიმწოდებელთან ტარიფებზე მოლაპარაკებისას არ მიაღწიოს ისეთ შეთანხმებას, რომელიც დააზარალებს დაზღვეულს მკურნალობის ხარისხის კუთხით ან დაარღვევს ამ მკურნალობის პროცესში სამედიცინო აუცილებლობის პრინციპს. შესაბამისად, შეთანხმებული სტანდარტი უნდა ითვალისწინებდეს და მოიცავდეს სამედიცინო აუცილებლობით განპირობებულ ყველა სამკურნალო, დიაგნოსტიკურ და პრევენციულ ღონისძიებას და საშუალებას, რომლებიც საჭიროა შესაბამისი პათოლოგიის მართვისათვის“.

39. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ განისაზღვროს არსებობდა თუ არა მზღვეველის მიერ სადავო შემთხვევების მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება უნდა გაირკვეს იყო თუ არა დაზღვეულ პირთათვის განეული მომსახურება არგუმენტებით დასაბუთებული, ყველაზე ხელმისაწვდომი, ხარისხიანი, რაციონალური და ხარჯთეფექტური.

40. რაც შეეხება სხვა პაციენტებზე მოთხოვნილ თანხებს, სასამართლოსათვის წარმოდგენილი იქნა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2015 წლის 15 იანვრის №02/2434 წერილი, რომელშიც აღწერილია მთელი რიგი ძალიან სერიოზული დარღვევები, რომელიც არა თუ ხელს უშლის ადამიანის გამოჯანმრთელებას, არამედ პირიქით – შეიძლება გახდეს დაავადების წყარო, ეს არის ვენტილაციის და სანიტარიასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე სამედიცინო პერსონალის ლიცენზირებასთან დაკავშირებით გამოვლენილი სერიოზული დარღვევები.

41. აღნიშნული დოკუმენტის საპირნონედ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციული კოლეგიის დადგე-

ნილება დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით სანქციის დაკისრების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ადასტურებს სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემების არსებობის ფაქტს, მისი განცხადებით სასამართლომ ჩათვალა რომ ლიცენზიებთან დაკავშირებული პრობლემები კლინიკას არ ჰქონდა რაც არასწორია, რადგან: „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის ბრძანების, საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, №1 დანართის მე-5 პუნქტის თანახმად, საექიმო სპეციალობის „ანესთეზია-რეანიმატოლოგიის“ მომიჯნავე სპეციალობას – „კრიტიკულ მედიცინას“ (რისი სერტიფიკატიც გააჩნიათ ზემოაღნიშნულ ექიმებს), განსაზღვრული აქვს სუბსპეციალობა – „ბავშვთა კრიტიკული მედიცინა“, შესაბამისად ექიმებს უფლება ჰქონდათ ბავშვთა კონტიგენტის მკურნალობის, მხოლოდ შესაბამისი სუბსპეციალობის მონმობის ფლობის შემთხვევაში.

42. რაც შეეხება სახდელის დადების ოქმს, იგი შედგენილი იყო 445-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულების მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობას, რაზედაც დაწესებულება ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაჯარიმდა.

43. არ არის ნამსჯელი ექიმთა სუბსპეციალობის გარეშე საქმიანობაზე, რომლის გარეშე საქმიანობა მინისტრის №136-ე ბრძანების დარღვევაა, თუმცა, ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსით დაჯარიმებას არ ექვემდებარება (განსხვავებით სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე საქმიანობისგან), შესაბამისად ამიტომაც არ დააჯარიმა პირადად ექიმები რეგულირების სააგენტომ (და არა იმიტომ რომ ექიმებს უფლება ჰქონდათ სუბსპეციალობის მონმობის გარეშე საქმიანობის).

44. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია რომ ერთის მხრივ პროტოკოლების და გაიდლაინების დარღვევით, მეორეს მხრივ კი სანიტარულ ჰიგიენური და სალიცენზიო პირობების დარღვევით დაზღვეულ პირთათვის სამედიცინო მომსახურების განევა ხდებოდა ისე რომ ის არა თუ აჯანმრთელებდა პირს, არამედ უფრო მეტიც უდავოდ შეეძლო ისედაც ძძიმე მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება.

სამოტივაციო ნაწილი:

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით საკასა-

ციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

46. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

47. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება შედავებულია მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში.

48. კასატორი სადავოდ არ ხდის გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუთებას მომსახურების ღირებულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მისი გონივრულობის განსაზღვრის ნაწილში. სარჩელის ეს მოთხოვნა შედავებული იყო შესაგებლით (იხ., ამ განჩინების პ-3). აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუშვებელია პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევა, რაც განპირობებულია დავის თავისებურებით და, მაშასადამე, პირგასამტეხლოს ნორმატიულად განსაზღვრული ბუნებით. ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლოს მიერ შემცირების შეუძლებლობის შესახებ იხ. სუსგ 02.02.2015წ.-ის განჩინება საქმე №ას-1171-1116-2014; სუსგ 24.03.2014წ.-ის განჩინება საქმე №ას-1284-1226-2013.

49. შესაბამისად, საკასაციო პალატა წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიას შეამოწმებს მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულების წინაპირობების დაცულობის თვალსაზრისით.

50. საგულისხმოა, რომ მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი აგებულია ზოგადად სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობაზე.

51. განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის გამომრიცხველი შედავება, შესრულებული სამუშაოს ამსახველი შესაბამისი საანგარიშგებო და სამედიცინო დოკუმენტაციის წარუდგენლობას ეფუძნება (იხ., საკასაციო საჩივარი – ამ განჩინების პპ: 31-38). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, მტკიცების სპეციალურ სტანდარტს (ინსპექტირების ვადებს, კორექტირების შემთხვევებს და სხვა) აწესებს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი აქტი – №177 დადგენილება, რომელთან დაკავშირები-

თაც მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ სადაზღვევო კომპანია გადააცილა კორექტირების დასაშვებ ვადებს (იხ., ამ განჩინების პ: 12-17), ამდენად, კასატორის ეს არგუმენტი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის შემწყვეტ შედავებად ვერ გამოდგება.

52. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს რა კასატორის პრეტენზიას აღნიშნავს, რომ იგი აპელანტის მიერ წარდგენილ სააპელაციო პრეტენზიის იგივეობრივია, რომელზედაც ამომწურავად აქვს ნამსჯელი სააპელაციო სასამართლოს (იხ., ამ განჩინების პპ: 18-23). აღსანიშნავია, რომ კასატორის მიერ სადავოდ გამხდარ საკითხთან (პრეტენზიასთან) დაკავშირებით არაერთხელ აქვს ნამსჯელი საკასაციო სასამართლოს (იხ., სუსგ №ას-188-177-2017, 21 აპრილი, 2017 წელი; №ას-1206-1166-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი; №ას-1191-1151-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი).

53. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის შემწყვეტ შედავებას, როგორცაა: ბენეფიციარებისათვის განეული მომსახურების უხარისხობა, სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის დაუცველობა და ხარჯის არაეფექტურობა, როდესაც დასტურდება ბენეფიციარებისათვის სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი, რაც წარმოშობს სადაზღვევო კომპანიის შემხვედრ ვალდებულებას განეული მომსახურების ანაზღაურების თაობაზე [სსკ-ის 629-ე მუხლი], მოთხოვნის შემწყვეტი შედავების მტკიცების ტვირთი ეკისრება მომსახურების ანაზღაურებაზე ვალდებულ ხელშემკვრელ მხარეს [მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი – სსკ-ის 102-ე მუხლი]. ვერც პროტოკოლებისა და გზამკვლევების (გაიდლაინის) დაუცველობა, დიაგნოზის დასმის მიზნით კვლევებისა და მკურნალობის მიზნით შერჩეული მედიკამენტური თერაპიის შერჩევა მიიჩნევა ანაზღაურებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად, რადგან, თუ დასტურდება, რომ დადებულია ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ერთ-ერთი ხელშემკვრელი ერთი მხარე ასრულებს მას, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, წარმოიშობა შემხვედრი ვალდებულება შესრულებულის ანაზღაურებაზე.

54. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს,

რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

55. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-

საზრისით. „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილებით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მხარეებს შორის დავაზე არსებობს სასამართლო პრაქტიკა. (იხ., სუსგ №ას-1191-1151-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი; საქმე №ას-1206-1166-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი; საქმე №ას-188-177-2017, 21 აპრილი, 2017 წელი).

56. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

57. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ სს „ს-ს“ უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 02 ოქტომბერს საგადახადო დავალება №943385367 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (2665 ლარი) 1865.50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების წარმოშობა
წარდგინების ხელშეკრულების საფუძველზე**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-679-633-2017

5 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2002 წლის 1 აპრილს ნ. რ-ესა (შემდეგში: მოსარჩელე, მყიდველი, შემკვეთი, აპელანტი ან კასატორი) და შპს „ტ-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, გამყიდველი, მენარდე ან სანარმო) შორის დაიდო ხელშეკრულება (იხ. ხელშეკრულება), რომლის მიხედვითაც სანარმო ყიდდა ქ. ბათუმში ე. ქუჩაზე №88 მშენებარე ბათუმის სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანების ოფისისა და საცხოვრებელი სახლის მეექვსე სართულზე ბლოკი 11-ში (II), ე. ქუჩის მხრიდან, კარკასულ მდგომარეობაში ერთ ბინას, საერთო ფართობი /დერეფნების ჩათვლით/ 358 კვ.მ, საიდანაც სასარგებლო ფართობი 225 კვ.მ; ბინის ღირებულება შეადგენდა 18 000 (თვრამეტი ათასი) აშშ დოლარს (შემდეგში: უძრავი ქონება).

2. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველისაგან ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული თანხის გადახდა მოითხოვა „უსწრაფესად ... იმ ვარაუდით“, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის მყიდველი გადაიხდიდა არა ნაკლებ 8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარს, ხოლო დანარჩენი თანხას – 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარს დაფარავდა ამ ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის ვადაში.

3. ხელშეკრულების მე-3 მუხლით გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, მყიდველისათვის ბინის კარკასი ჩაეზარებინა 2002 წლის 30 ივნისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე გამყიდველი დაჯარიმდებოდა მყიდველის მიერ შეტანილი თანხის 5%-ით.

4. მყიდველსა და გამყიდველს შორის 2003 წლის 23 მაისს გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მო-

სარჩელემ მოპასუხეს გადასცა 40 050 (ორმოცი ათას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო ეს უკანასკნელი თანახმა იყო გადაეხადა 1.5%-იანი სარგებელი. სესხის ან საპროცენტო განაკვეთის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოპასუხე კისრულობდა ვალდებულებას, ყოველი 180 ლარის სანაცვლოდ მიეცა მოსარჩელესათვის 1 კვ.მ საცხოვრებელი ფართი მშენებარე სახლში (იხ. ხელშეკრულება).

5. სალაროს შემოსავლის ორდერის მიხედვით, მყიდველმა გამყიდველის სახელზე ბინის ფართის შესაძენად 2003 წლის 29 მაისს შეიტანა 40 050 (ორმოცი ათას ორმოცდაათი) ლარი.

6. ზემოხსენებულ მხარეებს შორის 2004 წლის 25 ივნისს გაფორმდა ვალის აღიარებისა და უძრავი ქონების მფლობელობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გამყიდველმა აღიარა, რომ 2003 წლის 23 მაისს მას მყიდველმა ასესხა თანხა და, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საწარმოს საკუთრების დაცვისა და ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, კრედიტორული დავალიანების უზრუნველსაყოფად, საწარმო მფლობელობასა და სარგებლობაში გადასცემდა მყიდველს 382.7 კვ.მ საერთო ფართის მქონე ერთ ბინას გაუტიხრავ მდგომარეობაში (იხ. ხელშეკრულება).

7. ხელშეკრულების მესამე პუნქტით განისაზღვრა, რომ აღნიშნული ქონების ყიდვის შემთხვევაში, ნასყიდობის ფასიდან გადახდილად ჩაითვლებოდა არსებული კრედიტორული დავალიანება 59 352 (ორმოცდაცხრამეტი ათას სამას ორმოცდათორმეტი) ლარი. მეექვსე პუნქტის მიხედვით კი, ქონების ნასყიდობის ფასი განისაზღვრებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომლის გაფორმება და მისი დადგენილი წესით რეგისტრაცია მოხდებოდა მშენებარე სახლის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ.

8. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 2 აპრილის №81726 წერილის თანახმად, სადავო უძრავ ქონებაზე, როგორც ინდივიდუალური საკუთრების საგანზე ან ცალკე უფლების ობიექტზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის (იხ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 02.04.2015 წ. № 81726 წერილი).

9. სარჩელის საფუძვლები

9.1. მყიდველმა 2015 წლის 13 მარტს სარჩელი აღძრა გამყიდველის წინააღმდეგ და 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება – უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.

9.2. მოსარჩელის განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ მან

კეთილსინდისიერად შეასრულა 2002 წლის 1 აპრილისა და 2003 წლის 23 მაისის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, მოპასუხემ არ შეასრულა საკუთარი ვალდებულებები და მყიდველი არ აღრიცხულა საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ.

9.3. მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა საწარმოს 2003 წლის 10 მაისის, 2007 წლის 26 ივლისის, 2008 წლის 26 სექტემბრის, 2010 წლის 23 დეკემბრისა და 2014 წლის 3 ოქტომბრის პარტნიორთა კრებების ოქმებზე, რომელთა მიხედვითაც, დღის წესრიგში არაერთხელ დადგა და კრებაზე იმსჯელეს მყიდველის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, თუმცა უშედეგოდ.

10. მოპასუხის შესაგებელი

10.1. საწარმომ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების შესახებ მისთვის უცნობია, ასევე უცნობია მისგან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების შესახებ, თუმცა განმარტა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ფორმის დაუცველად არის დადებული და არ არის დამონმებული სანოტარო წესით. ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია და არ შეიძლება სარჩელი დაკმაყოფილდეს;

10.2. მოპასუხის განმარტებით სალაროს შემოსავლის ორდერი და ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულება ვერ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელესთან დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, ამასთან, სალაროს შემოსავლის ორდერის თარიღი არ ემთხვეოდა აღნიშნული ხელშეკრულების თარიღს;

10.3. საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმები კი არ ადასტურებდნენ, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეცა უძრავი ქონება.

11. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით მყიდველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11.2. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მხარეებს შორის სადავო უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, ასევე არ იკვეთებოდა მხარეთა ნება უძრავი ქონების განკარგვის – საკუთრების უფლების შემქმნეზე გადასვლის თაობაზე.

11.3. გარიგება მხოლოდ მაშინ შეიძენდა ნასყიდობის ხელ-

შეკრულების ძალას, მხარეთა შესაბამისი უფლება-მოვალეობის წარმოშობით, თუ მხარეები შეთანხმდებოდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე და ამ გარიგებას დაამოწმებდნენ სანოტარო წესით.

11.4. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ) 323-ე, 183-ე, 50-ე, 54-ე, 68-ე-71-ე, 327-ე და 477-ე მუხლებით და დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა იყო სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში აღრიცხვა მხარეებს შორის 2002 წლის 1 აპრილს და 2004 წლის 25 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რის გამოც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შეფასებისათვის მას ევალებოდა, დაემტკიცებინა მატერიალურსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების უტყუარად არსებობა, რაც მოსარჩელემ ვერ შეძლო. მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებიდან და წარდგენილი მტკიცებულებებიდან არ დასტურდებოდა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, არ იკვეთებოდა მხარეთა ნება უძრავი ქონების განკარგვის-საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლის თაობაზე.

11.5. ის ხელშეკრულებები, რომლებზეც მოსარჩელე უთითებდა საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად, ამ უკანასკნელს არ ანიჭებდა საკუთრების უფლებას. უფრო მეტიც, სასამართლოს რომც გაეზიარებინა მოსარჩელის მტკიცება ამ ხელშეკრულებების ნასყიდობის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, იურიდიული შედეგი მოსარჩელის სასარგებლოდ ამ გარიგებას არ მოჰყვებოდა, რადგან არ იყო დაცული უძრავი ნივთის გადაცემისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა.

11.6. სასამართლომ ასევე იმსჯელა სანარმოს პარტნიორთა კრების ოქმებზე და აღნიშნა, რომ ეს გარემოება არ ცვლიდა დავის ფაქტობრივ მოცემულობას და მოსარჩელისათვის სასურველ შედეგს ვერ წარმოშობდა. თუმცა, სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივა მაინც არ არსებობდა, რადგან მოპასუხის მიერ სსკ-ის 128-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობაზე მითითება, წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემაფერხებელ შესაგებელს და, ასეთის არსებობისას, სასამართლოს ევალებოდა ამ თვალსაზრისით დაედგინა ფაქტები.

11.7. მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითა 2002 წლის 1 ივლისისა და 2004 წლის 25 ივნისის ხელშეკ-

რულებებზე, რომლებზედაც სასამართლოს შეფასებით უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრული ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა და თუ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე გააჩნდა საკუთრების მოთხოვნის უფლება უძრავ ქონებაზე, ეს უფლება უნდა გამოეყენებინა 6 წლის განმავლობაში, რაც მას არ განუხორციელებია, შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმული იყო.

12. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.2. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ იმსჯელა იმაზე, რომ 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, მყიდველმა (აპელანტმა) გამყიდველისაგან შეიძინა უძრავი ქონება, რის სანაცვლოდაც იკისრა 18 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება და გაურკვეველი იყო, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ ეს გარემოება სადავოდ;

12.3. მყიდველმა სანარმოს სალაროში 40 050 ლარი შეიტანა ბინის ფართის შესაძენად, როგორც ავანსის თანხა და არა როგორც სესხის თანხა. სასამართლოს არ უმსჯელია 2004 წლის 25 ივნისის ხელშეკრულების მე-10 პუნქტზე, რის გამოც სასამართლოს დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს;

12.4. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 131-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დასტურდება რომ საქმეში წარდგენილი სანარმოს პარტნიორთა კრების ოქმები ცალსახად იმის აღიარებაა, რომ აპელანტი არის კრედიტორი და მისდამი მოპასუხეს შესასრულებელი აქვს ვალდებულება;

12.5. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ მხარეებს არ გამოუხატავთ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ნება მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით პირდაპირ დასტურდება, რომ მოპასუხე (სანარმო) არის უძრავი ქონების გამსხვილებელი, ხოლო აპელანტი – მემძენი და აღწერილია ნასყიდობის საგნის მდებარეობა, ფართობი, ღირებულება და განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის კონკრეტული პირობები და ვადები, რა მდგომარეობაში და რა ვადაში უნდა ჩაბარდეს აპელანტს ნასყიდობის საგანი, რომელიც ამ უკანასკნელს გადაე-

ცა მფლობელობასა და სარგებლობაში, რომელზეც საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განისაზღვრა მშენებარე სახლის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ;

12.6. აპელანტმა მიუთითა, რომ როდესაც პირველი ინსტაციის სასამართლოს უნდა გამოეცხადებინა გადაწყვეტილება, სასამართლომ საქმე დააბრუნა მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიაზე და ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ 2014 წლის 3 ოქტომბრის პარტნიორთა კრების ოქმის დღის წესრიგის მეექვსე პუნქტზე, რა დროსაც აპელანტისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ფლობდა ბუღალტრულ დოკუმენტს და ის არსებობდა საწარმოს ძველ და ახალ დირექტორებს შორის მიმდინარე სხვა სამოქალაქო დავაში. აპელანტმა აღნიშნა, რომ ამ მტკიცებულებების მოპოვება მან ვერ მოახერხა და მას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა განსახილველი სამოქალაქო დავისთვის;

12.7. აპელანტს უკანონოდ და დაუსაბუთებლად ეთქვა უარი შუამდგომლობაზე, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის, წარდგენისა და საქმეზე დართვის თაობაზე.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

13.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მარტის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სსკ-ს 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად სწორად დაადგინა დავის საგანთან მიმართებაში არსებითი ფაქტობრივი გარემოებები.

13.3. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 52-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ნების გამოვლების განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტუასიტყვითი აზრიდან, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარ გარიგებებში მხარეთა მიერ გამოხატული ნებაც გონივრული განსჯის შედეგად უნდა დადგინდეს.

13.4. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა წარდგინების ნორმებს (სსკ-ის 629-ე მუხლი) დააფუძნა და არ გაიზიარა, რომ აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება იყო, ვინაიდან 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით

ბით მხარეები შეთანხმდნენ გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე და არა მოპასუხის, როგორც გამყიდველის, მიერ ქონებაზე მოსარჩელისათვის საკუთრების უფლების, მასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემაზე, რაც გამყიდველის მოვალეობაა და დადგენილია სსკ-ის 477-ე მუხლით. ის გარემოება, რომ ხელშეკრულება წერილობით დაიდო, ამ ურთიერთობას ნასყიდობის გარიგებად ვერ გადააქცევდა.

13.5. ვინაიდან მხარეთა შორის უძრავი ქონების ნასყიდობაზე კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით ხელშეკრულება არ დადებულა, მხარეებს არ გამოუხატავთ უკვე აშენებულ უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების დაკარგვისა და მოსარჩელის მიერ საკუთრების მოპოვების ნება, გარიგების ფასი არ განუსაზღვრავთ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა, რაც გამოიწვევდა ამ ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელის (აპელანტის) მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

13.6. სასამართლომ დაასკვნა, რომ 2003 წლის 23 მაისის ხელშეკრულების საგანი არა უძრავი ქონება, არამედ ფული იყო და, რომ მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, ხოლო მასში დაფიქსირებული თანხა წარმოადგენდა სესხად გადასაცემ თანხას და არა სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის საფასურს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი.

14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებით, კასატორმა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

14.1.1. სააპელაციო სასამართლომ ჯეროვნად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, განმარტებები, არ გაამახვილა ყურადღება სასამართლო პრაქტიკაზე და მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებებზე. სასამართლომ უგულვებელყო მხარეთა 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულება ანუ ნების გამოვლენა უძრავი ქონების ნასყიდობაზე;

14.1.2. მოსარჩელემ ბინის შესაძენად შეიტანა სანარმოს სალაროში 40 050 ლარი, რაც დასტურდება საქმეში წარდგენილი სალაროს დოკუმენტით;

14.1.3. სასამართლომ არ შეაფასა მხარეთა შორის ხელმოწერილი 2004 წლის 25 ივნისის ხელშეკრულების მე-10 პუნქტი; არ იმსჯელა სსკ-ის 131-ე მუხლის თანახმად მოპასუხის აღიარე-

ბაზე, რაც ასახულია სანარმოს პარტნიორთა კრებების ოქმებში, რომლებშიც მოსარჩელის წინაშე შეუსრულებელ ვალდებულებებზეა მსჯელობა;

14.2. კასატორი ყურადღებას ამახვილებს კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპზე – კეთილსინდისიერებაზე, რაც სამართლებრივ სივრცეში ფართოდ გავრცელებულია.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის, საქმის მასალების შესწავლისა და არსებული მტკიცებულებების ერთობლივად გაანალიზებით მიიჩნია, რომ საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France

(dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

18. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ 2002 წლის 1 აპრილს მხარეთა შორის დაიდო არა ნასყიდობის, არამედ – ნარდობის ხელშეკრულება (იხ. ამ გადაწყვეტილების 13.4. ქვეპუნქტი), ამდენად, სწორედ ნარდობის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე უნდა შეფასდეს მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობა. „საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაზეც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოირიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე №ას-973-1208-04). სამართლის ნორმის გამოყენება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება და არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითების გამო არ შეიძლება სარჩელის უარყოფა.

19. მხარეთა შორის 2002 წლის 1 აპრილს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ (შემკვეთმა) მოითხოვა მენარდის (მოპასუხის) მიერ ვალდებულების შესრულება – ნარდობის შედეგად დამზადებული ნივთის – აშენებულ სახლში კონკრეტული საცხოვრებელი ფართის გადაცემა, რაც ნივთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციასაც მოიცავს – იმ დასაბუთებით, რომ მას სრულად ჰქონდა შესრულებული ვალდებულება და გადახდილი ჰქონდა მენარდისათვის ნარდო-

ბის საზღაური, თუმცა, ეს უკანასკნელი შეუსრულებელი ვალდებულების არაერთხელ აღიარების მიუხედავად, მაინც არ ასრულებდა მას (იხ. სარჩელი).

20. განსახილველ შემთხვევაში შემკვეთს (კასატორს) არ მოუყენებია სსკ-ის 636-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (მოშლის) შესახებ, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს 629.1 მუხლით დადგენილი წინაპირობების არსებობა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სარჩელისა და შესაგებლის სტადიებზე მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების, მათ უარსაყოფად დასახელებული გარემოებებისა და კონკრეტული მტკიცებულებების გაანალიზება და შეჯერება ერთობლივად, სსსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, რომელიც წარდგენილი მტკიცებულებების, მხარეთა განმარტებებისა და პოზიციების სასამართლოსეულ შეფასებას გულისხმობს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

21. სააპელაციო სასამართლოს დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომ მხარეთა შორის 2003 წლის 23 მაისის ხელშეკრულება სასესხო ურთიერთობას ასახავდა, საკასაციო სასამართლო მტკიცებულებათა (იხ. ამ გადაწყვეტილების 4-7 პუნქტები) ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სწორედ წარდგენილი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და მხარეთა შორის 2003 წლის 23 მაისის გაფორმებული სესხად წოდებული ხელშეკრულება, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებს მოპასუხე, ვერ აქარწყლებს, მოსარჩელის მიერ წარდგენილ სხვა მტკიცებულებებს: საწარმოს საღარიპოში 40 050 ლარის შეტანის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც 2003 წლის 29 მაისს არის გადახდილი და მის დანიშნულებაში მითითებულია, რომ შემკვეთმა ბინის ფართის შესაძენად შეიტანა თანხა საწარმოს ანგარიშზე. ამის შემდეგ მხარეებმა 2004 წლის 25 ივნისს გააფორმეს ამ გადაწყვეტილების 6-7 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულება, რომლითაც საწარმომ დაუთხირავი ბინა სარგებლობაში გადასცა შემკვეთს, ხოლო საწარმოს პარტნიორთა კრების 2007 წლის 26 ივლისის, 2008 წლის 26 სექტემბრის, 2010 წლის 23 დეკემბრის, 2014 წლის 3 ოქტომბრის კრებების ოქმებით აღიარებულია საწარმოს ვალდებულება, პარტნიორთა კრებების გადაწყვეტილებებით მოსარჩელისათვის (შემკვეთისათვის) გადაცემული ფართის ამ უკანასკნელის საკუთრებად აღრიცხვაზე, რომლის მახასიათებლები იდენტურია 2004 წლის 25 ივნისის ვალის აღიარებისა და უძრავი ქონების მფლობელობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებული ფართის მახასიათებლებზე.

ბისა.

22. საკასაციო სასამართლო იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ 2004 წლის 25 ივნისის ხელშეკრულება, თავის მხრივ, უთითებს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2003 წლის 23 მაისს ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე, ხოლო საწარმოს პარტნიორთა კრების ყოველი მორიგი ოქმი წინა ოქმს ეყრდნობა და ასახავს მოსარჩელისადმი (შემკვეთისადმი) მოპასუხის (მენარდის) მიერ ნაკისრი და შესასრულებელი ვალდებულების თაობაზე გადაწყვეტილებებს (იხ. კრების ოქმები), რაც, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, მხარეთა შორის 2002 წლის 1 აპრილს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

23. სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებით, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მხარეთა შორის 2003 წლის 23 მაისს გაფორმებული სესხად ნოდებული ხელშეკრულება და იმავე წლის 29 მაისს საწარმოს სალაროში შემკვეთის მიერ გადახდილი 40 050 ლარი (რომელიც სესხის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის იდენტურია), რომლის დანიშნულებაა ბინის ფართის შეძენა, ამასთან, საწარმოსა და მოსარჩელეს შორის 2004 წლის 25 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი და მენარდე საწარმოს პარტნიორთა თითოეული კრების მიერ განხილული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება შემკვეთისათვის, ამ უკანასკნელის ფაქტობრივ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ფართის საჯარო რეესტრში საკუთრებად აღრიცხვის შესახებ, მოპასუხის მიერ 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით ნაკისრი და შეუსრულებელი ვალდებულების აღიარებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, ამ შემთხვევაში გამოვლენილია არა აბსტრაქტული, არამედ კაუზალური, ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების აღიარება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უწინარესად, მოწმდება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა, ხოლო შემდეგ მისი განხორციელებადობა, თუკი მოპასუხეს წარდგენილი აქვს ხანდაზმულობის, ანუ მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი შესაგებელი.

24. სსკ-ის 137-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. „ნორმის წინაპირობათაგან პირველზე (გარკვეული შესრულების განხორციელების გზით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა) საკასა-

ციო პალატა არ შეჩერდება, რადგანაც, მისი არარსებობა სადა-
ვო არ არის, რაც შეეხება ვალდებულების სხვაგვარად აღიარე-
ბის საკითხს, იგი შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემ-
თხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს.
მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვა-
ლოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც ამკარად გამოკვეთი-
ლია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით (იხ.
სუსგ №ას-330-733-06, 19 დეკემბერი, 2006 წელი). სამართლის
თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ერთმანე-
თისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტუ-
ლი აღიარება. მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურე-
ბენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდიული
თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.
მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრი-
ვად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და
გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (და-
პირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე მიმართულია არ-
სებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ
და ბუნებრივია უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამას-
თან იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შე-
თანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით
ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარ-
ტივი, ისე კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის
შენწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამა-
ვე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი
დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყება თავი-
დან. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მო-
ვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ
იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში გან-
ხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯე-
ლობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე
მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის
ვადის დენის შეწყვეტა. საინტერესოა ხანდაზმულობის ვადის
გასვლის შემდგომ ვალის მარტივ ან კაუზალურ აღიარებას გა-
აჩნია თუ არა იურიდიული ძალა. საკასაციო პალატის მოსაზრე-
ბით, ამ საკითხის რეგულირებისათვის გამოყენებულ უნდა იქ-
ნეს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომე-
ლიც ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში განიმარტე-
ბა, კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმუ-
ლობის ვადის გასვლის შემდგომ შეასრულებს ვალდებულებას,
იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლებას კარგავს,

ასეთ შემთხვევაში მისი შესაგებელი არ შეიძლება იყოს მათ შორის იმაზე მითითება, რომ შესრულების მომენტში არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტი, ანალოგიური ძალის მატარებელია მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ იგი ვალდებულებას შეასრულებს. ეს რეგულაცია ვრცელდება ვალის როგორც მარტივ, ისე – კაუზალურ აღიარებაზე. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლს, უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ თავად ამ ნორმით მონესრიგებული ვალის არსებობის აღიარება 137-ე და 144.3 მუხლებით გათვალისწინებული აღიარებისგან აბსტრაქტული ბუნებით განსხვავდება, იგი თავად წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოშობს. ვალის აღიარების ხელშეკრულება, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადავოობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის გაგებით ვალის არსებობის აღიარებასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (იხ. სუსგ №ას-392-371-2013, 8 ნოემბერი, 2013 წელი). ვალის აღიარების ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნება იმ კუთხითაც განსხვავდება ვალდებულები პირის სხვაგვარი აღიარებისაგან, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ დამოუკიდებლად აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. სუსგ №ას-383-364-2015, 27.05.2016წ; შდრ. სუსგ-ებს: №ას-1067-1026-2016, 23.06.2017წ; №ას-681-635-2017, 07.07.2017წ.).

25. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მოპასუხემ 2002 წლის 1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობა დაადასტურა მასსა და მოსარჩელეს შორის ორმხრივად ხელმოწერილი 2004 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებით, ხოლო შემდგომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-20 პუნქტში მი-

თითებული კრების ოქმებით არაერთხელ დაადასტურა შემკვეთის წინაშე შეუსრულებელი ვალდებულება და ამ საკითხის გადაწყვეტის ნება მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართის ამ უკანასკნელის საკუთრებად რეგისტრაციის გზით.

26. მოსარჩელის მტკიცების გასაბათილებლად მოპასუხემ არაკვალიფიციური შედაგება განახორციელა და ძირითადად იმაზე მიუთითა, რომ 2002 წლის 1 აპრილის ხელშეკრულება არ აკმაყოფილებდა უძრავი ქონების ნასყიდობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ფორმალურად და ბათილი იყო; 2003 წლის 29 მაისის სალაროს ქვითარი და 2004 წლის 25 ივნისის ხელშეკრულება არ ადასტურებდა ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობას, მათი თარიღები არ ემთხვეოდა ერთმანეთს და ხელშეკრულებადაც რომ მიჩნეულიყო, მოთხოვნა ხანდაზმული იყო; საწარმოს კრების ოქმებით არ დასტურდებოდა მოსარჩელისათვის ქონების გადაცემის ვალდებულება (იხ. შესაგებელი).

27. მოპასუხემ მისი კუთვნილი მტკიცების სტანდარტი ვერ დაძლია და სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილი წესით სრულყოფილად და თანმიმდევრობით არ ასახა საკუთარი მოსაზრებები შესაგებელში, ვერ გააბათილა მოსარჩელის მიერთებული ფაქტები და წარდგენილი მტკიცებულებები, არ გააანალიზა ვალის აღიარების ხელშეკრულების პირობები, საწარმოს პარტნიორთა კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი, რათა დაპირისპირებოდა სასარჩელო მოთხოვნას და მოსარჩელესთან 2002 წლის 1 აპრილიდან დაწყებული ურთიერთობისა და შემდგომში განვითარებული მოვლენების მისეული ვერსია შეეთავაზებინა სასამართლოსათვის. „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია (იხ. სუსგ – №ას-493-473-2016, 14.12.2016წ; ასევე შდრ. სუსგ-ებს №ას-1224-1149-2015, 20.05.2016წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.; №ას-101-97-2016, 15.07.2016წ.; №ას-195-183-2014, 21.10.2016წ.)“.

28. ზემოხსენებული მოტივაციით, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შემკვეთის საკასაციო საჩივარი, გააუქმა საა-

პელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა;

28.1. ქ. ბათუმში გ-ის ქ. №88-ში (ს/კ 0-; ნაკვეთის წინა ნომერი 0-) სართული 6, ბლოკი 11 (II) მდებარე 382.70 კვმ ფართის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში უნდა აღირიცხოს მოსარჩელე;

29. საკასაციო სასამართლო იმასაც განმარტავს, რომ ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე უძრავი ქონების მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხვა არ ლახავს მესამე პირთა უფლებებს, რადგან საქმეში წარდგენილი მტკიცებულების მიხედვით დადგენილია, რომ ზემოხსენებულ ფართზე, როგორც ინდივიდუალური საკუთრების საგანზე ან ცალკე უფლების ობიექტზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი).

30. სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი ასახულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ნ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მარტის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ქ. ბათუმში, გ-ის ქ. 88-ში (ს/კ 0-; ნაკვეთის წინა ნომერი 0-) სართული 6-ში, ბლოკი 11-ში (II) მდებარე 382.70 კვ.მ. ფართის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ნ. რ-ე (პ/ნ 6-) აღირიცხოს;
5. შპს „ტ-ს“ (ს/კ 2-) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. საბანკო გარანტია

მოთხოვნის წარდგენის ფორმა

გარანტიის უარი პენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-894-834-2017

3 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. სს „თ-მა“ (შემდეგში: ბანკი ან გარანტი ან კრედიტორი ან მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შ-ის (შემდეგში: პრინციპალი ან მოვალე ან მოპასუხე ან კასატორი) მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მხარეთა შორის 2013 წლის 15 აპრილს გაფორმებული №1893135-2323481 საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: კრედიტის სახით მიღებული თანხა – 2504203 ლარი; საპროცენტო სარგებელი – 243696 ლარი; პირგასამტეხლო – 129977,6 ლარი. შესაბამისად, მოსარჩელე სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 1299776 ლარიდან 1169798,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. სს „თ-ს“ უარი ეთქვა 2012 წლის 7 აგვისტოს №1893135-2171132 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებაზე. 2012 წლის 6 აგვისტოს №1893135-2171127 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (გა-

ნაღდებულ) საგარანტიო თანხის სახით 68 153 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 6 740,66 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხიდან – 20222 ლარიდან 13 481,34 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში; პირგასამტეხლო თანხით 2 228,4 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 22284 ლარიდან 20055,6 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204677 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღდებულ) საგარანტიო თანხის სახით 355 599 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 20277,34 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხიდან – 61132 ლარიდან 40754,66 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში; პირგასამტეხლო თანხით 10 223 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 102 239 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 14 სექტემბრის №1893135-2196532 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღდებულ) საგარანტიო თანხის სახით 1 707 790 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 118 188 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხიდან – 354 564 ლარიდან 236 376 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში; პირგასამტეხლო თანხით 68 352,1 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 683521 ლარიდან 615 168,9 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 11 სექტემბრის №1893135-2189835 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღდებულ) საგარანტიო თანხის სახით 550000 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 38289 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხიდან – 114867 ლარიდან 76578 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში; პირგასამტეხ-

ლო თანხით 22041,1 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 22041 ლარიდან 198369,9 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 24 აგვისტოს №1893135-2180594 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღებულ) საგარანტიო თანხის სახით 159000 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 11151,6 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხიდან – 33455 ლარიდან 22303,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში; პირგასამტეხლო თანხით 6477 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 64770 ლარიდან 58293 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 20 აპრილის №1893135-2111079 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღებულ) საგარანტიო თანხის სახით 108389 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 7602 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხიდან – 22806 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში; პირგასამტეხლო თანხით 4415,4 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 44154 ლარიდან 39738,6 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158230 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 778 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 29,5 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 295 ლარიდან 265,5 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158232 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 230 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 8,7 (რვა მთელი შვიდი მეათედი) ლარი. შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის

დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 87 ლარიდან 78,3 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158236 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 2840 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 107,5 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 1075 ლარიდან 967,5 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158263 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 1018 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 38,6 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 386 ლარიდან 347,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425107 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 844 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 13,2 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 132 ლარიდან 118,8 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204726 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 28987 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 666,7 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 6667 ლარიდან 6000,3 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204741 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 44986 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 1034,7 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხ-

ლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 10347 ლარიდან 9312,3 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204766 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 63457 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 1240,4 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 12404 ლარიდან 11163,6 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247401 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 34427 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 819,3 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 8193 ლარიდან 7373,7 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247569 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 53427 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 1271,5 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 12715 ლარიდან 11443,5 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 2 სექტემბრის №1893135-2405865 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 740 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 12,4 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 124 ლარიდან 111,6 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 2 სექტემბრის №1893135-2405823 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 543 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 12,8 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით

მოთხოვნილი თანხიდან – 128 ლარიდან 115,2 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 2 სექტემბრის №1893135-2405864 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 2933 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 9 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 90 ლარიდან 81 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 14 სექტემბრის №1893135-2191438 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 8457 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 336,1 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 3361 ლარიდან 3024,9 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 18 სექტემბრის №1893135-2193766 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 1263 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 15,2 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 152 ლარიდან 136,8 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 13 აგვისტოს №1893135-2174771 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 3370 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 119,6 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 1196 ლარიდან 1076,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 6 სექტემბრის №1893135-2187096 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 5293 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 212,5 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 2125 ლარიდან 1912,5 ლარის

გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 12 სექტემბრის №1893135-2190556 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 3016 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 120,6 (ასოცი მთელი ექვსი მეათედი) ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 1206 ლარიდან 1085,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247592 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 892972 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 55632 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 1055,3 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 10553 ლარიდან 9497,7 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425118 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 584905,35 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 12284 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 123,8 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 1238 ლარიდან 1114,2 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425116 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 1128681,38 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 10249 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 104,8 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 1048 ლარიდან 943,2 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204624 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გა-

დახდა: გამოთხოვილი (განაღებულ) საგარანტიო თანხის სახით 710789 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 44359 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 863,3 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 8633 ლარიდან 7769,7 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425111 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღებულ) საგარანტიო თანხის სახით 579741 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 5083 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 47,4 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 474 ლარიდან 426,6 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425115 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღებულ) საგარანტიო თანხის სახით 899703 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 7888 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 73,5 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 735 ლარიდან 661,5 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 31 აგვისტოს №1893135-2183549 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით 1419 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 289,1 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 2891 ლარიდან 2601,9 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 15 აგვისტოს №1893135-2395908 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღებულ) საგარანტიო თანხის სახით 1229707 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 11997 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 301,6 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფი-

ლებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 3016 ლარიდან 2714,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 15 აგვისტოს №1893135-2395912 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის“ კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 478570 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 3273 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 47,8 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 478 ლარიდან 430,2 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 15 აგვისტოს №1893135-2176102 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის“ კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 8561 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 58 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 3,6 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 36 ლარიდან 32,4 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2013 წლის 27 სექტემბრის №1893135-2421514 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის“ კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 17123 ლარი; გასაცემ საბანკო გარანტიის თანხაზე დარიცხული სარგებლის (წლიური 5%) სახით 160 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 1,7 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 17 ლარიდან 15,3 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. სს „თ-ის“ დაკმაყოფილებული მოთხოვნა თანხით 13 091 537,13 ლარი, მოვალე შ-ის მიმართ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში, როგორც უზრუნველყოფილი მოთხოვნა, გათვალისწინებული იქნა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში მე-4 რიგის მოთხოვნად.

3. აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მაისის გადანყვეტილებით შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების პირველი (1.2, 1.3, 1.5, 1.6, 1.7, 1.8. ქვეპუნქტები გასაჩივრებულ ნაწილში) და მეორე პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სს „თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 2012 წლის 7 აგვისტოს №1893135-2171132 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 740 000 ლარი; საპროცენტო სარგებელი – 108 719 ლარი; პირგასამტეხლო – 21 137 ლარი, შესაბამისად, სს „თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხიდან – 211370 ლარიდან 190 233 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში. 2012 წლის 6 აგვისტოს №1893135-2171127 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 68 153 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 20 222 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 2 228,4 ლარი. 2012 წლის 14 სექტემბრის №1893135-2196532 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 1707790 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 354 564 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 68 352,1 ლარი. 2012 წლის 11 სექტემბრის №1893135-2189835 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 550 000 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 114 867 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 22 041,1 ლარი. 2012 წლის 24 აგვისტოს №1893135-2180594 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 159 000 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 33 455 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 6 477 ლარი. 2012 წლის 20 აპრილის №1893135-2111079 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე შ-ის კრედიტორ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა შემდეგი თანხის გადახდა: გამოთხოვილი (განაღებული) საგარანტიო თანხის სახით 108 389 ლარი; საპროცენტო სარგებელი თანხით 22 806 ლარი; პირგასამტეხლო თანხით 4 415,4

ლარი. სს „თ-ის“ დაკმაყოფილებული მოთხოვნა თანხით 9 954 341 ლარი, მოვალე შ-ის მიმართ წარმოებული გადახდისუვნა-რობის საქმის წარმოების ფარგლებში, როგორც უზრუნველყოფილი მოთხოვნა, გათვალისწინებული იქნას კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში მე-4 რიგის მოთხოვნად. სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

5. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6. უდავოდ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებულია სარჩელში მითითებული ყველა ხელშეკრულება და მხარეთა შორის არსებული დავა განპირობებულია აღნიშნულ ხელშეკრულებათა არსებობის გამო წარმოქმნილი საკრედიტო და საბანკო გარანტიის ურთიერთობათა ფარგლებში შეუთანხმებლობით.

7. უდავოდ მიიჩნია, სარჩელით მოთხოვნილი თანხების (ძირითადი ვალდებულება, საპროცენტო სარგებელი და ან პირგასამტეხლო) ოდენობა დაანგარიშების კუთხით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტულ მაჩვენებელთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ აღიარა ბანკთან 2013 წლის 15 აპრილს გაფორმებული №1893135-2323481 საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში კრედიტორის სასარგებლოდ კრედიტის სახით მიღებული თანხის – 2504203 (ორი მილიონ ხუთასოთხი ათას ორასსამი) ლარის და საპროცენტო სარგებლის სახით დარიცხული თანხის – 243696 (ორასორმოცდასამიათას ექვსასოთხმოცდათექვსმეტი) ლარის გადახდის ვალდებულება. ამ ხელშეკრულების 2.5. პუნქტის თანახმად, საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შეადგენს წლიურ 16%-ს, ხოლო პირგასამტეხლო განსაზღვრულია გადაუხდელი დავალიანების 0,2%-ით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, რაც მთელი წლის მანძილზე გვაძლევს ვადამოსული დავალიანების გადაუხდელი ნაწილის 73%-ს ($0,2\% \times 365$ დღეზე = 73%-ს). ამ საპროცენტო განაკვეთის პირობებში დათვლილი პირგასამტეხლო შეადგენს 1299776 (მილიონ ორასოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარს.

9. უდავოა, რომ გარანტს და პრინციპალს შორის გაფორმდა ერთმანეთის მსგავსი შინაარსის მქონე საბანკო გარანტიის ხელშეკრულებები და მათ საფუძველზე განვითარებულ ურთიერთობათა ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის მოქმედებები:

10. 2013 წლის 27 სექტემბრის №1893135-2421514 საბანკო

გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 17123 (ჩვიდმეტი ათას ასოცდასამი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა სსიპ „ტექნოლოგიების განვითარების ფონდი“. ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულებაა მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების CPV-45232151 შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში შპს „ს-ს“ სატენდერო წინადადების შესაბამისად მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამავე ხელშეკრულების დანართით დადგინდა, რომ „გარანტია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მოხდება სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ მიერ 2013 წლის 26 სექტემბერს წარმოდგენილ №07-02/57 წერილში აღნიშნული მოთხოვნების გაუქმება“ (პუნქტი 1.1.1.1). გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა ის 2013 წლის 31 დეკემბერს და 2014 წლის პირველ აპრილს ბანკსა და შპს „ს-ს“ შორის გაფორმებული შეთანხმებებით №1893135-2421514 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გაგრძელდა ორჯერ და საბოლოოდ ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრა დრო 2015 წლის პირველ იანვრამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების 1.4. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისათვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). 3.3.1. პუნქტის შესაბამისად, კლიენტი (პრინციპალი) თანახმაა ბანკმა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე ბენეფიციარს უპირობოდ აუნაზღაუროს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, ხოლო რაც შეეხება 3.3.2. პუნქტს, მის შესაბამისად ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენისას შესაბამისი დოკუმენტების (ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულება) წარმოდგენლობა არ წარმოადგენს ბანკის მიერ საბანკო გარანტიით გათვა-

ლისწინებულის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს. საბოლოოდ სს „თ-მა“ გარანტიის ვადის ცვლილებების გათვალისწინებით 2014 წლის პირველი აპრილისათვის გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა: „ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტიები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 17 123 ლარის ოდენობით და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. წინამდებარე გარანტია ძალაშია 2015 წლის 1 იანვრამდე“. ბენეფიციარის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ 2014 წლის 27 აგვისტოს №07 02/153 წერილის საფუძველზე №1893135-2421514 საბანკო გარანტიის ფარგლებში სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდს“ ბანკმა გადაუხადა 17123 (ჩვიდმეტი ათას ასოცდასამი) ლარი.

11. 2012 წლის 15 აგვისტოს №1893135-2176102 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 8561 (რვაათას ხუთასსამოცდაერთი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა სსიპ გუდაურის განვითარების ფონდი (დღეისათვის სსიპ „ტექნოლოგიების განვითარების ფონდის“ სახელით ცნობილი იურიდიული პირი). ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულება მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების CPV-45232151 შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში შპს „ს-ს“ სატენდერო წინადადების შესაბამისად მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამავე ხელშეკრულების გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა ის გაგრძელდა 2014 წლის პირველ აპრილამდე, ხოლო შემდეგ 2015 წლის პირველ იანვრამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების 1.4. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისათვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავე

ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). საბოლოოდ სს „თ-მა“ გარანტიის ვადის ცვლილებების გათვალისწინებით 2014 წლის პირველი აპრილისათვის გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 8561 ლარის ოდენობით და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. წინამდებარე გარანტია ძალაშია 2015 წლის 1 იანვრამდე“. ბენეფიციარის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ 2014 წლის 27 აგვისტოს №07 02/153 წერილის საფუძველზე №1893135-2176102 საბანკო გარანტიის ფარგლებში სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ ბანკმა გადაუხადა 8561 (რვაათას ხუთასსამოცდაერთი) ლარი.

12. 2012 წლის 31 აგვისტოს №1893135-2183549 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 175620 (ასსამოცდათხუთმეტი ათას ექვსასოცი) ლარი. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულებაა 2012 წლის 31 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით (ე.ტ. №115-12) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (ბენეფიციარის) წინაშე შპს „ს-ს“ წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ანაკლიას საავტომობილო გზის კმ 24+440 – კმ 29+365 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების (CPV45233142) განხორციელებას. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტიის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად სესხად. ამა-

ვე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). სს „თ-მა“ 2012 წლის 31 აგვისტოს გაცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის – საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 175620 ლარის ოდენობით და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნის შემდეგ. წინამდებარე გარანტია ძალაშია: ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე; ბ) 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით; იმის მიხედვით რომელი გარემოება დადგება უფრო ადრე“. ჯერ 2012 წლის 29 ნოემბერს, ხოლო შემდეგ 2013 წლის 4 ივლისს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შპს „ს-ს“ შორის შედგა წერილობითი შეთანხმებები, რომელთა საფუძველზეც 2012 წლის 31 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №115-12 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადა – 2012 წლის 1 დეკემბერი ჯერ შიცვალა 2013 წლის 30 ივნისით, ხოლო შემდეგ 2013 წლის 15 აგვისტოთი. ცვლილება განიცადა №1893135-2183549 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადამაც და ის ამჯერად განისაზღვრა 2013 წლის 31 ივლისამდე. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2013 წლის 29 ივლისის №07-01-03/4157 წერილით ბანკისგან მოითხოვა საგარანტიო თანხიდან 12 368,4 ლარის გადახდა. ამ წერილში აღნიშნულია შემდეგი: 2012 წლის 31 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №115-12 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოება მიმწოდებელმა (შპს „ს-მ“) დაიწყო 2012 წლის 31 აგვისტოს და მას აღნიშნული სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2012 წლის 1 დეკემბერს. დეპარტამენტის მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა და სამუშაოების ვადის ორჯერ გაგრძელების მიუხედავად შპს „ს-მ“ დაარღვია ხელშეკრულების 5.1. მუხლის „ბ“ პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც

ხელშეკრულების მე-7 მუხლი 7.1. პუნქტის საფუძველზე 2013 წლის 12 ივლისის №07-01-03/3785 წერილით და განმეორებით 2013 წლის 19 ივლისის №07-01-03/3979 წერილით, ორჯერ დაერიცხა პირგასამტეხლო 6184,2 ლარის ოდენობით, რომელთა გადასახდელადაც მიეცა ვადა, პირველისათვის 2013 წლის 26 ივლისამდე და მეორე პირგასამტეხლოსათვის 2013 წლის 30 ივლისამდე. თუმცა, ხსენებული პირგასამტეხლოების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები დეპარტამენტში დღემდე არ წარმოუდგენიათ. ამ წერილის საფუძველზე №1893135-2183549 საბანკო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარს – საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს პრინციპალისათვის დაერიცხული პირგასამტეხლოს ანგარიშში ბანკმა გადაუხადა 12 368,4 (თორმეტი ათას სამასსამოცდარვა მთელი ოთხი მეათედი) ლარი.

13. 2012 წლის 6 აგვისტოს №1893135-2171127 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 508576 (ხუთასრვაათას ხუთასმოცდათექვსმეტი) ლარი. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულებაა 2012 წლის 6 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით (ე.ტ. №105-12) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (ბენეფიციარის) წინაშე შპს „ს-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ 88+235 – კმ. 99 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). სს „თ-მა“ 2012 წლის 6 აგვისტოს

გაცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის – საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „ვადასტურებით, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 578576 ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნის შემდეგ. წინამდებარე გარანტია ძალაშია: ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე; ბ) 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით; იმის მიხედვით რომელი გარემოება დადგება უფრო ადრე“. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2013 წლის 6 აგვისტოს №07-01-03/4494 წერილით ბანკისგან მოითხოვა საგარანტიო თანხიდან 68 152,9 ლარის გადახდა. ამ წერილში აღნიშნულია შემდეგი: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2013 წლის 19 ივლისის №07-01-03/3979 წერილით შპს „ს-ს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა 68 152,9 ლარის გადახდა, რისთვისაც განესაზღვრა 14 საბანკო დღე. აღნიშნული წერილი მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელს ჩაბარდა 2013 წლის 26 ივლისს. მიუხედავად აღნიშნულისა დეპარტამენტში დღემდე არ წარმოუდგენიათ ხსენებული პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, იძულებული ვართ ავამოქმედოთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი №1893135-2171127 საბანკო გარანტია“. ამ ფაქტობრივ ვითარებაზე დაყრდნობით, ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველით №1893135-2171127 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხიდან – 508576 ლარიდან ბანკმა მოითხოვა 68 152,9 ლარის გადახდა. ამ წერილის საფუძველზე №1893135-2171127 საბანკო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარს – საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს პრინციპალისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ანგარიშში ბანკმა 2013 წლის 5 სექტემბერს გადაუხადა 68 152,9 (სამოცდარვა ათას ასორმოცდათორმეტი მთელი ცხრა მეთათედი) ლარი.

14. 2012 წლის 11 ოქტომბერს №1893135-2204677 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად გა-

ნისაზღვრა 355599 (სამასორმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულება 2012 წლის 11 ოქტომბერს დადებული №IDA/RDPII/CW/NCB/01-2012 კონტრაქტით საქართველოს მუნიციპალური ფონდის განვითარების (ბენეფიციარის) წინაშე შპს „ს-ს“ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ქ. წყალტუბოს ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობებისა და მცირე ზომის საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაციის განხორციელებას. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 11 მაისამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტიის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „კონტრაქტორის თხოვნის საფუძველზე, ჩვენ, სს „თ-ი“ ვიღებთ უპირობო ვალდებულებას, გადაგახადოთ ნაბისმიერი თანხა ან თანხები, რომლის ოდენობა ჯამში არ აღემატება 355599 ლარს. გადახდა განხორციელდება თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილობითი განცხადება, რომ კონტრაქტორმა დაარღვია თავისი ვალდებულებები კონტრაქტის ფარგლებში. თქვენ არ მოგეთხოვებათ თქვენი მოთხოვნის ან მასში მითითებული თანხის დამტკიცება ან დასაბუთება. გარანტიის მოქმედების ვადა იწურება არაუგვიანეს 2014 წლის 11 მაისისა და გადახდის შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა ჩვენ უნდა მივიღოთ ამ ოფისში აღნიშნული თარიღისათვის ან მასზე ადრე“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 1528-გ-2 201308071304 წერილის საფუძველზე პრინციპალის მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ბანკს წარედგინა №1893135-2204677 საბანკო გარანტიის ფარგლებში თანხის გადახდის მოთხოვნა, რაც შეასრულა ბანკმა და ბენეფიციარს – საქართველოს მუნიციპ-

ლაური განვითარების ფონდს 2013 წლის 6 სექტემბერს გადაუხადა 355599 (სამასორმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

15. საქმეში წარმოდგენილია ცნობა, რომელიც დათარიღებულია 2013 წლის 28 დეკემბრით და მასზე სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველ მოადგილესთან ერთად ხელს აწერს აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა, ექვსი თანამდებობის პირი. ამ ცნობის თანახმად, გამოვლინდა, რომ ბენეფიციარის მიერ №1893135-2204677 საბანკო გარანტიის ფარგლებში გამოთხოვილი თანხიდან 29617,35 ლარი ზედმეტაა გამოთხოვილი.

16. 2012 წლის 11 სექტემბერს №1893135-2189835 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 550000 (ხუთასორმოცდაათი ათასი) ლარი. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულებაა 2012 წლის 11 სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით საქართველოს მუნიციპალური ფონდის განვითარების (ბენეფიციარის) წინაშე შპს „ს-ს“ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ქ. ფოთში 7 სახლიანი საცხოვრებელი უბნის სამშენებლო სამუშაოების წარმოებას. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 11 ივლისამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 550000 ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე

თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 11 ივლისისა. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ „ბენეფიციარის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ თარიღამდე“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013 წლის 4 ივლისის №1215-გ-2 წერილის საფუძველზე პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ბანკს წარედგინა №1893135-2189835 საბანკო გარანტიის ფარგლებში თანხის გადახდის მოთხოვნა, რაც შეასრულა ბანკმა და ბენეფიციარს – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2013 წლის 8 ივლისს გადაუხადა 550000 (ხუთასორმოცდაათი ათასი) ლარი.

17. 2012 წლის 24 აგვისტოს №1893135-2180594 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 159000 (ასორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულებაა 2011 წლის 28 დეკემბერს დადებული №EIB/WIMP/W/ICB/08 კონტრაქტით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (ბენეფიციარის) წინაშე შპს „ს-ს“ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს წალენჯიხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 15 მარტამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ, სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიდებთ ვალდებულებას გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 159000 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ,

რომელიც შეიცავს წერილობით განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, თქვენი მოთხოვნის ან მასში მითითებული თანხის საფუძვლის ან დადასტურების საჭიროების გარეშე. წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება არაუგვიანეს 2013 წლის 15 მარტისა და ნებისმიერი მოთხოვნა წინამდებარე გარანტიის შესაბამისად გადახდასთან დაკავშირებით შეიძლება მიღებული იქნეს ჩვენს მიერ ოფისში, აღნიშნულ თარიღამდე და ამ დღეს“. ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადამ განიცადა ცვლილება და ის განისაზღვრა 2013 წლის 30 ივნისამდე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 21 ივნისის №1060-გ წერილით კონტრაქტორის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის საფუძვლით მოითხოვა საბანკო გარანტიის განაღდება, რაც შეასრულა ბანკმა და ბენეფიციარს – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2013 წლის 4 ივლისს გადაუხადა 159000 (ასორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი.

18. 2012 წლის 7 აგვისტოს №1893135-2171132 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 1000000 (ერთი მილიონი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს საავტომობილო დეპარტამენტსა და შპს „ს-ს“ შორის 2012 წლის 6 აგვისტოს დადებული ე.ტ.№105-12 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებასთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ.88+235-კმ.99 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. ამ სამუშაოს მთლიანი ღირებულება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე შეადგენს 8619929,66 ლარს. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 იანვრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტიის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვა-

დაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ გასცა შემდეგი შინაარსის საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე – „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ს-მ“ (ს/ნ 220016113) (შემდგომში „კონტრაქტორი“) 2012 წლის 6 აგვისტოს გააფორმა თქვენთან ხელშეკრულება ე.ტ.№105-12 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ.88+235-კმ.99 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შესახებ (შემდგომში „კონტრაქტი“). ამასთანავე, ჩვენთვის გასაგებია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად აუცილებელია საავანსო გადახდის გარანტიის არსებობა ქვემოთ მოცემულ თანხაზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ, სს „თ-ი“, უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადავიხადოთ თქვენ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც ჯამში არ აღემატება 1000000 (ერთი მილიონი) ლარს. თანხის გადახდა მოხდება ჩვენს მიერ თქვენგან პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება, რომ „კონტრაქტორმა“ დაარღვია კონტრაქტი განსაზღვრული ვალდებულება/ები. გარანტია ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც „კონტრაქტორის“ ანგარიშზე სს „თ-ში“ სრულად ჩაირიცხება „კონტრაქტით“ გათვალისწინებული საავანსო თანხა, შესაბამისად მოცემული გარანტიის ფარგლებში ნებისმიერი პრეტენზიის ან გადახდის პირობას წარმოადგენს შემდეგი: კონტრაქტორს საავანსო თანხა აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიღებული მის ანგარიშზე სს „თ-ში“, ანგარიშის №GEO50 TB50 1353 6050 1000 01. მოცემული გარანტიის მაქსიმალური თანხა პროგრესულად უნდა შემცირდეს საავანსო თანხის იმ ნაწილით, რომელიც უკვე დაფარულია კონტრაქტორის მიერ, როგორც ეს ნიშნულია შუალედური ამონაწერების ასლებში ან გადახდის სერთიფიკატებში, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ბანკში. გარანტიის მოქმედება სრულდება ყველაზე გვიან, ჩვენს მიერ შუალედური გადახდის სერთიფიკატის მიღების შემდეგ, რომელშიც მითითებული იქნება, რომ კონტრაქტის ღირებულების 80% (ოთხმოცი პროცენტის) გადახდა უკვე დადასტურებულია ან 2013 წლის 30 იანვრის ჩათვლით, ამ თარიღთაგან პირველის დადგომამდე. შესაბამისად, გადახდის ნებისმიერი მოთხოვნა მოცემული გარანტიის ფარგლებში მიღებული უნდა იქნას ჩვენს ოფისში ზემოხსენებული თარიღის ჩათვლით“. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზე-

ბის დეპარტამენტმა 2013 წლის 23 ივლისის №07-01-03/4038 ნე-რილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 740000 (შვიდასორმოცი ათასი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარი მიუთითებს შემდეგს: “გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს “ს-ს“ შორის 2012 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული ე.ტ.№105-12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და კონტრაქტის მე-9 მუხლის 9.4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე. ხელშეკრულების შესაბამისად ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება მომწოდებელმა ორგანიზაციამ დაიწყო 2012 წლის 6 აგვისტოს, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2013 წლის 30 სექტემბერი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადებიდან გასულია ერთ წლამდე ვადა და მიუხედავად დეპარტამენტის და საზედამხედველო ორგანიზაციის გაფრთხილებებისა სამუშაოების დაწყებიდან დღეის მდგომარეობით სულ შესრულებულია 3356230,52 (სამიმილიონ სამასორმოცდათექვსმეტი ათას ორასოცდაათი მთელი ორმოცდათორმეტი მეთასმეტი) ლარის სამუშაოები დღე-ს ჩათვლით, რაც მთელი საკონტრაქტო ღირებულების 33%-ს შეადგენს... აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, ვინაიდან სახეზეა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტისა და თქვენს მიერ 2012 წლის 7 აგვისტოს გაცემული №1893135-2171132 ავანსის უზრუნველყოფის მიზნით გაცემული საბანკო გარანტიის ამოქმედების თაობაზე.“ ბანკმა იმოქმედა ამ წერილის შესაბამისად და 2013 წლის 5 სექტემბერს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გადაუხადა 740000 (შვიდასორმოცი ათასი) ლარი.

19. 2012 წლის 24 სექტემბერს №1893135-2196532 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 2199999,8 (ორიმილიონ ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხაასოთხმოცდაცხრამეტი მთელი რვა მეთამეტი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია სა-

ქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2012 წლის 11 სექტემბერს დადებული №SB/IDP/ET/CW/150-2012 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება-სთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ქალაქ ფოთში 10999999 (ათი მილიონ ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრა-ასოთხმოცდაცხრამეტი) ლარის ღირებულების მქონე, 7 სახლი-ანი საცხოვრებელი უბნის სამშენებლო სამუშაოების წარმოება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 11 ივლისის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგა-სამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ გასცა შემდეგი შინაარსის საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე – „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ს-ს“ (შემდგომში „კონტრაქტორი“) გააფორმა თქვენთან კონტრაქტი №SB/IDP/ET/CW/150-2012 დათარიღებული 11.09.2012 წლით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში „კონტრაქტი“) შესრულებაზე. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად წინასწარი (საავანსო) გადახდა 2199999,8 (ორიმილიონ ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი მთელი რვა მეთაედი) ლარის ოდენობით განხორციელდება საავანსო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ, სს „თ-ი“, შეუქცევადად ვიღებთ ვალდებულებას გადავიხადოთ თქვენ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 2199999,8 (ორიმილიონ ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი მთელი რვა მეთაედი) ლარს, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, სადაც მიუთითებთ, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მის მიერ აღებული ვალდებულება ან საავანსო გადახდის თანხები მან გამოიყენა სხვა მიზნებისათვის, გარდა კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების სამობილიზაციო ხარჯების დასაფარად. გარანტიის ფარგლებში თანხის ყოველგვარი მოთხოვნის წინაპირობაა, კონტრაქტორს საავანსო გადახდა მიღებული უნდა ჰქონდეს მის ანგარიშზე №GE50TB5013536050100001 სს „თ-ში“. გარანტიის მაქსიმალური

თანხა შემცირდება პროპორციულად იმ თანხის ოდენობით, რომელიც გადახდილი იქნება კონტრაქტორის მიერ, როგორც ეს მითითებული იქნება შუალედური გადახდების სერთიფიკატებში, რომლის ასლები წარმოდგენილი უნდა იყოს ჩვენთან. წინამდებარე გარანტია ძალაშია წინასწარი (საავანსო) გადახდის თარიღიდან დამკვეთის „შ-ი“-ს მიერ ამ თანხის სრული ოდენობით მიღებამდე ან 2013 წლის 11 ივლისის ჩათვლით, რომელიც მოხდება უფრო ადრე“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 21 ივნისის №1035-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 1707789,69 (მილიონ შვიდასშვიდი ათას შვიდასოთხმოცდაცხრა მთელი სამოცდაცხრა მესამედი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ეს წერილი, მისი ასლის სახით, გადაეცა შპს „ს-საც“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 4 ივლისის სს „თ-ს“ განმეორებით მიმართა შემდეგი შინაარსის №1216-გ წერილით: თქვენი 2013 წლის 3 ივლისის წერილის პასუხად განმეორებით წარმოგიდგენთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში ფონდი) და შპს „ს-ს“ (შემდგომში კონტრაქტორი) შორის გაფორმებული ქ. ფოთში 7 სახლიანი საცხოვრებელი უბნის მშენებლობის თაობაზე №SB/IDP/ET/CW/150-2012 ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) ფარგლებში საავანსო გადახდის №1893135-2196532 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის – 1707789,69 ლარის გადახდის თაობაზე მოთხოვნას. აქვე გაცნობებთ, რომ საბანკო გარანტიის ამოქმედების საფუძველს წარმოადგენს შპს „ს-ს“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, კერძოდ, ზემოხსენებული ხელშეკრულებით სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2013 წლის 20 ივნისი, კონტრაქტორის მხრიდან კი შეუსრულებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობის დიდი ნაწილი, რის საფუძველზეც ფონდის მხრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება კონტრაქტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ფონდის მიერ გამოთხოვილი თანხის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონტრაქტორის მხრიდან დაფარული (უკუგადახდილი) თანხები. ამ წერილს თან ერთვის 2013 წლის 28 ივნისის ზემოხსენებული ობიექტის სამშენებლო ინვენტარიზაციის აქტი, შუალედური გადახდის სერთიფიკატები და სს „თ-ის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტია ჯამში შვიდ ფურცლად. აღნიშნული წერილი მისი ასლის სახით გადაეცა შპს „ს-საც“. 2013 წლის 5 ივლისის

№940/102-01 წერილით სს „თ-მა“ შპს „ს-ს“ დამატებით აცნობა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 2013 წლის 4 ივლისის №1216-გ წერილით ითხოვდა №1893135-2196532 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის ანაზღაურებას და ამ გარემოებასთან დაკავშირებით ბანკი შპს „ს-საგან“ ითხოვდა მისი პოზიციის გარკვევას, მოსაზრებების დაუყოვნებლივ წარმოდგენას. შპს „ს-მ“ 2013 წლის 5 ივლისის №364 წერილით სს „თ-ს“ განუმარტა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ამ მოთხოვნით არ დასტურდება თუ რაში გამოიხატება შპს „ს-ს“ მხრიდან ვალდებულებების დარღვევა, ასევე არ არის ბანკისათვის წარდგენილი გარანტიაში მითითებული ყველა დოკუმენტი, პრინციპალის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები ბუნებაში არ არსებობს, პირიქით, არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები (გადახდის სერთიფიკატები და მშენებლობის ნებართვები), რომლებიც ადასტურებს თავად ბენეფიციარის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას. ამასთან, შპს „ს-მ“ ამ წერილში აღნიშნა, რომ არ არსებობდა ბენეფიციარის მხრიდან ცალმხრივად ხელშეკრულების კანონით და ხელშეკრულებით ნაკარნახევი წინაპირობები. უდავოა, რომ ამ წერილში მითითებული მტკიცებულებები, რომლითაც შპს „ს.“ ცდილობს დაადასტუროს საკუთარი პოზიციის მართებულობა ბანკს არ წარუდგენია. ბანკმა იმოქმედა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013 წლის 4 ივლისის №1216-გ წერილის შესაბამისად და 2013 წლის 8 ივლისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაუხადა 1707789,69 (მილიონ შვიდასშვიდი ათას შვიდასოთხმოცდაცხრა მთელი სამოცდაცხრა მესამედი) ლარი.

20. 2012 წლის 20 აპრილის №1893135-2111079 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 158922 (ასორმოცდათვრამეტი ათას ცხრაასოცდაორი) ლარი. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 28 დეკემბერს დადებული №EIB/WIMP/W/ICB/08 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ნალენჯიხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ,

რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტიის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ 2012 წლის 20 აპრილს გაცემული საავანსო გადახდის გარანტიაში აღნიშნულია: „ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად საავანსო გადახდა, რომელიც შეადგენს 158 922 ლარს, უნდა განხორციელდეს საავანსო გადახდის გარანტიის საფუძველზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 158 922 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელიც შეიცავს წერილობით განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, რადგან კონტრაქტორმა საავანსო გადახდის თანხა გამოიყენა სხვა მიზნით და არა მობილიზაციის ხარჯებისათვის აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით. წინამდებარე გარანტიის მაქსიმალური თანხა თანდათანობით შემცირდება კონტრაქტორის მიერ გადახდილი საავანსო გადახდის თანხით, რომელიც მითითებულია შუალედურ ანგარიშში ან გადახდის სერტიფიკატებში, რომელიც უნდა წარმოგვედგინოს ჩვენ. წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება (არაუგვიანეს) მას შემდეგ რაც მივიღებთ შუალედური გადახდის სერტიფიკატის ასლს... ან 2012 წლის 30 ოქტომბერს, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება“. 2013 წლის 14 მარტს ბანკსა და შპს „ს-ს“ შორის დადებული შეთანხმებით №1893135-2111079 გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2013 წლის 30 ივნისამდე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 21 ივნისის №1061-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 108389 (ასრვაათას სამასოთხმოდცდაცხრა) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ბენეფიციარის აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე სს „თ-ისაგან“ შპს „ს-ს“ ეცნობა 2013 წლის 26 ივნისის №887/102-01 წერილით და ამასთან პრინციპალს ბანკმა სთხოვა წარედგინა საკუთარი მოსაზრებები ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით. 2013 წლის 28 ივნისის №347 ნე-

რილით შპს „ს-საგან“ ბანკს განემარტა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წერილით არაა დადასტურებული პრინციპალის მხრიდან ძირითადი ვალდებულებების დარღვევის განმაპირობებელი გარემოება, ბენეფიციარის მოთხოვნას თან არ ერთვის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, თავად ბენეფიციარის მიერ არაერთგზის დაირღვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რამაც გამოიწვია მშენებლობის პროცესის შეფერხება და შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ნაწილობრივ დარღვევა, რასაც ადასტურებს გადახდის სერთიფიკატები. ამგვარი განმარტების მიუხედავად, შპს „ს-ს“ ბანკისათვის არ წარუდგენია წერილში მითითებული გადახდის სერთიფიკატები. საბოლოოდ, ბანკმა იმოქმედა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013 წლის 21 ივნისის №1061-გ წერილის (მოთხოვნის) შესაბამისად და 2013 წლის 4 ივლისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაუხადა აღნიშნული ოდენობის თანხა.

21. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425118 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 869611 (რვაასსამოცდაცხრა ათას ექვსასთერთმეტი) ლარი. ბენეფიციარი გახლდათ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDPII/CW/ICB/01-2012-L1 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ წყალტუბოს წრიული გზის სანიაღვრე სისტემის და წრიული გზის საფარის რებილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოემოზა იგივე ოდენობის თანხის გარანტიისათვის გადახდის ვალდებულება. იგივე ხელშეკრულების 1.4. პუნქტის შესაბამისად მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტიისთვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისთვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავ ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის დაფარვის ვადა – 14 დღე (პუნქტი

2.9), კრედიტის საპროცენტო სარგებელი. წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – დღიური 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ხელშეკრულების 3.3.2. პუნქტის თანახმად, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენისას შესაბამისი დოკუმენტების (ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულება) წარმოუდგენლობა არ წარმოადგენს ბანკის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ 2013 წლის 3 ოქტომბერს გაცემულ წინასწარი გადახდის გარანტიაში აღნიშნულია: „ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული კონტრაქტის პირობების შესაბამისად წინასწარი გადახდა, რომელიც შეადგენს 869 611 ლარს, განხორციელდა წინასწარი გადახდის გარანტიის საფუძველზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ სს „თ-ი“ უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 869 611 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელი მოთხოვნაც შეიცავს განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, რადგან კონტრაქტორმა წინასწარი გადახდის თანხა გამოიყენა სხვა მიზნით და არა მობილიზაციის ხარჯებისათვის აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით. ...წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება (არაუგვიანეს) მას შემდეგ რაც მივიღებთ შუალედური გადახდის სერტიფიკატის ასლს, რომელშიც მითითებულია, რომ საკონტრაქტო ფასის 80% დამონმებულია გადასახდელად, ან 2014 წლის 1 იანვარს, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება. შედეგად, ნებისმიერი მოთხოვნა წინამდებარე გარანტიის შესაბამისად გადახდასთან დაკავშირებით შეიძლება მიღებული იქნას ჩვენს ოფისში, აღნიშნულ თარიღამდე“. 2013 წლის 25 დეკემბერს ბანკსა და შპს „ს-ს“ შორის დადებული შეთანხმებით №1893135-2425118 გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 28 მარტამდე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2014 წლის 19 მარტს №804-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 584905,35 (ხუთასოთხმოცდაოთხი ათას ცხრაასსუთი მთელი ოცდათხუთმეტი მეასედი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, ავანსად მიღებული თანხა არ გამოიყენა ობიექტზე მობილიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის (კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების მოწოდება). ბენეფიციარმა იგივე შინაარსის, 2014

წლის 26 მარტის №901-გ წერილით ბანკისაგან კვლავ მოითხოვა ხსენებული თანხის გადახდა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ამ წერილობითი მოთხოვნების თაობაზე ბანკმა 2014 წლის 27 მარტის №370/120-01 წერილით აცნობა პრინციპალს – შპს „ს-ს“. თავის მხრივ, ამ წერილის საპასუხოდ, შპს „ს-მ“ 2014 წლის პირველ აპრილს, №01.04.14/01 წერილით სხვა საბანკო გარანტიების, მათ შორის, №1893135-2425118 საავანსო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნებთან დაკავშირებით განუცხადა შემდეგი: „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნა ... №1893135-2425118 საავანსო გარანტიის თანხის დარჩენილი ნაწილის 594905,35 ლარის ანაზღაურებაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი ვინაიდან სსიპ მგფ-ს გარანტიის გამოთხოვის კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. ორმხრივი ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა სსიპ მგფ-ის მიერ, რის გამოც მას არ აქვს უფლება გამოითხოვოს გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე წარდგენილი გვაქვს სამოქალაქო სარჩელი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ შპს „ს“-თან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო შპს „ს“-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით. გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნა უკანონოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ სსიპ მგფ-მა შეგნებულად არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხა, რაც შპს „ს-ს“ სამუშაოების გაგრძელების საშუალებას მისცემდა, რითაც სამშენებლო კომპანია ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უსაფუძვლო მოთხოვნა გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით“. მიხედვად პრინციპალის წინააღმდეგობისა, ბანკმა ბენეფიციარის უკანასკნელი წერილის საფუძველზე 2014 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ გადაუხადა 584905,35 ლარი.

22. 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247592 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 1007006 (ერთი მილიონ შვიდი ათას ექვსი) ლარი. ბენეფიციარი გახლდათ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიცი-

პალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDP/II/CW/ICB/02-2012 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციისა და გაფართოების განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 12 აპრილის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოემოზა იგივე ოდენობის თანხის გარანტიისათვის გადახდის ვალდებულება. იგივე ხელშეკრულების 1.4. პუნქტის შესაბამისად მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტიისთვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისთვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის დაფარვის ვადა – 14 დღე (პუნქტი 2.9), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – დღიური 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ გაცემულ წინასწარი გადახდის გარანტიაში აღნიშნულია: „ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული კონტრაქტის პირობების შესაბამისად წინასწარი გადახდა, რომელიც შეადგენს 1 007 006 ლარს, განხორციელდა წინასწარი გადახდის გარანტიის საფუძველზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ სს „თ-ი“ უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 1 007 006 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელიც შეიცავს წერილობით განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, რადგან კონტრაქტორმა წინასწარი გადახდის თანხა გამოიყენა სხვა მიზნით და არა მობილიზაციის ხარჯებისათვის აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

... წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება (არაუგვიანეს) მას შემდეგ რაც მივიღებთ შუალედური გადახდის სერტიფიკატის ასლს ... ან 2014 წლის 12 აპრილს, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება“. ამ გარანტიამ განიცადა მოდიფიკაცია და გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 12 ივლისამდე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2014 წლის 19 მარტს №803-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხო-

ვა 892971,96 (რვაასოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაასამოცდათერთმეტი მთელი ოთხმოცდათექვსმეტი მეასედი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, ავანსად მიღებული თანხა არ გამოიყენა ობიექტზე მობილიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის (კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების მოწოდება). ბენეფიციარმა იგივე შინაარსის, 2014 წლის 26 მარტის №904-გ წერილით ბანკისაგან კვლავ მოითხოვა ხსენებული თანხის გადახდა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ამ წერილობითი მოთხოვნების თაობაზე ბანკმა 2014 წლის 27 მარტის №370/120-01 წერილით აცნობა პრინციპალს – შპს „ს-ს“. თავის მხრივ, ამ წერილის საპასუხოდ, შპს „ს-მ“ 2014 წლის პირველ აპრილს, №01.04.14/01 წერილით სხვა საბანკო გარანტიების, მათ შორის, №1893135-2247592 საავანსო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნებთან დაკავშირებით განუცხადა შემდეგი: „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნა ... №1893135-2247592 საავანსო გარანტიის თანხის დარჩენილი ნაწილის 892971,96 ლარის ანაზღაურებაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი ვინაიდან სსიპ მგფ-ს გარანტიის გამოთხოვის კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. ორმხრივი ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა სსიპ მგფ-ის მიერ, რის გამოც მას არ აქვს უფლება გამოითხოვოს გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე წარდგენილი გვაქვს სამოქალაქო სარჩელი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ შპს „ს-ს“-თან დადებული ორმხრივი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „ს-ს“-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით. გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნა უკანონოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ სსიპ მგფ-მა შეგნებულად არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხა, რაც შპს „ს-ს“ სამუშაოების გაგრძელების საშუალებას მისცემდა, რითაც სამშენებლო კომპანია ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უსაფუძვლო მოთხოვნა გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით“. მიუხედავად პრინციპალის წინააღმდეგობისა, ბანკმა ბენეფიციარის უკანასკნელი წერილის საფუძველ-

ზე 2014 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სრულად გადაუხადა 892971,96 ლარი.

23. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425111 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 574741 (ხუთასსამოცდაათოთხმეტი ათას შვიდასორმოცდაერთი) ლარი. ბენეფიციარი გახლდათ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDPII/CW/ICB/01-2012-L1 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ წყალტუბოს წრიული გზის სანიაღვრე სისტემის და წრიული გზის საფარის რეაბილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 28 იანვრის ჩათვლით, თუმცა ის 2013 წლის 25 დეკემბერს ბანკსა და შპს „ს-ს“ შორის გაფორმებული შეთანხმებით №1893135-2425111 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გაგრძელდა და საბოლოოდ ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრა დრო 2014 წლის 28 მარტამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების 1.4. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისათვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). 3.3.1. პუნქტის შესაბამისად, კლიენტი (პრინციპალი) თანახმაა ბანკმა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე ბენეფიციარს უპირობოდ აუნაზღაუროს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, ხოლო რაც შეეხება 3.3.2. პუნქტს, მის შესაბამისად ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენისას შესაბამისი დოკუმენტების (ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულება) წარმოუდგენლობა არ წარმოადგენს ბანკის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს. საბოლოოდ

სს „თ-მა“ გარანტიის ვადის ცვლილებების გათვალისწინებით 2013 წლის 25 დეკემბრისათვის გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „კონტრაქტორის მოთხოვნით ჩვენ სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას თქვენს მიერ პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა, რომელიც არ აღემატება მთლიანობაში 579741 ლარს, და რომელიც მოთხოვნაზე შეიცავს განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, თქვენი მოთხოვნის ან მასში მითითებული თანხის საფუძვლის ან დადასტურების საჭიროების გარეშე. აღნიშნული გარანტიის ვადა ამოიწურება არაუგვიანეს 2014 წლის 28 მარტისა...“ ბენეფიციარის – სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ 2014 წლის 18 მარტის №778-გ წერილით შპს „ს-ს“ განემარტა, რომ მას კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შეჩერების მიზანშეუწონლობის შესახებ არაერთხელ ეცნობა წერილობით, თუ სამუშაო შეხვედრებისას პროექტის ზედამხედველის მხრიდან და მიუხედავად სამუშაოს განახლების შესახებ მრავალი შეტყობინებისა, სამუშაოები არ განახლდა, რაც გახდა საფუძველი შპს „ს-სათვის“ ცნობილი 2014 წლის 4 მარტის №596-გ წერილით წყალტუბოს წრიული გზის სანიაღვრე სისტემის და წრიული გზის საფარის რეაბილიტაციის თაობაზე №IDA/RDPII/CW/ICB/01-2012-L1 კონტრაქტის შეწყვეტისა. ბენეფიციარმა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ 2014 წლის 19 მარტის №807-გ წერილით ასევე მიმართა სს „თ-ს“ და კონტრაქტორის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის საფუძველით („სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებული იქნა 28 დღეზე მეტი ვადით ისე რომ აღნიშნული ნებადართული არ იყო საზედამხედველო კომპანიის მიერ“) მოითხოვა საბანკო გარანტიის განაღდება. ბენეფიციარმა ბანკს განმეორებით მიმართა 2014 წლის 26 მარტის №907-გ წერილით და იგივე შინაარსით განპირობებული საფუძველით მოითხოვა 579740,64 ლარის გადახდა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ამ წერილობითი მოთხოვნების თაობაზე ბანკმა 2014 წლის 27 მარტის №370/120-01 წერილით აცნობა პრინციპალს – შპს „ს-ს“. თავის მხრივ, ამ წერილის საპასუხოდ, შპს „ს-მ“ 2014 წლის პირველ აპრილს, №01.04.14/01 წერილით სხვა საბანკო გარანტიების, მათ შორის, №1893135-2425111 საავანსო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნებთან დაკავშირებით განუცხადა შემდე-

გი: „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნა ... №1893135-2425111 საავანსო გარანტიის თანხის დარჩენილი ნაწილის 579740,64 ლარის ანაზღაურებაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი ვინაიდან სსიპ მგფ-ს გარანტიის გამოთხოვის კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. ორმხრივი ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა სსიპ მგფ-ის მიერ, რის გამოც მას არ აქვს უფლება გამოითხოვოს გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე წარდგენილი გვაქვს სამოქალაქო სარჩელი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ შპს „ს“-თან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო შპს „ს“-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით. გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნა უკანონოა და არ გამოძინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ სსიპ მგფ-მა შეგნებულად არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხა, რაც შპს „ს“-ს სამუშაოების გაგრძელების საშუალებას მისცემდა, რითაც სამშენებლო კომპანია ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უსაფუძვლო მოთხოვნა გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით“. მიუხედავად პრინციპალის წინააღმდეგობისა, ბანკმა ბენეფიციარის განმეორებითი წერილის საფუძველზე 2014 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სრულად გადაუხადა მოთხოვნილი თანხა.

24. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425115 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 899703 (რვაასოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდასსამი) ლარი. ბენეფიციარი გახლდათ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს“-ს შორის 2011 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDPII/CW/ICB/01-2012-L2 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს“-ს მიერ ქალაქ წყალტუბოში ცენტრალურ პარკსა და ტბა „ცივის“ გზების, საფეხმავლო ბილიკებისა და წვიმისწყლის სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 28 მაისის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემ-

თხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების 1.4. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისათვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12).

3.3.1. პუნქტის შესაბამისად, კლიენტი (პრინციპალი) თანახმაა ბანკმა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე ბენეფიციარს უპირობოდ აუნაზღაუროს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, ხოლო რაც შეეხება 3.3.2. პუნქტს, მის შესაბამისად ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენისას შესაბამისი დოკუმენტების (ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულება) წარმოუდგენლობა არ წარმოადგენს ბანკის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ 2013 წლის 3 ოქტომბერს გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „კონტრაქტორის მოთხოვნით ჩვენ სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც არ აღემატება მთლიანობაში 899703 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელი მოთხოვნაც შეიცავს წერილობით განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, თქვენი მოთხოვნის ან მასში მითითებული თანხის საფუძვლის ან დადასტურების საჭიროების გარეშე. აღნიშნული გარანტიის ვადა ამოიწურება არაუგვიანეს 2014 წლის 28 მაისისა...“ ბენეფიციარის სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ 2014 წლის 4 მარტის №597-გ შეტყობინებით შპს „ს-ს“ ეცნობა 2011 წლის 11 ოქტომბრის №IDA/RDPII/CW/ICB/01-2012-L2 კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველად ამ შეტყობინებაში მითითებულია კონტრაქტის სისტემატიური, განგრძობადი, დადასტურებული შეუსრულებლობა და არაჯე-

როვანი შესრულება. ამ შეტყობინების შემდეგ ბენეფიციარმა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ 2014 წლის 26 მარტის №906-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და კონტრაქტორის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის საფუძვლით მოითხოვა საბანკო გარანტიის განაღდება. ამ წერილის საფუძველზე ბანკმა 2014 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სრულად გადაუხადა მოთხოვნილი თანხა – 899702,85 ლარი.

25. 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204624 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 671338 (ექვსასსამოცდათერთმეტი ათას სამასოცდათერთამეტი) ლარი. ბენეფიციარი გახლდათ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDPII/CW/ICB/02-2012 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ვანის არქეოლოგიური მუზეუმის გაფართოება და რეაბილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 11 მაისამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო. ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში სს „თ-მა“ 2012 წლის 11 ოქტომბერსავე გასცა საბანკო გარანტია და ბენეფიციარის სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ წინაშე იკისრა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა – „კონტრაქტორის მოთხოვნით ჩვენ სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას თქვენს მიერ პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა, რომელიც არ აღემატება მთლიანობაში 671338 ლარს, და რომელიც მოთხოვნაც შეიცავს განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას,

თქვენი მოთხოვნის ან მასში მითითებული თანხის საფუძვლის ან დადასტურების საჭიროების გარეშე. ამ გარანტიის ვადა ამოინურება არაუგვიანეს 2014 წლის 11 მაისისა, და ნებისმიერი მოთხოვნა მის შესაბამისად გადახდასთან დაკავშირებით მიღებული უნდა იყოს ჩვენ მიერ აღნიშნულ თარიღამდე ჩვენს ოფისში“. ამ საბანკო გარანტიამ 2013 წლის 25 დეკემბერს განიცადა მოდიფიკაცია და ის შეეხო მხოლოდ გარანტიით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას, რომელიც ნაცვლად 671338 ლარისა, განისაზღვრა 710789 ლარით. ბენეფიციარის სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ 2014 წლის 4 მარტის №595-გ წერილით შპს „ს-ს“ ეცნობა 2011 წლის 11 ოქტომბრის №IDA/RDPII/CW/ICB/02-2012 კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო 2014 წლის 19 მარტის №806-გ წერილით ბენეფიციარმა მიმართა სს „თ-ს“ და კონტრაქტორის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის საფუძვლით („სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებული იქნა 28 დღეზე მეტი ვადით ისე რომ აღნიშნული ნებადართული არ იყო საზედამხედველო კომპანიის მიერ“) მოითხოვა საბანკო გარანტიის განაღდება – 710789 ლარის გადახდა. ბენეფიციარმა ბანკს განემოკებინა მიმართა 2014 წლის 26 მარტის №905-გ წერილით და იგივე შინაარსით განპირობებული საფუძვლით მოითხოვა იგივე ოდენობის თანხის გადახდა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ამ წერილობითი მოთხოვნების თაობაზე ბანკმა 2014 წლის 27 მარტის №370/120-01 წერილით აცნობა პრინციპალს – შპს „ს-ს“. თავის მხრივ, ამ წერილის საპასუხოდ, შპს „ს-მ“ 2014 წლის პირველ აპრილს, №01.04.14/01 წერილით სხვა საბანკო გარანტიების, მათ შორის, №1893135-2204624 საავანსო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნებთან დაკავშირებით განუცხადა შემდეგი: „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნა ... №1893135-2204624 საავანსო გარანტიის თანხის დარჩენილი ნაწილის 710788,98 ლარის ანაზღაურებაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი ვინაიდან სსიპ მგფ-ს გარანტიის გამოთხოვის კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. ორმხრივი ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა სსიპ მგფ-ის მიერ, რის გამოც მას არ აქვს უფლება გამოითხოვოს გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე წარდგენილი გვაქვს სამოქალაქო სარჩელი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ შპს „ს“-თან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო შპს „ს-ს“-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებე-

ლი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით. გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნა უკანონოა და არ გამოდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ სსიპ მგფ-მა შეგნებულად არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხა, რაც შპს „ს-ს“ სამუშაოების გაგრძელების საშუალებას მისცემდა, რითაც სამშენებლო კომპანია ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უსაფუძვლო მოთხოვნა გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით“. მიუხედავად პრინციპალის წინააღმდეგობისა, ბანკმა ბენეფიციარის განმეორებითი წერილის საფუძველზე 2014 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სრულად გადაუხადა მოთხოვნილი თანხა.

26. 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425116 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 1349554 (მილიონ სამასორმოცდაცხრა ათას ხუთასორმოცდათოთხმეტი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2012 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDPII/CW/ICB/01-2012-L2 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ქ. წყალტუბოში ცენტრალურ პარკსა და ტბა „ცივის“ გზების, საფეხმავლო ბილიკებისა და წვიმისწყლის სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოემოზა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. რაც შეეხება ხელშეკრულების 1.4. პუნქტს, მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით დაადგინეს, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენ-

ტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ 2013 წლის 3 ოქტომბერსვე გაცემული წინასწარი (საავანსო) გადახდის გარანტიაში აღნიშნულია: „ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული კონტრაქტის პირობების შესაბამისად წინასწარი გადახდა, რომელიც შეადგენს 1349554 (მილიონ სამასორმოცდაცხრა ათას ხუთასორმოცდათოთხმეტი) ლარს, განხორციელდა წინასწარი გადახდის გარანტიის საფუძველზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 1349554 (მილიონ სამასორმოცდაცხრა ათას ხუთასორმოცდათოთხმეტი) ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელიც მოთხოვნაც შეიცავს განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, რადგან კონტრაქტორმა წინასწარი გადახდის თანხა გამოიყენა სხვა მიზნით და არა მობილიზაციის ხარჯებისათვის აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით. წინამდებარე გარანტიის მაქსიმალური თანხა თანდათანობით შემცირდება კონტრაქტორის მიერ გადახდილი წინასწარი გადახდის თანხით, რომელიც მითითებულია შუალედურ ანგარიშში ან გადახდის სერტიფიკატებში, რომელიც უნდა წარმოგვედგინოს ჩვენ. წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება (არაუგვიანეს) მას შემდეგ რაც მივიღებთ შუალედური გადახდის სერტიფიკატის ასლს, რომელშიც მითითებულია, რომ საკონტრაქტო ფასის 80% დამოწმებულია გადასახდელად, ან 2014 წლის 30 აპრილს, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2014 წლის 26 მარტის №903-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 1128681,38 (მილიონ ასოცდარვა ათას ექვსასოთხმოცდაერთი მთელი ოცდათვრამეტი მესამედი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, ავანსად გადახდილი თანხა არ გამოიყენა ობიექტზე მობილიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის (კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების მოწოდება). საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ამ წერილობითი მოთხოვნის თაობაზე ბანკმა 2014 წლის 27 მარტის №370/120-01 წერილით აცნობა პრინციპალს – შპს „ს-ს“. თავის მხრივ, ამ წერილის საპასუხოდ, შპს „ს-მ“ 2014 წლის პირველ

აპრილს, №01.04.14/01 წერილით სხვა საბანკო გარანტიების, მათ შორის, №1893135-2425116 საავანსო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნებთან დაკავშირებით განუცხადა შემდეგი: „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნა ... №1893135-2425116 საავანსო გარანტიის თანხის დარჩენილი ნაწილის 1128681,38 ლარის ანაზღაურებაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი ვინაიდან სსიპ მგფ-ს გარანტიის გამოთხოვის კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. ორმხრივი ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა სსიპ მგფ-ის მიერ, რის გამოც მას არა აქვს უფლება გამოითხოვოს გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე წარდგენილი გვაქვს სამოქალაქო სარჩელი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ შპს „ს-სთან“ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო შპს „ს“-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით. გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნა უკანონოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ სსიპ მგფ-მა შეგნებულად არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხა, რაც შპს „ს-ს“ სამუშაოების გაგრძელების საშუალებას მისცემდა, რითაც სამშენებლო კომპანია ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უსაფუძვლო მოთხოვნა გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით“. მიუხედავად პრინციპალის წინააღმდეგობისა, ბანკმა იმოქმედა ბენეფიციარის 2014 წლის 26 მარტის №903-გ წერილის შესაბამისად და 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაუხადა 1128681,38 (მილიონ ასოცდარვა ათას ექვსასოთხმოცდაერთი მთელი და ოცდათვრამეტი მესხედი) ლარი.

27. 2013 წლის 15 აგვისტოს №1893135-2395908 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 1435712 (მილიონ ოთხასოცდათხუთმეტი ათას შვიდასთორმეტი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა შპს „ლ-ის ს-ო ცენტრი“. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია შპს „ლ-ის ს-ო ცენტრსა“ და შპს „ს-ს“ შორის 2012 წლის 18 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებასთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ქ. ლ-ში მდებარე, ...; ...; ... საკადასტო კოდების მქონე მიწის ნაკვეთებზე ს-ო ცენტრის სამშენებლო/სამონტაჟო და მომიჯ-

ნავე ტერიტორიაზე მდინარე ლ-ის ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 15 ოქტომბრამდე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. რაც შეეხება ხელშეკრულების 1.4. პუნქტს, მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით დაადგინეს, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ 2013 წლის 15 აგვისტოსავე გაცემულ №1893135-2395908 საბანკო გარანტიის თანახმად: ა) გარანტიის გაცემის საფუძველია ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული წარდობის ხელშეკრულება, რომლის „თანახმად, საავანსო თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის გაცემა“; ბ) გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებაა ამ საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში პრინციპალისათვის გარანტიის თანხის გადახდა; გ) გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი: გ.ა) ბენეფიციარმა სრულად ჩარიცხა პრინციპალის ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო თანხა; გ.ბ) პრინციპალმა ამავდროულად დაარღვია ბენეფიციართან (დამკვეთთან) დადებული წარდობის ხელშეკრულება; გ.გ) ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში მიუთითა იმ გარემოების შესახებ, თუ რაში გამოიხატა ვალდებულების დარღვევა; გ.დ) ბენეფიციარმა მოთხოვნასთან ერთად გარანტს წარუდგინა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში; დ) საგარანტიო თანხა მცირდება პრინციპალის მიერ ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად; ე) საბანკო გარანტიის

მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდით. ამ საბანკო გარანტიის ფარგლებში წარმოქმნილი დავა ბენეფიციარის – შპს „ლ-ის ს-ო სახლის“ სარჩელის საფუძველზე გახდა სასამართლოს მსჯელობის საგანი. ამ დავაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა გარანტი – სს „თ-ი“. საკუთრივ დავის საგანი შეეხებოდა პრინციპალს (შპს „ს-ს“) და ბენეფიციარს (შპს „ლ-ის ს-ო სახლს“) შორის დადებულ ზემოხსენებულ ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 2013 წლის 15 აგვისტოს გაცემულ №1893135-2395912 და №1893135-2395908 საბანკო გარანტიების ფარგლებში ბენეფიციარის (შპს „ლ-ის ს-ო სახლის“) სასარგებლოდ გარანტისათვის 478570 ლარის და 1229706,91 ლარის გადახდის დაკისრებას. ამასთან, მოსარჩელე ასევე ითხოვდა მის სასარგებლოდ სს „თ-ს“ დაკისრებოდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ერთჯერადად, 2014 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით ვადაგადაცილებულ პერიოდზე 38670 ლარის გადახდა და ასევე 2014 წლის 18 თებერვლიდან თანხის სრულად გადახდამდე 1708276,91 ლარზე წლიური 6,5%-ის გათვალისწინებით შესაბამისი თანხის გადახდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №2/16097-13) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „ლ-ის ს-ო სახლის“ სარჩელი: ა) მოპასუხე სს „თ-ს“ სრულად დაეკისრა 2013 წლის 15 აგვისტოს გაცემულ №1893135-2395912 და №1893135-2395908 საბანკო გარანტიების ფარგლებში მოთხოვნილი თანხების, ჯამში 1708276,9 ლარის გადახდა; ბ) მოპასუხეს ასევე დაეკისრა დამატებითი ვალდებულების სახით ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ერთჯერადად, 2014 წლის 18 მარტის მდგომარეობით, 21353,6 ლარის და 2014 წლის 18 მარტიდან ვალდებულების შესრულებამდე ძირითადი ვალის (1708276,9 ლარის) წლიური 3%-ის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ამ დავის ორივე მხარის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით, თუმცა არცერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინებაც (საქმე №23/6105-14) გასაჩივრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 სექტემბრის №ას-749-709-2015 განჩინებით, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. ამდენად, უდავოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/16097-13) კანონიერ ძალაშია შესული.

28. 2013 წლის 15 აგვისტოს №1893135-2395912 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 478570 (ოთხასსამოცდათერთამეტი ათას ხუთასსამოცდაათი) ლარი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს წარმოადგენდა შპს „ლ-ის ს-ო ცენტრი“. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია შპს „ლ-ის ს-ო ცენტრსა“ და შპს „ს-ს“ შორის 2012 წლის 18 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებასთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ქ. ლ-ში მდებარე, ...; ...; ... საკადასტო კოდების მქონე მიწის ნაკვეთებზე ს-ო ცენტრის სამშენებლო/სამონტაჟო და მომიჯნავე ტერიტორიაზე მდინარე ლ-ის ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს) ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტისათვის გადახდის ვალდებულება. რაც შეეხება ხელშეკრულების 1.4. პუნქტს, მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით დაადგინეს, რომ გარანტიის თანხის გადახდის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდელი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტიის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ 2013 წლის 15 აგვისტოსავე გაცემული №1893135-2395912 საბანკო გარანტიის თანახმად: ა) გარანტიის გაცემის საფუძველია ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის „თანახმად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის გაცემა“; ბ) გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებაა ამ საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში პრინციპალისათვის გარანტიის თანხის გადახდა; გ) გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი: გ.ა) პრინციპალმა დაარღვია ბენეფიციართან (დამკვეთთან) დადებული ნარდობის ხელშეკრუ-

ლებით ნაკისრი ვალდებულება; გ.ბ) ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში მიუთითა იმ გარემოების შესახებ, თუ რაში გამოიხატა ვალდებულების დარღვევა; გ.გ) ბენეფიციარმა მოთხოვნასთან ერთად გარანტს წარუდგინა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში; დ) საგარანტიო თანხა მცირდება პრინციპალის მიერ ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად. ე) საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდით. ამ საბანკო გარანტიის ფარგლებში წარმოქმნილი დავა ბენეფიციარის – შპს „ლ-ის ს-ო სახლის“ სარჩელის საფუძველზე გახდა სასამართლოს მსჯელობის საგანი. ამ დავაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა გარანტი – სს „თ-ი“. საკუთრივ დავის საგანი შეეხებოდა პრინციპალს (შპს „ს-ს“) და ბენეფიციარს (შპს „ლ-ის ს-ო სახლს“) შორის დადებულ ზემოხსენებულ ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 2013 წლის 15 აგვისტოს გაცემულ №1893135-2395912 და №1893135-2395908 საბანკო გარანტიების ფარგლებში ბენეფიციარის (შპს „ლ-ის ს-ო სახლის“) სასარგებლოდ გარანტისათვის 478570 ლარის და 1229706,91 ლარის გადახდის დაკისრებას. ამასთან, მოსარჩელე ასევე ითხოვდა მის სასარგებლოდ სს „თ-ს“ დაკისრებოდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ერთჯერადად, 2014 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით ვადაგადაცილებულ პერიოდზე 38670 ლარის გადახდა და ასევე 2014 წლის 18 თებერვლიდან თანხის სრულად გადახდამდე 1708276,91 ლარზე წლიური 6,5%-ის გათვალისწინებით შესაბამისი თანხის გადახდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს საქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადანწყვეტილებით (საქმე №2/16097-13) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „ლ-ის ს-ო სახლის“ სარჩელი: ა) მოპასუხე სს „თ-ს“ სრულად დაეკისრა 2013 წლის 15 აგვისტოს გაცემულ №1893135-2395912 და №1893135-2395908 საბანკო გარანტიების ფარგლებში მოთხოვნილი თანხების, ჯამში 1708276,9 ლარის, გადახდა; ბ) მოპასუხეს ასევე დაეკისრა დამატებითი ვალდებულების სახით ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ერთჯერადად, 2014 წლის 18 მარტის მდგომარეობით, 21353,6 ლარის და 2014 წლის 18 მარტიდან ვალდებულების შესრულებამდე ძირითადი ვალის (1708276,9 ლარის) წლიური 3%-ის გადახდა. აღნიშნული გადანწყვეტილება ამ დავის ორივე მხარის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით, თუმცა არცერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინება (საქმე №23/6105-14) გასაჩივრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 სექტემბრის №ას-749-709-2015 განჩინებით, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. ამდენად, უდავოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/16097-13) კანონიერ ძალაშია შესული.

29. უდავოა, რომ 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158230, 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158232, 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158236, 2012 წლის 13 ივლისის №1893135-2158263, 2013 წლის 3 ოქტომბრის №1893135-2425107, 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204726, 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204741, 2012 წლის 11 ოქტომბრის №1893135-2204766, 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247401, 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247569, 2013 წლის 2 სექტემბრის №1893135-2405865, 2013 წლის 2 სექტემბრის №1893135-2405823, 2013 წლის 2 სექტემბრის №1893135-2405864, 2012 წლის 14 სექტემბრის №1893135-2191438, 2012 წლის 18 სექტემბრის №1893135-2193766, 2012 წლის 13 აგვისტოს №1893135-2174771, 2012 წლის 6 სექტემბრის №1893135-2187096 და 2012 წლის 12 სექტემბრის №1893135-2190556 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებების ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ შემდეგი სახის არსებით პირობებზე:

30. გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის შემთხვევაში გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტიის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად) (პუნქტი 1.3.); გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5); კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,2%-ით (პუნქტი 2.12).

31. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გასაჩივრა შ-მა, რომელმაც მოითხოვა მისი ნაწილობრივი გაუქმება, კერძოდ, 6812787,1 ლარის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს „თ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

32. საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებზე:

33. კასატორი აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებები: 1893135-2421514; 1893135-2176102; 1893135-2183549; 1893135-2171127; 1893135-2189835; 1893135-2180594) უზრუნ-

ველყოფდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ყველა მითითებული გარანტიის დათქმები სასამართლომ ერთგვარონად მიიჩნია, ჩათვალა, რომ ვალდებულების დარღვევაზე მხოლოდ ზოგადი მითითება საკმარისი იყო ბენეფიციარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კასატორის მოსაზრებით, სკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია“. №1893135–2180594 გარანტიაში დათქმა „მოთხოვნის საფუძვლის ან თანხის ოდენობის მტკიცების საჭიროების გარეშე“ ბენეფიციარს ანთავისუფლებს დარღვევის (მოთხოვნის საფუძვლის) მტკიცებისაგან, მაგრამ არ ათავისუფლებს კონკრეტული დარღვევის (“რაში გამოიხატება დარღვევა“) მითითებისაგან. დანარჩენი 5 გარანტიის შემთხვევაში ბენეფიციარმა არა მხოლოდ უნდა მიუთითოს კონკრეტულ დარღვევაზე, არამედ უნდა დაასაბუთოს აღნიშნული დარღვევები; შ-ის მხარემ 1893135–2421514 და 1893135–2176102 საბანკო გარანტიებთან მიმართებაში დამატებით მიუთითა შემდეგი: ბანკში წარდგენილი სამუშაოთა შესრულების კონტრაქტების თანახმად, დამკვეთის მიერ კონტრაქტორის ბრალეულობით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტორს ერიცხება შეუსრულებელ სამუშაოებზე ჯარიმა 10%-ის ოდენობით და აღნიშნულ თანხას ბენეფიციარი აინაზღურებს კონტრაქტორის მიერ მისაღები თანხების არგადახდით (დაქვითვით) და დარჩენილ ნაშთს კი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოთხოვით. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა“. შესრულების გარანტიის თანხით ხდებოდა დაკისრებული ჯარიმის დაფარვა. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების გამო შ-ის მიმართ, აღნიშნული ჯარიმების დარიცხვა კონტრაქტორის მიმართ ვერ მოხდებოდა. შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების და შ-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გათვალისწინებით. ბენეფიციარს არ გააჩნდა აღნიშნული შესრულების გარანტიების გამოთხოვის მართლზომიერი საფუძველი, რაც ცნობილი იყო ბანკისათვის,

ვინაიდან გადახდისუუნარობის საქმე დაწყებული იქნა სწორედ მისი ინიციატივით. შესრულების გარანტიებით უზრუნველყოფილი იყო პრინციპალისათვის ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძვლით დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა. მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის „დ“ პუნქტი არ ვრცელდება საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ ურთიერთობაზე, ვინაიდან მითითებული პუნქტით მონესრიგებულია მოვალისა და კრედიტორის ურთიერთობა. სასამართლოს მოცემული მსჯელობა მცდარია, ვინაიდან სკ-ის 885-ე და 887-ე მუხლების შესაბამისად ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა იყოს საფუძვლიანი. განსახილველ შემთხვევაში კი, ვინაიდან ბენეფიციარი პრინციპალს პირგასამტეხლოს ვერ დააკისრებდა (და არც დაუკისრებია), ცხადია, შესრულების გარანტიის განაღდებაზე მისი მოთხოვნა ვერ იქნებოდა საფუძვლიანი. საბანკო გარანტიაზე მოქმედებს საერთო წესი, რომლის თანახმადაც, თუ საბანკო გარანტიის დათქმა არ არის მოთხოვნის დასაბუთება მტკიცებულებებით, ბენეფიციარს მოთხოვნაში მითითებული უნდა ჰქონდეს კონკრეტული დარღვევები, ხოლო საბანკო გარანტიის დათქმა არის მოთხოვნის დასაბუთება მტკიცებულებებით, ბენეფიციარს მითითებული და დადასტურებული უნდა ჰქონდეს კონკრეტული დარღვევები. იმავედროულად კასატორს მიაჩნია, რომ ბანკს სხვა საფუძველთან ერთად (კონკრეტული დარღვევის მიუთითებლობა/დაუსაბუთებლობა) პირგასამტეხლოს მოთხოვნის უსაფუძვლობის გამოც შეეძლო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რაც მან არ განახორციელა. საბანკო გარანტიის ხელშეკრულებები: 1893135–23959098; 1893135–2395912. პირველი საბანკო გარანტია საავანსო გადახდის გარანტიაა, ხოლო მეორე – შესრულების გარანტია. 1893135–2395908 საბანკო გარანტია გაცემული იყო საავანსო გადახდაზე. კასატორი მიუთითებს, რომ გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ 4 მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში: პირველი – ბენეფიციარს სრულად უნდა ჰქონდეს ჩარიცხული პრინციპალის ანგარიშზე საავანსო თანხა. მოცემულ შემთხვევაში, გარანტია გაიცა 1 435 712 ლარზე, ანგარიშზე ჩაირიცხა 1 229707 ლარი; მეორე – პრინციპალს დარღვეული უნდა ჰქონდეს ბენეფიციართან დადებული ხელშეკრულება (მოთხოვნაში მხოლოდ მითითება კი არ უნდა იყოს დარღვევაზე, არამედ დარღვევის ფაქტი უდა იყოს სახეზე); დარღვევის ფაქტი არ არის დასაბუთებული; მესამე – ნერილობით მოთხოვნაში ბენეფიციარს მითითებული უნ-

და ჰქონდეს იმ გარემოების შესახებ, თუ რაში გამოიხატა ვალდებულების დარღვევა: მოთხოვნაში მითითებული არყოფილა საავანსო თანხების მიზნობრიობის დარღვევის თაობაზე; მეოთხე – ბენეფიციარმა მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარუდგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): დოკუმენტის წარდგენა არ მომხდარა და არც ის გამოკვლეულა, არსებობდა თუ არა ასეთი დოკუმენტი. მითითებულიდან გამომდინარე, ვინაიდან საბანკო გარანტიის დათქმებს ბენეფიციარის მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა, საბანკო გარანტიის განაღდება არ იყო მართებული.

34. რაც შეეხება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებიდან 1893135–2196532, 1893135–2111079, 1893135–2247592, კასატორი აღნიშნავს, რომ 1893135–2196532 საბანკო გარანტია გაცემულია საავანსო გადახდაზე. სასამართლომ, იქიდან გამომდინარე, რომ გარანტია შეიცავდა დათქმას – „თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, სადაც თქვენ მიუთითებთ, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მის მიერ აღებული ვალდებულება ან საავანსო გადახდის თანხები მან გამოიყენა სხვა მიზნებისათვის. გარდა კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების სამობილიზაციო ხარჯების დასაფარად“ – დაასკვნა, რომ მოცემული საბანკო გარანტია არაა საავანსო გარანტიის კლასიკური სახე და ის ამ სახის გარანტიის დამახასიათებელ თავისებურებებთან ერთად შეიცავს შესრულების გარანტიისთვის დამახასიათებელ ნიშნებსაც. კასატორი არ იზიარებს აღნიშნულს და მიუთითებს, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ საავანსო თანხის გამოყენებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევა და არა ზოგადად სახელშეკრულებო ვალდებულებები. ბენეფიციარმა თავისი 21.06.2013წ. წერილით საავანსო საგარანტიო თანხის განაღდება მოითხოვა საკონტრაქტო ვალდებულებათა დარღვევაზე მითითებით. თუმცა არცერთ წერილში ბენეფიციარს არ მიუთითებია საავანსო თანხების არამიზნობრივ გამოყენებაზე. ამის გარდა, ბენეფიციარის მიერ დარღვეული იყო შუალედური სერტიფიკატების წარდგენის ვალდებულება, რის გარეშეც ბანკის მხრიდან შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, „გარანტის მაქსიმალურ თანხას“ აღემატებოდა თუ არა გამოთხოვილი თანხა. ამრიგად, მოცემულ საბანკო გარანტიასთან მიმართებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმულიყო ბენეფიციარის მოთხოვნის საავანსო გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის საფუძველით. ამრიგად, მოცემულ საბანკო გარანტიასთან მიმართებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმულიყო ბენე-

ფიციარის მოთხოვნის საავანსო გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის საფუძვლით. მოცემული გარანტია, არ უზრუნველყოფს ძირითადი ხელშეკრულების სხვა რაიმე სახით დარღვევას ან არაჯეროვან შესრულებას. შესაბამისად, ამ საავანსო გადახდის გარანტიის ძირითად მიზანს წარმოადგენს მხოლოდ გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამდენად, საავანსო გარანტიის პირობათა დარღვევად განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ საავანსო თანხის არამიზნობრივი გამოყენება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა იმგვარი დარღვევა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და შესაბამისად, საავანსო თანხის დაბრუნებას იწვევს. ამრიგად, მოცემულ საბანკო გარანტიასთან მიმართებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმულიყო ბენეფიციარის მოთხოვნის საავანსო გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის საფუძვლით.

35. კასატორის მოსაზრებით, 1893135-2247592 გარანტია, თავისი შინაარსის მიხედვით, კლასიკური საავანსო გარანტიაა, რომლის მიზანია გადახდილი ავანსის მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველყოფა. გარანტია არ უზრუნველყოფდა ძირითადი ხელშეკრულების სხვა რაიმე სახით დარღვევას ან არაჯეროვან შესრულებას. ამ საავანსო გადახდის გარანტიის ძირითად მიზანს წარმოადგენს მხოლოდ გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა. ამდენად, საავანსო გარანტიის პირობათა დარღვევად განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ საავანსო თანხის არამიზნობრივი გამოყენება. ბენეფიციარის მიერ ბანკისადმი გაგზავნილი წერილი საბანკო გარანტიის გამოთხოვის თაობაზე შეიცავს განცხადებას: „ზემოხსენებულმა კონტრაქტორმა ავანსად გადახდილი თანხა არ გამოიყენა ობიექტზე მობილიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის (კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო აღნიშული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების მოწოდება)“ აშკარაა, რომ ბენეფიციარი გარანტიის განაღდებას მოითხოვდა მხოლოდ ფორმალური ნიშნით (დოკუმენტაციის მოუწოდებლობა) შესაბამისად, ამ წერილით საავანსო გარანტიის გამოთხოვა ვერ აკმაყოფილებდა სკის 885-ე მუხლის მოთხოვნებს. ამრიგად, მოცემულ საბანკო გარანტიასთან მიმართებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმულიყო ბენეფიციარის მოთხოვნის საავანსო გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის საფუძვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულებასთან №1893135-2171132 მიმართებაში აპელანტს წარმოადგენს სს „თ-ი“, რომლის მოსაზრებით, სასა-

მართლმომართლად არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ საბანკო გარანტია მხოლოდ 1 000 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფდა. შედეგად, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა, რომ პრინციპალის მიერ 3 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის სამუშაოს შესრულების შემდეგ ბენეფიციარს აღარ ჰქონდა გარანტიისგან თანხის მიღების უფლება. საბანკო გარანტიის № 1893135–217132 ხელშეკრულების 2.43 პუნქტის თანახმად, „გარანტიის თანხა“ არის 1000 000 ლარი. ბენეფიციარისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიის თანახმად, გარანტიის თანხა ჯამში 1000 000 ლარს არ აღემატება და გარანტიის მაქსიმალური თანხა პროგრესულად უნდა შემცირდეს კონტრაქტორის მიერ დაფარული თანხის ნაწილით. ამასთან, კონტრაქტის ღირებულების 805-ის დაფარვის შემთხვევაში. გარანტიის მოქმედება სრულდებოდა. შესაბამისად, საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი იყო წინასწარ გადახდილი ავანსის მაქსიმუმ 1 000 000 ლარი. თუ ბანკში წარმოდგენილი იქნებოდა საბუთი კონტრაქტორის მიერ საავანსო თანხის დაფარვის თაობაზე. გარანტიის მაქსიმალური ზღვარი პროპორციულად მცირდებოდა. თუ ბანკში წარმოდგენილი იქნებოდა საბუთი კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა 805-ის შესრულების თაობაზე, საბანკო გარანტია უქმდებოდა. ბენეფიციარი თავის 23.07.2013 წ. წერილში, რომლითაც მოხდა გარანტიისგან საავანსო საგარანტიო თანხის გამოთხოვა, მიუთითებს, რომ კონტრაქტორის მიერ სამუშაოების დაწყებიდან დღეის მდგომარეობით სულ შესრულებულია 3 356 239,52 ლარის სამუშაოები. დღეის ბენეფიციარი თვითონვე მიუთითებს, რომ გარანტია გაცემული იყო „ავანსის უზრუნველყოფის მიზნით“, პრინციპალის მიერ შესრულებულია საგარანტიო თანხასთან მიმართებით 3,3-ის ჯერადი ღირებულების სამუშაოები. ამასთან, ბენეფიციარი არ უთითებს, რომ მას გადახდილი აქვს ავანსი + შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება და, შესაბამისად, პრინციპალს დასაბრუნებელი აქვს ავანსის თანხა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იყო გაცემული საბანკო გარანტია. გარანტმა ისე გაანაღდა საბანკო გარანტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ავანსისა და შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების თანხები ბანკში ირიცხებოდა, არც თვითონ შეამოწმა ავანსის თანხის არამიზნობრივი მოხმარება ანუ ავანსისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების გადახდილი თანხების შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებაზე გადაჭარბება (საქმეში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები). აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ მოცემულ საბანკო გარანტიას-

თან მიმართებაში სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

36. გადანყვეტილების 6.9 პუნქტში მოცემულია მსჯელობა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებათა საფუძველზე „გარდაქმნილი“ კრედიტის საპროცენტო სარგებლის 16%-მდე შემცირებისა და დარიცხული შესაბამისი თანხების 3-ჯერ შემცირების თაობაზე, რასაც თავისი სააპელაციო საჩივრით სადავოდ ხდიდა ბანკი შემდეგი დასაბუთებით: „სასამართლომ საბანკო გარანტიებზე დარიცხული 48% ბათილად ცნო (შემაცირა 16%-მდე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე და მიიჩნია, რომ გარიგება ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებს, ვინაიდან არსებობს დისპროპორცია მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებებს შორის. როგორც წესი საბანკო გარანტიების შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი აღემატება სხვა საკრედიტო პროოდუქტისათვის, ამ შემთხვევაში საბანკო კრედიტისათვის განსაზღვრულ სარგებელს, რასაც განაპირობებს საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები. განსახილველ შემთხვევაში, ბანკის მიერ საბანკო გარანტიებზე სარგებელი განსაზღვრულია წლიური 5%-ით, ხოლო განაღდებულ საგარანტიო თანხაზე – წლიური 48%-ით. იმავე მხარეებს შორის მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებით წლიური სარგებელი კრედიტზე დადგენილი იყო 15% და შეთანხმება, რომლითაც „გარდაქმნილი“ სესხის პროცენტი წლიური 16%-ია. შესაბამისად, რეალურად წლიური 48% თავის თავში ერთგვარი სანქციის შემცველია, ვინაიდან მისი დარიცხვა მოხდებოდა განაღდებული საგარანტიო თანხის კლიენტის მიერ ბანკისათვის შესაბამისი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში. ამის გარდა, იმავდროულად დადგენილია პირგასამტეხლო ვადის გადაცილებაზე დღიური 0,2% ანუ წლიური 73%. განსახილველ შემთხვევებში, განაღდებულ საგარანტიო თანხებზე სარგებელი 48% შეუსაბამოდ მაღალ (ამორალურ) პროცენტად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნული პროცენტის თანხა საშუალო საკრედიტო სარგებელს და შესაძლო ზიანს მნიშვნელოვნად აღემატება. შეუსაბამო პროცენტის (სარგებლის) ნაწილში გარიგება უცილოდ ბათილია, რასთან დაკავშირებითაც გარიგების შესაბამისი ნაწილის საფუძველზე არ უნდა მომხდარიყო პროცენტის დაკისრება.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით შ-ის საკასა-

ციო საჩივარი დარჩა განუხილველად, საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის გადაცილების მოტივით.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07 სექტემბრის განჩინებით განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით შ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად.

40. კასატორის პრეტენზია საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებში (1893135-2421514; 1893135-2176102; 1893135-2183549; 1893135-2171127; 1893135-2189835; 1893135-2180594) პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველმყოფი დათქმების გაუთვალისწინებლობაში, მათი ერთგვაროვნად განმარტების უმართებულობაში მდგომარეობს. კასატორს მიაჩნია, რომ პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევაზე მხოლოდ ზოგადი მითითება საკმარისი არ იყო ბენეფიციარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

41. კასატორის პრეტენზიას საკასაციო პალატა არ იზიარებს და მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელშიც განმარტებულია საბანკო გარანტიის არსი, იურიდიული ბუნება და, ზოგადად, სახელშეკრულებო სამართალში, მისი როლი (იხ., №ას-1038-999-2016, 01 თებერვალი, 2017 წელი): „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 879-ე მუხლის მიხედვით საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულებაა, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას ანიჭებს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას ამისათვის არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიდგომა ბენეფიციარის უფლების დასაცავად, გამოწვეულია საქონლის/მომსახურების სწრაფად მზარდი ბრუნვით როგორც ქვეყნის შიდა, ასევე სა-

ერთაშორისო ბაზარზე, როცა ყველა მხარე დაინტერესებულია ხელშეკრულებების სწრაფად შესრულებაში და მისი შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გარემოება დადგება. საბანკო გარანტიის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან ის არის, რომ იგი არ არის დამოკიდებული ხელშეკრულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაცა გარანტია. საბანკო გარანტია არააქცესორული ვალდებულებაა. იგი ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ შემთხვევაშიც უზრუნველყოფს, როცა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა არ წარმოშობილა, მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულდა, შეწყდა ან ბათილია. (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, შესაბამისად, დამატებით ამ საკითხზე იხილეთ: MuKo HGB/ Welter, Zahlungsverkehr, Rn.3; Sorgel/Heuser Vorb. zu §765-778 BGB, Rn.64; MuKo BGB, Habersack Vorb. zu §765-778 BGB, Rn.20; BGH WM 1999, 73; Graf von Westphalen/Jud/Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S.166; Staudinger/Horn Vorb. zu zu §765-778 BGB, Rn.320; Goode, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, S.55)“.

42. საგულისხმოა, რომ საბანკო გარანტიის, როგორც არააქცესორული ვალდებულების, შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ გარანტს არ შეუძლია ბენეფიციარს წარუდგინოს შესაგებელი, რომელიც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული გარანტიით უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

43. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი“ (იხ. სუსგ 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-562-871-09).

44. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გარანტიაში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიცი-

არი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადატანით ხდება.

45. სამოქალაქო კოდექსის 885.I მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტის წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს. საბანკო გარანტიის ჯეროვანი მოთხოვნისათვის აუცილებელი წინაპირობაა იმის დადგენაც, რომ, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარდგენა უფლებამოსილი პირის მიერ ხდება. სწორედ ამას ემსახურება წერილობითი ფორმა. იგი მიზნად ისახავს ბანკის დარწმუნებას, რომ მოთხოვნის წარმდგენი ნამდვილად ბენეფიციარია. ბენეფიციარის მოთხოვნას თან უნდა დაერთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. როგორც წესი, გარანტს ეს დოკუმენტები ორიგინალში უნდა წარედგინოს. ასლების წარდგენა არ არის საკმარისი. გარდა ამისა, მოთხოვნაში ან მის დადართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ასევე ის, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა. იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა ბენეფიციარს საბანკო გარანტით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, ბენეფიციარს არ ეკისრება.

46. როგორც წესი, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრა კონკრეტული თარიღის მითითებით ხდება. ვადის მიზანია ბენეფიციარის მოთხოვნის განხორციელების დროში შეზღუდვა. ბენეფიციარს გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ მაშინ ჩაეთვლება დროულად, თუკი გარანტს მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით გარანტიაში მითითებული ვადის გასვლამდე წარედგინება (სსკ-ის 885.III მუხლი). ვადის გაშვების რისკი ბენეფიციარს ეკისრება. თუკი მოთხოვნა დროულად იქნა წარდგენილი, მაგრამ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ბენეფიციარი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე ჯეროვანი წესით ხელახლა წარადგინოს მოთხოვნა და მოითხოვოს დაკმაყოფილება.

47. ბენეფიციარის მოთხოვნა არ გულისხმობს იმას, რომ გარანტმა ყველა შემთხვევაში, უპირობოდ უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, გარანტი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულის შესა-

ხებ დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მას მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი-თურთ.

48. დაუყოვნებელ შეტყობინებაში იგულისხმება შეტყობინება „ბრალეული გაჭიანურების გარეშე“ და იგი, როგორც წესი, მომდევნო საბანკო სამუშაო დღეა. ამ რეგულირებას ის გარემოება უდევს საფუძვლად, რომ საბანკო გარანტია სხვისი, კერძოდ, პრინციპალის ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გაიცემა. გარანტი პრინციპალის ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის მიმართ და შემდეგ ამ უკანსკნელის მიმართ რეგრესული წესით ითხოვს იმ თანხის გადახდას, რომელიც მან გადაუხადა ბენეფიციარს.

49. სსკ-ის 887.I მუხლის თანხმად, გარანტი უფლებამოსილია (და ვალდებულიც) შეამონმოს, თუ რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიის პირობებს. ბენეფიციარის მოთხოვნისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობის შემონმება გარანტიის პირობებთან მოიცავს იმასაც, თუ რამდენად დაიცვა ბენეფიციარმა მოთხოვნის წარდგენისას სსკ-ის 885-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. უზენაესმა სამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სსკ-ის 885-ე მუხლი ავსებს სსკ-ის 887.I მუხლის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ“ (იხ. სუსგ 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-781-996-08). თუ შემონმების შედეგად გარანტი დაასკვნის, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ან მასზე თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან ისინი გარანტს წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ, იგი უარს ეტყვის ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტს უფლება არა აქვს სხვა საფუძვლით განაცხადოს უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტმა უარის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს. გარანტის უარი არ ნიშნავს, რომ გარანტის ვალდებულება წყდება. ბენეფიციარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საბანკო გარანტიის მოქმედების დარჩენილი დროის განმავლობაში ხელმეორედ წარადგინოს მოთხოვნა გარანტის მიმართ და მოსთხოვოს მას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

50. თუკი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა განახორციელა ბენეფიციარის დაკმაყოფილება, ე.ი. ძირითადი ვალდებულება შესრულდა, შეწყდა რაიმე სხვა საფუძვლით, ან ბათილია

სსკ-ის 887.II მუხლის შესაბამისად, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. მხოლოდ ამგვარი შეტყობინება არ წარმოადგენს ვალდებულებისგან გარანტიის გათავისუფლების საფუძველს. თუ ბენეფიციარის მოთხოვნა განმეორდა, მაშინ საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, გარანტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა. გარანტის შეტყობინება უზრუნველყოფს იმას რომ, გარანტი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად ბენეფიციარის წინაშე, ვიდრე იგი ბენეფიციარისგან არ მიიღებს ხელმეორე მოთხოვნას და მისი განხილვის გონივრული ვადა არ ამოიწურება. გარანტს რეგრესული ანაზღაურების უფლება არ წარმოეშობა მაშინ, თუკი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურება გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ განახორციელა.

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებს მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას [სსკ-ის ის 881-ე მუხლი]. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (იხ., სუსგ №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

52. ამ განჩინების პ:32-ში (საკასაციო საჩივრის საფუძველზე) კასატორი მიუთითებს სკ-ის 885-ე მუხლის პირველ ნაწილზე [დისპოზიცია: „მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსა-

ყოფადაც გაიცა გარანტია“] და მიაჩნია, რომ № 1893135–2180594 გარანტიაში დათქმა „მოთხოვნის საფუძვლის ან თანხის ოდენობის მტკიცების საჭიროების გარეშე“ ბენეფიციარს ანთავისუფლებს დარღვევის (მოთხოვნის საფუძვლის) მტკიცებისაგან, მაგრამ არ ათავისუფლებს კონკრეტული დარღვევის („რასში გამოიხატება დარღვევა“) მითითებისაგან. დანარჩენი 5 გარანტიის შემთხვევაში ბენეფიციარმა არა მხოლოდ უნდა მიუთითოს კონკრეტულ დარღვევაზე, არამედ უნდა დაასაბუთოს აღნიშნული დარღვევები. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო პალატა საფუძვლად ვერ დაუდებს გარანტიის პირობების დარღვევად მიჩნევას და აღნიშნავს, რომ განსახილველი საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ბენეფიციარმა გარანტიების მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა და პრინციპალის მიერ ნაკისრი ხელშეკრულებების დარღვევის გამო, მოითხოვა საგარანტიო თანხების ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება. სსკ-ის 887-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გარანტი არათუ მოცემულ შემთხვევაში, არამედ მაშინაც კი არის ვალდებული შეასრულოს ბენეფიციარის მოთხოვნა, როდესაც მისთვის ცნობილია, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, თავისთავად საკმარისი საფუძველი იყო გარანტიის ამოქმედებისათვის. ამ სამართლებრივი საფუძვლით არ იქნა გაზიარებული ბანკის საკასაციო პრეტენზია გარანტიის დაკმაყოფილების ნაწინააღმდეგარად ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და დარღვევის ხასიათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ.

53. კასატორის შემდეგი პრეტენზია წარმოდგენილია საბანკო გარანტიის 1893135–2196532, 1893135–2111079, 1893135–2247592 ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. კასატორი აღნიშნავს, რომ 1893135–2196532 საბანკო გარანტია გაცემულია საავანსო გადახდაზე, რაშიც იგულისხმება მხოლოდ საავანსო თანხის გამოყენებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევა და არა ზოგადად სახელშეკრულებო ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემულ საბანკო გარანტიასთან მიმართებაში სარჩე-

ლის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმულიყო ბენეფიციარის მოთხოვნის საავანსო გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის საფუძვლით (იხ., კასაციის საფუძვლები ამ განჩინების: პ-33). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა ვერც ამ ნაწილში წარმოდგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რამდენადაც, როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი 2012 წლის 24 სექტემბერს №1893135-2196532 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 2199999,8 (ორიმილიონ ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხაასოთხმოცდაცხრამეტი მთელი რვა მეთათედი) ლარი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2012 წლის 11 სექტემბერს დადებული №SB/IDP/ET/CW/150-2012 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებასთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ქალაქ ფოთში 10999999 (ათი მილიონ ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარის ღირებულების მქონე, 7 სახლიანი საცხოვრებელი უბნის სამშენებლო სამუშაოების წარმოება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 11 ივლისის ჩათვლით. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-მა“ გასცა შემდეგი შინაარსის საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე – „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ს-ს“ (შემდგომში „კონტრაქტორი“) გააფორმა თქვენთან კონტრაქტი №SB/IDP/ET/CW/150-2012 დათარიღებული 11.09.2012 წლით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში „კონტრაქტი“) შესრულებაზე. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად წინასწარი (საავანსო) გადახდა 2199999,8 (ორიმილიონ ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხაასოთხმოცდაცხრამეტი მთელი რვა მეთათედი) ლარის ოდენობით განხორციელდება საავანსო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ, სს „თ-ი“, შეუქცევადად ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ თქვენ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 2199999,8 (ორიმილიონ ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხაასოთხმოცდაცხრამეტი მთელი რვა მეთათედი) ლარს, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, სადაც მიუთითებთ, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მის მიერ აღებული ვალდებულება ან საავანსო გადახდის თანხები მან გამოიყენა სხვა მიზნებისათვის, გარდა კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების სამობილიზაციო ხარჯების დასაფარად. გარანტიის ფარგლებში თანხის ყოველგვარი მოთხოვნის წინაპირობაა, კონტრაქტორს

საავანსო გადახდა მიღებული უნდა ჰქონდეს მის ანგარიშზე №GE50TB5013536050100001 სს „თ-ში“. გარანტიის მაქსიმალური თანხა შემცირდება პროპორციულად იმ თანხის ოდენობით, რომელიც გადახდილ იქნება კონტრაქტორის მიერ, როგორც ეს მითითებული იქნება შუალედური გადახდების სერთიფიკატებში, რომლის ასლები წარმოდგენილი უნდა იყოს ჩვენთან. წინამდებარე გარანტია ძალაშია წინასწარი (საავანსო) გადახდის თარიღიდან დამკვეთის შ-ის მიერ ამ თანხის სრული ოდენობით მიღებამდე ან 2013 წლის 11 ივლისის ჩათვლით, რომელიც მოხდება უფრო ადრე“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 21 ივნისის №1035-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 1707789,69 (მილიონ შვიდასშვიდი ათას შვიდასოთხმოცდაცხრა მთელი სამოცდაცხრა მეასედი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ეს წერილი, მისი ასლის სახით, გადაეცა შპს „ს-საც“. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 4 ივლისს სს „თ-ს“ განმეორებით მიმართა შემდეგი შინაარსის №1216-გ წერილით: თქვენი 2013 წლის 3 ივლისის წერილის პასუხად განმეორებით წარმოგიდგენთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში ფონდი) და შპს „ს-ს“ (შემდგომში კონტრაქტორი) შორის გაფორმებული ქ. ფოთში 7 სახლიანი საცხოვრებელი უბნის მშენებლობის თაობაზე №SB/IDP/ET/CW/150-2012 ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) ფარგლებში საავანსო გადახდის №1893135-2196532 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის – 1707789,69 ლარის გადახდის თაობაზე მოთხოვნას. აქვე გაცნობებთ, რომ საბანკო გარანტიის ამოქმედების საფუძველს წარმოადგენს შპს „ს-ს“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, კერძოდ, ზემოხსენებული ხელშეკრულებით სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2013 წლის 20 ივნისი, კონტრაქტორის მხრიდან კი შეუსრულებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობის დიდი ნაწილი, რის საფუძველზეც ფონდის მხრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება კონტრაქტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ფონდის მიერ გამოთხოვილი თანხის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონტრაქტორის მხრიდან დაფარული (უკუგადახდილი) თანხები. ამ წერილს თან ერთვის 2013 წლის 28 ივნისის ზემოხსენებული ობიექტის სამშენებლო ინვენტარიზაციის აქტი, შუალედური გადახდის სერთიფიკატები და სს „თ-ის“ მიერ გაცემული

საბანკო გარანტია ჯამში შვიდ ფურცლად. აღნიშნული წერილი მისი ასლის სახით გადაეცა შპს „ს-საც“. 2013 წლის 5 ივლისის №940/102-01 წერილით სს „თ-მა“ შპს „ს-ს“ დამატებით აცნობა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 2013 წლის 4 ივლისის №1216-გ წერილით ითხოვდა №1893135-2196532 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის ანაზღაურებას და ამ გარემოებასთან დაკავშირებით ბანკი შპს „ს-საგან“ ითხოვდა მისი პოზიციის გარკვევას, მოსაზრებების დაუყოვნებლივ წარმოდგენას. შპს „ს-მ“ 2013 წლის 5 ივლისის №364 წერილით სს „თ-ს“ განუმარტა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ამ მოთხოვნით არ დასტურდება თუ რაში გამოიხატება შპს „ს-ს“ მხრიდან ვალდებულებების დარღვევა, ასევე არ არის ბანკისათვის წარდგენილი გარანტიაში მითითებული ყველა დოკუმენტი, პრინციპალის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები ბუნებაში არ არსებობს, პირიქით, არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები (გადახდის სერთიფიკატები და მშენებლობის ნებართვები), რომლებიც ადასტურებს თავად ბენეფიციარის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას. ამასთან, შპს „ს-მ“ ამ წერილში აღნიშნა, რომ არ არსებობდა ბენეფიციარის მხრიდან ცალმხრივად ხელშეკრულების კანონით და ხელშეკრულებით ნაკარნახევი წინაპირობები. შესაბამისად, ბანკის მოქმედება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის 1707789,69 (მილიონ შვიდასშვიდი ათას შვიდასოთხმოცდაცხრა მთელი სამოცდაცხრა მეასედი) ლარის გადახდის შესახებ სრულად შეესაბამებოდა გარანტიის ხელშეკრულებას.

54. რაც შეეხება №1893135-2111079 ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარანტიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებას, განსახილველ საქმეზე დადგინდია, რომ 2012 წლის 20 აპრილის №1893135-2111079 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 158922 (ასორმოცდათვრამეტი ათას ცხრაასოცდაორი) ლარი. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 28 დეკემბერს დადებული №EIB/WIMP/W/ICB/08 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ წალენჯიხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3.

პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ პრინციპალისათვის მიცემულ საბანკო კრედიტად (სესხად). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ 2012 წლის 20 აპრილს გაცემული საავანსო გადახდის გარანტიაში აღნიშნულია: „ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად საავანსო გადახდა, რომელიც შეადგენს 158 922 ლარს, უნდა განხორციელდეს საავანსო გადახდის გარანტიის საფუძველზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ სს „თ-ი“ წინამდებარეთი უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 158 922 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელიც შეიცავს წერილობით განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, რადგან კონტრაქტორმა საავანსო გადახდის თანხა გამოიყენა სხვა მიზნით და არა მობილიზაციის ხარჯებისათვის აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით. წინამდებარე გარანტიის მაქსიმალური თანხა თანდათანობით შემცირდება კონტრაქტორის მიერ გადახდილი საავანსო გადახდის თანხით, რომელიც მითითებულია შუალედურ ანგარიშში ან გადახდის სერტიფიკატებში, რომელიც უნდა წარმოგვედგინოს ჩვენ. წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება (არაუგვიანეს) მას შემდეგ რაც მივიღებთ შუალედური გადახდის სერტიფიკატის ასლს... ან 2012 წლის 30 ოქტომბერს, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება“. 2013 წლის 14 მარტს ბანკსა და შპს „ს-ს“ შორის დადებული შეთანხმებით №1893135-2111079 გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2013 წლის 30 ივნისამდე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2013 წლის 21 ივნისის №1061-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 108389 (ასრვაათას სამასოთხმეცდაცხრა) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ბენეფიციარის აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე სს „თ-ისაგან“ შპს „ს-ს“ ეცნობა 2013 წლის 26 ივნისის №887/102-01 წერილით და ამასთან პრინციპალს ბანკმა სთხოვა წარედგინა საკუთარი მოსაზრებები ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით. 2013 წლის 28 ივნისის №347 წერილით შპს „ს-საგან“ ბანკს განემარტა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წერილით არაა დადასტურებული პრინციპალის მხრიდან ძირითადი ვალდებულებების დარღვევის განმაპირობებე-

ლი გარემოება, ბენეფიციარის მოთხოვნას თან არ ერთვის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, თავად ბენეფიციარის მიერ არაერთგზის დაირღვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რამაც გამოიწვია მშენებლობის პროცესის შეფერხება და შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ნაწილობრივ დარღვევა, რასაც ადასტურებს გადახდის სერთიფიკატები. ამგვარი განმარტების მიუხედავად, შპს „ს-ს“ ბანკისათვის არ წარუდგენია წერილში მითითებული გადახდის სერთიფიკატები. შესაბამისად, გარანტიის მოქმედება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013 წლის 21 ივნისის №1061-გ წერილის (მოთხოვნის) შესაბამისად, 2013 წლის 4 ივლისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის თანხის გადახდასთან დაკავშირებით, მართებულად უნდა შეფასდეს.

55. კასატორის პრეტენზია კიდევ ერთ №1893135-2247592 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას შეეხება. კასატორის მოსაზრებით, გარანტია, თავისი შინაარსის მიხედვით, კლასიკური საავანსო გარანტიაა, რომლის მიზანია გადახდილი ავანსის მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველყოფა. გარანტია არ უზრუნველყოფდა ძირითადი ხელშეკრულების სხვა რაიმე სახით დარღვევას ან არაჯეროვან შესრულებას. ამ საავანსო გადახდის გარანტიის ძირითად მიზანს წარმოადგენს მხოლოდ გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა. ამდენად, საავანსო გარანტიის პირობათა დარღვევად განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ საავანსო თანხის არამიზნობრივი გამოყენება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არც ამ ნაწილშია წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 21 დეკემბრის №1893135-2247592 საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტიის თანხის ოდენობად განისაზღვრა 1007006 (ერთი მილიონ შვიდი ათას ექვსი) ლარი. ბენეფიციარი გახლდათ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ხელშეკრულების თანახმად, ამ საბანკო გარანტიის გამოყენება დაკავშირებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის 2011 წლის 11 ოქტომბერს დადებულ №IDA/RDPII/CW/ICB/02-2012 კონტრაქტთან, რომლის საგანიცაა შპს „ს-ს“ მიერ ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციისა და გაფართოების განხორციელება. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 12 აპრილის ჩათვლით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში კლიენტს (პრინციპალს)

ავტომატურად წარმოეშობა იგივე ოდენობის თანხის გარანტი-სათვის გადახდის ვალდებულება. იგივე ხელშეკრულების 1.4. პუნქტის შესაბამისად მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარანტიის თანხის დღის ბოლომდე შესაბამისი თანხის გარანტიისთვის გადაუხდელობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება (გარდაიქმნება) გარანტის მიერ კლიენტისთვის (პრინციპალისათვის) მიცემულ საბანკო კრედიტად. ამავე ხელშეკრულებით გარანტიის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა წლიური 5%-ით (პუნქტი 2.5), კრედიტის დაფარვის ვადა – 14 დღე (პუნქტი 2.9), კრედიტის საპროცენტო სარგებელი – წლიური 48%-ით (პუნქტი 2.10), პირგასამტეხლო – დღიური 0,2%-ით (პუნქტი 2.12). ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „თ-ის“ მიერ გაცემულ წინასწარი გადახდის გარანტიაში აღნიშნულია: „ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული კონტრაქტის პირობების შესაბამისად წინასწარი გადახდა, რომელიც შეადგენს 1 007 006 ლარს, განხორციელდა წინასწარი გადახდის გარანტიის საფუძველზე. კონტრაქტორის მოთხოვნით, ჩვენ სს „თ-ი“ უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც მთლიანობაში არ აღემატება 1 007 006 ლარს, თქვენი პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, რომელიც შეიცავს წერილობით განცხადებას, რომ კონტრაქტორი არღვევს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას, რადგან კონტრაქტორმა წინასწარი გადახდის თანხა გამოიყენა სხვა მიზნით და არა მობილიზაციის ხარჯებისათვის აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით. ...წინამდებარე გარანტიის ვადა ამოიწურება (არაუგვიანეს) მას შემდეგ რაც მივიღებთ შუალედური გადახდის სერტიფიკატის ასლს... ან 2014 წლის 12 აპრილს, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება“. ამ გარანტიამ განიცადა მოდიფიკაცია და გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 12 ივლისამდე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2014 წლის 19 მარტს №803-გ წერილით მიმართა სს „თ-ს“ და მოითხოვა 892971,96 (რვაასოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაასამოცდათერთმეტი მთელი ოთხმოცდათექვსმეტი მეასედი) ლარის გადახდა. აღნიშნულ წერილში ბენეფიციარმა მიუთითა, რომ შპს „ს-მ“ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, ავანსად მიღებული თანხა არ გამოიყენა ობიექტზე მობილიზაციასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის (კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების მოწოდება). ბენეფიციარმა იგივე შინაარსის, 2014 წლის 26 მარტის №904-გ წერილით

ბანკისაგან კვლავ მოითხოვა ხსენებული თანხის გადახდა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ამ წერილობითი მოთხოვნების თაობაზე ბანკმა 2014 წლის 27 მარტის №370/120-01 წერილით აცნობა პრინციპალს – შპს „ს-ს“. თავის მხრივ, ამ წერილის საპასუხოდ, შპს „ს-მ“ 2014 წლის პირველ აპრილს, №01.04.14/01 წერილით სხვა საბანკო გარანტიების, მათ შორის, №1893135-2247592 საავანსო გარანტიის ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნებთან დაკავშირებით განუცხადა შემდეგი: „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნა... №1893135-2247592 საავანსო გარანტიის თანხის დარჩენილი ნაწილის 892971,96 ლარის ანაზღაურებაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი ვინაიდან სსიპ მგფ-ს გარანტიის გამოთხოვის კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. ორმხრივი ხელშეკრულების პირობები დარღვეულ იქნა სსიპ მგფ-ის მიერ, რის გამოც მას არ აქვს უფლება გამოითხოვოს გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე წარდგენილი გვაქვს სამოქალაქო სარჩელი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ შპს „ს-ს“თან დადებული ორმხრივი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „ს“-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით. გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნა უკანონოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. კერძოდ სსიპ მგფ-მა შეგნებულად არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხა, რაც შპს „ს-ს“ სამუშაოების გაგრძელების საშუალებას მისცემდა, რითაც სამშენებლო კომპანია ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უსაფუძვლო მოთხოვნა გარანტიის თანხების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით“. მიუხედავად პრინციპალის წინააღმდეგობისა, ბანკმა ბენეფიციარის უკანასკნელი წერილის საფუძველზე 2014 წლის 2 აპრილს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სრულად გადაუხადა 892971,96 ლარი.

56. კასატორის პრეტენზია შეეხება ასევე საპროცენტო სარგებლის შეუსაბამობას, სახელდობრ კასატორს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევებში, განაღებულ საგარანტიო თანხებზე სარგებელი 48% შეუსაბამოდ მაღალ (ამორალურ) პროცენტად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნული პროცენტის თანხა საშუალო საკრედიტო სარგებელს და შესაძლო ზიანს

მნიშვნელოვნად აღემატება. შეუსაბამო პროცენტის (სარგებლის) ნაწილში გარიგება უცილოდ ბათილია, რასთან დაკავშირებითაც გარიგების შესაბამისი ნაწილის საფუძველზე არ უნდა მომხდარიყო პროცენტის დაკისრება. იმავდროულად დადგენილია პირგასამტეხლო ვადის გადაცილებაზე დღიური 0,2% ანუ წლიური 73%.

57. საკასაციო პალატა ვერც კასატორის ამ პოზიციას იზიარებს საამისოდ ვარგისი სამართლებრივი საფუძვლის არარასებობის გამო. საკასაციო პალატა მოიხმობს საკასაციო პალატის მიერ განხილულ საქმეზე (იხ., სუსგ №ას-663-629-2015, 28 ივლისი, 2015 წელი), გაკეთებულ განმარტებას, ხელშემკვრელ მხარეთა შორის არსებული სესხის იმ პირობის სამართლიანობის შესახებ, რომელიც სესხისათვის არაგონივრულ სარგებელს ითვალისწინებდა და ამით არღვევდა კრედიტორის ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტს: „სარჩელის მოთხოვნას მხარეთა შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებლის (პროცენტი) შემცირება წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, გამსესხებელი, რომელიც ენეოდა სამენარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარე იყო, უდავო იყო, რომ სწორედ მან განსაზღვრა სესხის სარგებელი სადავო ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობას ფიზიკური პირი დაეთანხმა, ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლებოდა, რადგანაც კასატორი მოქმედებდა სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე“. ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობა იკვეთებოდა და სარგებლის მიმღები მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა“. საბოლოოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებელი შემცირდა (წლიურ 48%-მდე). მოცემულ შემთხვევაში, კი კასატორი მიიჩნევს, რომ სარგებელი 48% შეუსაბამოდ მაღალ (ამორალურ) პროცენტად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც არ

არის გასაზიარებელი. როგორც მოხმობილი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, სარგებელი შემცირებულია 48%-დე, რასაც კასატორი სადავოდ ხდის. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტია ის რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეფასებას დაექვემდებარა ფიზიკურ პირთან, როგორც ხელშეკრულების სუსტ მხარესთან შეთანხმებული სარგებელი და იმავდროულად, მისი შემცირების საპირწონედ მხედველობაში იქნა მიღებული საკრედიტო დანესებულებების მიერ განსაზღვრული სარგებელის განაკვეთი.

58. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც

კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისაგან წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

59. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საბანკო გარანტიის სამართლებრივ საკითხებსა და სარგებლის (პროცენტის) გონივრულობის კვლევის პრობლემაზე უკვე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

61. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

62. მოცემულ შემთხვევაში, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე (№ა-3480-ა-6-2017) კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 სექტემბრის განჩინებით;

63. კასატორს აგრეთვე გადაუვადდა საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის გადახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

64. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო საჩივარი დარჩა

განუხილველად დაუშვებლობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 8000 ლარის მხოლოდ 30%-ის – 2400 ლარის გადახდა, ხოლო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე გათვალისწინებული 100 ლარი მთლიანად.

65. საბოლოოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ კასატორი ვალდებულია გადაიხადოს 2500 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. შ-ის“ დაეკისროს საკასაციო საჩივარსა და განცხადებაზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 2500 ლარის ოდენობით. თანხა ჩარიცხულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სამისდღეობო რჩენა

გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-979-911-2017

17 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. ჩ. (დაბადებული 1933 წლის 5 სექტემბერს და შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან თავდაპირველი მესაკუთრე) გორის რაიონის სოფელ მდებარე უძრავი ქონების, ს/კ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქონება ან სადავო ქონება), რეგისტრირებული (ტიტულოვანი) მესაკუთრე იყო.

2. სადავო ქონება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების ნაკვეთს (დაზუსტებული ფართობით 209.00 კვ.მ), მასზე განთავსებულია 132.48 კვ.მ შენობა-ნაგებობა, საზაფხულო ფართით – 32.98 კვ.მ, სარდაფი – 114.28 კვ.მ ფართით, ასევე, საცხოვრებელი ფართი 39.48 კვ.მ, საზაფხულო – 21.4 კვ.მ ფართით და სარდაფი 40.6 კვ.მ ფართით.

3. 2015 წლის 17 აპრილს, მოსარჩელემ და ამ უკანასკნელის შვილიშვილმა, ლ. ჩ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე, მოსარჩელის შვილიშვილი ან დასაჩუქრებული) დადეს წერილობითი შეთანხმება, რომელიც დასათაურებულია, როგორც „ჩუქების ხელშეკრულება“ (შემდეგში სადავო ხელშეკრულება). ამ შეთანხმების საფუძველზე, სადავო უძრავი ქონება მოპასუხის საკუთრებად დარეგისტრირდა. შეთანხმების მიხედვით, მოპასუხეს მოსარჩელეზე სიცოცხლის განმავლობაში უნდა ეზრუნა, ეპატირონა და უზრუნველყო იგი საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან

მიღებული შემოსავლით.

4. მოპასუხემ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეწყვიტა მოსარჩელეზე ზრუნვა, მოვლა-პატრონობა და სადავო ქონება გაასხვისა მესამე პირზე.

5. 2015 წლის 13 ივლისს მან მ. ჩ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე ან მეორე მონინაალმდეგე მხარე) სადავო უძრავი ქონება 10 000 აშშ დოლარად მიჰყიდა. ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

6. 2016 წლის 28 მარტს მეორე მოპასუხემ ნ. ა-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხე, მესამე მონინაალმდეგე მხარე), რომელიც პირველი მოპასუხის ცოლისა და, 10 000 აშშ დოლარად მიჰყიდა სადავო ქონება, რომელიც დღემდე საჯარო რეესტრში ამ უკანასკნელის სახელზე ირიცხება.

7. მოსარჩელის საკუთრებად ასევე ირიცხება ქ. გორში, მდებარე სხვა უძრავი ქონებაც, სადაც იგი ვაჟთან (მოპასუხის მამა) და მის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მისი ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ პენსია – 160 ლარია.

8. 2016 წლის 4 ივლისს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ, 2015 წლის 17 აპრილის, 2015 წლის 13 ივლისისა და 2016 წლის 28 მარტის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და სადავო უძრავ ქონებაზე, საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, მან შვილიშვილს (პირველ მოპასუხეს) სადავო ქონება საკუთრებაში გარკვეული პირობით გადასცა. პირველ მოპასუხეს მისთვის უნდა მოეწყო, გაფრთხილებოდა (არ გაესხვისებინა) ქონებას და ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლით მატერიალურად უნდა უზრუნველყო ის, რადგანაც პენსია, თვეში 160 ლარი, მისთვის საკმარისი არ იყო. შვილიშვილმა გამოიჩინა უმადურობა და უპატივცემულობა, მან სადავო ქონება, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გაასხვისა, რის შედეგადაც ის აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, რადგანაც, ქონება რომ არ გასხვისებულყო, მისი გაქირავებით გარკვეული შემოსავალი ექნებოდა და ის შეძლებდა თავის რჩენას.

9. პირველმა და მესამე მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, მათ წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლები. პირველმა მოპასუხემ განმარტა, რომ ბებიამ მას უპირობოდ აჩუქა სადავო ქონება და აქედან გამომდინარე, ნაჩუქარი ქონების განკარგვა თავისუფლად შეეძლო. მეორე მოპასუხემ სასამართლოს მიერ დადგენილ 10-დღიან ვადაში შესაგებელი არ წარად-

გინა. მას სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად ჩაჰბარდა 2016 წლის 22 აგვისტოს, ხოლო შესაგებელი კი, წარადგინა იმავე წლის 9 სექტემბერს, მან მიუთითა, რომ სადავო ქონება პირველი მოპასუხისგან, კანონით დადგენილი წესით – უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 10 000 აშშ დოლარად შეიძინა, თუმცა, რადგანაც იგი სამენარმეო საქმიანობას ეწეოდა და, მუდმივად სჭირდებოდა გარკვეული თანხები პროდუქციის შესაძენად, სადავო ბინის მესამე მოპასუხის სახელზე გასხვისება მოუწია. ბინის შეძენისა და გასხვისების პერიოდში, მისთვის არაფერი იყო ცნობილი საცხოვრებელი სახლის გარშემო არსებულ დავასთან დაკავშირებით. მესამე მოპასუხემ განმარტა, რომ იგი მარტოხელა დედაა და წლების განმავლობაში აგროვებდა თანხას საცხოვრებელი სახლის შესაძენად. მან მეორე მოპასუხისგან შეძენილი სადავო ბინა, გაარემონტა, გამოცვალა კარ-ფანჯარა და შეიძინა სხვა სამშენებლო მასალებიც. მისი მტკიცებით, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ 2016 წლის 28 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება თვალთმაქცურად იყო დადებული, უსაფუძვლო იყო, ვინაიდან, ბინის სადავოობასთან დაკავშირებით, იგი ინფორმირებული არ ყოფილა და აღნიშნული მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც სარჩელი ჩაჰბარდა.

10. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 56-ე, 81-ე, 524-ე, 526-ე, 529-ე, 530-ე, 185-ე და 312-ე მუხლები, ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 17.1. და 17.2. მუხლები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ შეურაცხყოფისა და უპატივცემულობის ფაქტებს ადასტურებდნენ, სახელდობრ:

11.1. მოწმე ი. ჩ-მა დანვრილებით აღწერა მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა. მისი ჩვენებით, მხარეთა შორის ნამდვილად არსებობდა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ, ბინის ჩუქების სანაცვლოდ, მოპასუხე მოსარჩელეზე იზრუნებდა, ვინა-

იდან, მას (მოსარჩელეს) ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. მოსარჩელე, თავის საკუთრებაში არსებულ მეორე ბინის გაქირავებას აპირებდა და პირველი მოპასუხის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ტ-ში მდებარე სადავო საცხოვრებელ სახლში უნდა გადასულიყო. პირველმა მოპასუხემ მოვლა-პატრონობის პირობა არ შეასრულა. ის ავლანეთში წასასვლელად გამოიძახეს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელის მეუღლე, ნ. ჩ-მა, მდებარე სადავო ქონება საკუთარ დას (მესამე მოპასუხე) მიჰყიდა. დაახლოებით ერთი წელი, მათ შორის იყო კარგი ურთიერთობა, მოპასუხე მოსარჩელისთვის ყიდულობდა საკვებს, მიჰქონდა წამლები, თუმცა, ბოლო პერიოდში აღარ აქცევდა ყურადღებას, აღარ უშვებდა სადავო სახლში. მოწმე, მოსარჩელის თხოვნით, ორჯერ ესაუბრა მოპასუხეს და ურჩია, რომ მიეხედა და ეზრუნა მოსარჩელეზე (იხ. 02.11.2016წ. სხდომის ოქმი, 16:58-17:34).

11.2. მოწმე ნ. ჩ-ის განმარტებით, ბინის გაჩუქებამდე იგი უშუალოდ შეესწრო მხარეთა შორის ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საუბარს, სადაც მოპასუხემ პირობა მისცა მოსარჩელეს, რომ არ წავიდოდა ავლანეთში, რადგანაც ამ უკანასკნელს საკუთარი საცხოვრებელი სახლი არ ჰქონდა და ცხოვრობდა დაგირავებულ ბინაში, მოსარჩელე მას აჩუქებდა სადავო სახლს, სადაც ერთად გადავიდოდნენ საცხოვრებლად, მოსარჩელის გ-ში არსებულ ბინას კი, გააქირავებდნენ და მიიღებდნენ დამატებით შემოსავალს. მოპასუხე ჰპირდებოდა მოსარჩელეს, რომ მოუვლიდა და იზრუნებდა მასზე. მოპასუხემ, დროც კი ითხოვა იმისათვის, რათა მოეწესრიგებინა და გაერემონტებინა ტ-ში არსებული სადავო ბინა და მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყვნენ ერთად საცხოვრებლად. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოპასუხემ მოსარჩელესთან კონტაქტი განწყვიტა, იგი აღარ აძლევდა მას სადავო სახლის გასაღებს. მოწმემ აღნიშნა, რომ ბინის გაყიდვის თაობაზე მან ბოლო ხანს შეიტყო, თუმცა გაყიდვის მიზეზი მისთვის უცნობია. მან მოსარჩელისგან გადმოცემით იცოდა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის თავდაპირველად კარგი ურთიერთობა იყო და მათ შორის ურთიერთობის დაძაბვა მოპასუხის მიერ, მის დაუკითხავად, ნაჩუქარი ბინის გაყიდვამ გამოიწვია (იხ. 02.11.2016წ. სხდომის ოქმი, 17:48-18:41).

11.3. მოწმეებმა ფ. და ე. ჩ-მა, ასევე, მ. ფ-მა, განმარტეს, რომ მოპასუხის უმადურობა ბების დაუკითხავად სადავო ბინის გასხვისებაში გამოიხატა (იხ. 10.11.2016წ. სხდომის ოქმი, 10:22-11:16, 11:17-11:41, 11:41-12:31).

11.4. სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ სადავო უძრავი ქონების გასხვისებით, მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს სადავო უძრავი ქონება წარსულში არ ჰქონია გაქირავებული, არ ნიშნავს იმას, რომ იგი მომავალშიც არ აპირებდა მის გაქირავებას;

11.5. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მესამე მოპასუხე პირველი მოპასუხის მეუღლის დაა. ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო, თავდაპირველად მეორე მოპასუხესთან, ხოლო შემდეგ – ამ უკანასკნელსა და მესამე მოპასუხეს შორის, მოჩვენებითი ხასიათის იყო, ვინაიდან, ვერც მეორე და ვერც მესამე მოპასუხემ, სასამართლოს ვერ წარუდგინეს ნასყიდობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც მათ არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებდა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება, რეალურად სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იყო და მის საფუძველზე, მხარეებს შორის სამისდღეშიო რჩენის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა. პალატის განმარტებით, სადავო გარიგების მიზანს, სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში, მოსარჩელის (სარჩენის) მიერ მარჩენალისათვის (მოპასუხისათვის) უძრავი ქონების გადაცემა წარმოადგენდა, რაც მხარეებმა ჩუქების ფორმით განახორციელეს.

12.2. სააპელაციო პალატის დასკვნებით, დადგენილი იყო, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება დამონმებული არ ყოფილა ნოტარიუსის მიერ, შესაბამისად, დაცული არ იყო, უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისათვის სსკ-ის 942-ე მუხლით დადგენილი სანოტარო ფორმა, რაც აღნიშნული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. თუმცა, პალატამ განმარტა, რომ სადავო უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისათვის, არ არსებობდა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

12.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მესამე მოპასუხის მოჩვენებითი ნება არ დასტურდებოდა. თავად მოსარჩელის სააპელაციო

სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, მას შემდეგ, რაც ბინა გაიყიდა, მესამე მოპასუხე შეხვდა მას და ჰკითხა სადავო სახლის პირდაპირ არსებულ ნაკვეთს ხომ არ გაყიდდა, რადგან მას სურდა ამ ნაკვეთის ყიდვა (იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 08 მაისის სხდომის ოქმი, 15:09:47-15:11:41). პალატის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მესამე მოპასუხეს სადავო საცხოვრებელი სახლის წინ არსებული ნაკვეთის ყიდვის სურვილი გააჩნდა, ქმნიდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მან ბინა ნამდვილი ნების საფუძველზე შეიძინა, საპირისპირო მტკიცებულება კი, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა;

12.4. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების დადებისას დაცული იყო ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა. ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეებს, გამყიდველსა და მყიდველს წარმოეშვათ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. პალატის დასკვნებით, საქმის მასალებით, არ დასტურდებოდა, რომ ჯერ პირველი და მეორე მოპასუხე, შემდგომ კი, მეორე და მესამე მოპასუხე გარიგების სხვა შინაარსზე იყვნენ შეთანხმებულები. პალატის მითითებით, რაიმე მტკიცებულება, რაც სადავო გარიგების ნების გამოვლენი სუბიექტების მიერ სხვა გარიგების დაფარვაზე მიუთითებდა, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. უსაფუძვლოა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნები, რომ სადავო ბინას, საკუთრების უფლებით მესამე მოპასუხე ფლობს, ვინაიდან, მითითებული უძრავი ქონება მხოლოდ საკუთრების უფლებით არის რეგისტრირებული მასზე. გასათვალისწინებელია, რომ სადავო ქონებას დღემდე მოპასუხის ოჯახის წევრები ფლობენ.

13.2. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საკუთრების რეგისტრაცია კონკრეტულ პირზე და ქონების ფლობა სხვადასხვა ცნებებია. ის ფაქტი, რომ მესამე მოპასუხე სადავო ბინის ფლობას არასდროს შესდგომია, ადასტურებს სადავო გარიგებების თვალთმაქცურობას და მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული გარიგებების მიზანი მოსარჩელისათვის მის მიერ გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნების შესაძლებლობის მოსპობა იყო;

13.3. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხე, გარიგების მიხედვით, უფლებამოსილი არ ყოფილა, სადავო ბინა გაესხვისებინა;

13.4. სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები და უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილად, რომ მოპასუხე მოსარჩელესთან ერთად ცხოვრობდა და ზრუნავდა მასზე. სადავო ქონების გასხვისების შედეგად, მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, მას არ შეუძლია მედიკამენტებისა და საკვების შექმნა, რათა სიცოცხლე გადაირჩინოს;

13.5. უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნები, რომ მოსარჩელეს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა. მოსარჩელის უფლებები უხეშად დაირღვა, შესაბამისად, მისი მოთხოვნის იურიდიული ინტერესიც, სწორედ ჩუქების ხელშეკრულებისა და მისი თანმდევი მოჩვენებითად დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობაა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის

დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

16. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის უარყოფის თაობაზე სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც ის სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულ ერთმანეთის სანინააღმდეგო არგუმენტაციას ეყრდნობა. ერთი მხრივ, სასამართლომ სავსებით სწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის შეთანხმება არა ჩუქებად, არამედ სამისდღეშიო რჩენად უნდა შეფასებულიყო, მეორე მხრივ კი, სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების ან ამ ქონებაზე უფლების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და, ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნებას, ანუ აღძრული ჰქონდა მიკუთვნებითი და არა აღიარებითი ხასიათის სარჩელი. მართალია, ის იმავდროულად 2015 წლის 17 აპრილის, 2015 წლის 13 ივლისისა და 2016 წლის 28 მარტის ხელშეკრულებების ბათილად ცნობასაც მოითხოვდა, მაგრამ ეს მისი სარჩელის ბუნებას ვერ შეცვლის, რადგანაც გარიგების ბათილობა დამოუკიდებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს, ანუ ამ გარემოების დადგენას სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღება არ სჭირდება. „შესაბამისად, გადანყვეტი-

ლების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება“ (შდრ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების 55-ე-56-ე პუნქტებს და 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების 226-ე პუნქტს, საქმე №ას-121-117-2016 და №ას-664-635-2016). რაც შეეხება იურიდიულ ინტერესს, ის არა მიკუთვნებით, არამედ აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებას უკავშირდება (სსსკ-ის 180-ე მუხლი). აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შეუძლებელია და იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, როგორც ეს მოცემული დავის ფარგლებშია მოთხოვნილი, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ.

მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე №ას-937-887-2015; (იხ. სუსგ-ები №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

18. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე მარტოხელა პენსიონერია, მისი ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ პენსიის სახით მიღებული თანხა – 160 ლარია. მხარეები ერთმანეთის ნათესავები არიან. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს

შორის დადებული გარიგების მიზანი იყო, რომ ამ უკანასკნელს მოსარჩელეზე ეზრუნა და სიცოცხლის განმავლობაში ეპატრონა მისთვის, ასევე, საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლით მატერიალურად უზრუნველყო იგი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პირველი მოპასუხემ მოსარჩელეზე ზრუნავდა კიდევ, თუმცა მათ შორის ურთიერთობა მალევე დაიძაბა, რადგანაც პირველმა მოპასუხემ შეწყვიტა მოსარჩელის მოვლა-პატრონობა და სადავო უძრავი ქონება გაასხვისა. ამრიგად, 2015 წლის 17 აპრილის ხელშეკრულება თავისი შინაარსით არ წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების ჩუქებას, რადგანაც მოსარჩელემ დამაჯერებლად, დასაშვები და სათანადო მტკიცებულებებით დაამტკიცა (იხ. აღწერილობითი ნაწილის მეორე და მომდევნო პუნქტები), რომ პირველ მოპასუხესთან სამისდღე-შიო რჩენაზე (სსკ-ის 941-ე მუხლი) დადო ხელშეკრულება და მას ამ უკანასკნელისათვის საკუთრების გასხვისების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია (სსკ-ის 945-ე მუხლი). ამდენად, პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს ამ ნაწილში და მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მოპასუხესთან სამისდღე-შიო რჩენის სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ხოლო ჩუქების ხელშეკრულების მიზანს, სწორედ, ამ ურთიერთობის ფარგლებში, მარჩენალისათვის სადავო უძრავი ქონების გადაცემა წარმოადგენდა. სსკ-ის 942-ე მუხლის მიხედვით კი, ამ სახის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის წერილობით ფორმასთან ერთად სავალდებულოა მისი საწარმოო წესით დამონება, რაც შესრულებული არ არის. შესაბამისად, მითითებული ხელშეკრულება უცილოდ ბათილია (არა-რა გარიგებაა – სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და 328-ე მუხლის პირველი ნაწილი) და აქედან გამომდინარე, ის ვერ დაედებოდა საფუძვლად საჯარო რეესტრში პირველი მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

19. სსკ-ის 183-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, გამსხვილებელს გააჩნდეს ნივთზე საკუთრების კანონიერი უფლება („საკუთრება კანონიერია და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შექმნა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას“ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება). აღნიშნულიდან გამომდინარე, ბათილია სადავო უძრავ ნივთზე დადებული შემდგომი გარიგებებიც. 2015 წლის 13 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მოპასუხის სახელზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც მან ნივთი არამესაკუთრისაგან შეიძინა და ამის შესახებ მისთვის ცნობილი იყო (სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები). ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა მეორე მოპასუხის მიერ შესაგებლის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის (იხ. აღწერილობითი ნაწილი, პ.9) სამართლებრივი შედეგები, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით. ის მოსარჩელეს არ შედავებია იმაში, რომ მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ფორმალურად განხორციელდა და, სინამდვილეში, მისი ქონების ხელში ჩაგდება უნდოდა პირველი მოპასუხის ცოლისდას – მესამე მოპასუხეს. სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ბოლო წინადადების საფუძველზე სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, რადგანაც მას აღარ ჰქონდა ამ მოქმედების შესრულების უფლება საქმის არსებითად განხილვის დროს. გარდა ამისა, მეორე მოპასუხის არც მოგვიანებით წარუდგენილ შესაგებელშია დამაჯერებლად ახსნილი და დასაბუთებული, თუ რა მიზეზმა განაპირობა ის ფაქტი, რომ მან სადავო ქონება მისი შეძენიდან რამდენიმე თვეში (2016 წლის მარტი) იმავე ფასად (10 000 აშშ დოლარად) მიჰყიდა პირველი მოპასუხის ცოლისდას (მესამე მოპასუხეს).

20. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნებს შემძენების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ 2016 წლის 28 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე არც მესამე მოპასუხეს შეუძენია სადავო ნივთზე საკუთრება, რადგანაც ის პირველი მოპასუხის ცოლისდაა და, აქედან გამომდინარე, არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ მან იცოდა გამსხვისებლის არამესაკუთრების თაობაზე. აღნიშნული პრეზუმფცია მესამე მოპასუხემ სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით ვერ გააქარწყლა. ამრიგად, საჯარო რეესტრში მესამე მოპასუხე არასწორადაა რეგისტრირებული სადავო ნივთის მესაკუთრედ. რადგანაც ამ რეგისტრაციის საფუძველი, 2016 წლის 28 მარტის გარიგება ბათილია, რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და 26-ე მუხლის 1.„ბ“ ქ/კუნქტი) და უნდა აღდგეს რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, რადგანაც მესამე მოპასუ-

ხის მოქმედებით მოსარჩელეს ზიანი ადგება (სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი: იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება).

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

22. კასატორი სსსკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ამდენად, მოპასუხეებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროთ პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის 1 200 (ათას ორასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ვ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ჩ-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ვ. ჩ-ს (პ/ნ) დაუბრუნდეს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: გორის რაიონის სოფელ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი და საჯარო რეესტრში ვ. ჩ. ამ ქონე-

ბის მესაკუთრედ აღირიცხოს;

5. ლ. ჩ-ს (პ/ნ), მ. ჩ-სა (პ/ნ) და ნ. ა-ს (პ/ნ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის 1 200 (ათას ორასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;

6. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1205-1125-2017

24 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ე. ლ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2009 წლის 6 იანვარს დადებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით დამტკიცებული სამისდღეშიო ურთიერთობის შეწყვეტა, ხოლო უძრავი ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის 6 იანვარს მხარეთა შორის დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. მოპასუხემ, როგორც მარჩენალმა, იკისრა მოსარჩელის, როგორც სარჩენის რჩენის ვალდებულება.

3. ხელშეკრულების მიხედვით, მარჩენალი ვალდებულია არჩინოს სარჩენი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. უზრუნველ-

ყოს იგი სრულფასოვანი კვებით, მკურნალობით, ჯანსაღი საცხოვრებელი პირობებით, ჯეროვანი მოვლა-პატრონობით, რაც აუცილებელია ადამიანის ღირსების შესაბამისი ცხოვრებისათვის. თავის მხრივ, რჩენის სანაცვლოდ სარჩენმა, მარჩენალს საკუთრებაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

4. ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე აღირიცხა ბინის მესაკუთრედ, თუმცა მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა და მათ შორის დაიწყო დავა სასამართლოში.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილს მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 1 მაისის განჩინებით გასაჩივრებული განჩინება დარჩა ძალაში.

6. 2011 წელს მოსარჩელემ კვლავ მიმართა სასამართლოს მოპასუხესთან 2009 წლის 9 იანვარს დადებული სამისდღეობო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით. 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის მიხედვით მოპასუხე ვალდებული იყო, 2012 წლის 9 თებერვლამდე გადაეხადა მოსარჩელისათვის 1000 ლარი, ასევე, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით გადაეხადა მოსარჩელის მიერ მოხმარებული ყოველთვიური კომუნალური გადასახადები. მოპასუხე ასევე ვალდებული იყო, შეეძინა მოსარჩელისათვის საჭირო მედიკამენტები და აენაზღაურებინა მკურნალობის ხარჯი.

7. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არ გადაუხადა კომუნალური გადასახადები, არ შეუძენია საჭირო მედიკამენტები, არ აუნაზღაურებია მედიკამენტების ღირებულება ყოველწლიურად 500 ლარის ოდენობით, 2013 წლის 1 იანვრიდან სარჩელი აღძვრამდე (2015 წლის 2 ოქტომბერი) გადახდილი აქვს სარჩო – 50 ლარი მხოლოდ 6 თვის განმავლობაში.

8. მოსარჩელის მითითებით, მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია. ნელინადში 2-3 თვიანი პერიოდულობით უწევს საავადმყოფოში ყოფნა, ხშირად უწევს სასწრაფოს გამოძახება. მკვეთრადაა გაზრდილი მედიკამენტების ხარჯიც. ამდენად, მხარეთა შორის ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელია.

მოპასუხის პოზიცია:

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს, რომელიც მისი ყოფილი დედამთილია, უხდოდა სარჩოს 50 ლარის ოდენობით 2013 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად. მხა-

რეთა შორის არსებობს მრავალწლიანი ურთიერთობა. ზოგჯერ მოსარჩელეს თავად უთქვამს უარი სარჩოს მიღებაზე შვილიშვილის სასარგებლოდ. მოპასუხემ მიუთითა, რომ მორიგების აქტით შეთანხმებული ყოველწლიური მედიკამენტების ხარჯი – 500 ლარის არ წარმოადგენდა მის უპირობო ვალდებულებას, აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელეს წინასწარ უნდა ეცნობებინა შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით და უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ჯანმრთელობის გაუარესება და მედიკამენტების ოდენობის ზრდა არ ადასტურებს მოსარჩელის ვალდებულების შეუსრულებლობას.

10. მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში ცდილობს სარჩელის აღძვრას სასამართლოში, პარალელურად კი ინარჩუნებს მოპასუხესთან კარგ ურთიერთობას, არ იღებს მისგან სარჩოს და ცდილობს შთაბეჭდილების შექმნას, რომ მოპასუხე არღვევს მორიგების აქტით ნაკისრ ვალდებულებებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 6 იანვარს მხარეთა შორის დაიდო სამისდღეობო რჩენის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მარჩენალმა – მოპასუხემ იკისრა სარჩენის – მოსარჩელის რჩენის ვალდებულება, ხოლო სარჩენმა მარჩენალს საკუთრებაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

14. რჩენის პირობები განისაზღვრა ხელშეკრულების მეორე პუნქტით, რომლის თანახმად, 1) მარჩენალი ვალდებულია, სარჩენი არჩინოს სარჩენის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; 2) სარჩო შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე ნატურალური, ან შერეული სახის. რჩენას შეიძლება ჰქონდეს, აგრეთვე, მომსახურების სახე; 3) მარჩენალი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს

სარჩენი სრულფასოვანი კვებით; ბ) უზრუნველყოს სარჩენი სრულფასოვანი მკურნალობით, ჯანსაღი საცხოვრებელი პირობებით, ჯეროვანი მოვლა-პატრონობით, რაც აუცილებელია ადამიანის ღირსების შესატყვისი ცხოვრებისათვის; 4) რჩენას აქვს ყოველდღიური (უნყვეტი) ხასიათი და იგი გრძელდება სარჩენის სიცოცხლის მანძილზე. ამავე ხელშეკრულების მესამე პუნქტით განისაზღვრა მარჩენალისათვის ქონების გადაცემის საკითხი, კერძოდ, რჩენის სანაცვლოდ, სარჩენმა მარჩენალს საკუთრებაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

15. 2009 წლის 6 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა მოპასუხის საკუთრების უფლება.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: 2.1. მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას 2012 წლის 9 თებერვლამდე გადაუხადოს მოსარჩელეს 1000 (ათასი) ლარი ან მოსარჩელის დავალებით გადარიცხოს ხსენებული თანხა მის მიერ მითითებულ ანგარიშზე; 2.2. მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით გადაიხადოს ყოველთვიური კომუნალური გადასახადი, რომელსაც მოიხმარს მოსარჩელე თავის კონკრეტულ მისამართზე; მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას, შეუძინოს მოსარჩელეს ამ უკანასკნელისთვის საჭირო მედიკამენტები და აუნაზღაუროს მედიკამენტების ღირებულება და მკურნალობის ხარჯი არა უმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა ყოველი ერთი წლის განმავლობაში; 2.4. მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას, მოსარჩელეს 2013 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად გადაუხადოს 50 (ორმოცდაათი) ლარი სარჩოს სახით; 2.5. მხარეები აცხადებენ, რომ 2009 წლის 6 იანვარს მათ შორის გაფორმებულ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პრეტენზიები არ გააჩნიათ; 2.6. მოსარჩელე კისრულობს ვალდებულებას, აღარ წაუყენოს მოთხოვნა მოპასუხის სამისდღეშიო რჩენის საგნის (ბინის) დაბრუნების თაობაზე; 2.7. მოსარჩელე იტოვებს უფლებას, მოცემული მორიგების აქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს მხოლოდ მორიგების პირობებით გათვალისწინებული თანხის დაკისრება მოპასუხისთვის.

17. სააპელაციო პალატამ გაიზიარა სასამართლოს მოსაზრება, რომ საკითხის გასარკვევად ერთობლიობაში უნდა შეფასდეს 2009 წლის 6 იანვარს დადებული ხელშეკრულების სპეცი-

ფიკა და მხარეთა შორის 2012 წლის 30 იანვარს დამტკიცებული მორიგების აქტის პირობები.

18. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 941-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ურთიერთობათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა სუბიექტურ განწყობას სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების მიმართ. ერთ შემთხვევაში, ეს არის სარჩენის სურვილი, მის საკუთრებაში არსებული ქონება (ამ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლი) განკარგოს იმდაგვარად, რომ უზრუნველყოს თავისთვის ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა; იყოს უზრუნველყოფილი ცხოვრების სათანადო პირობებით, ჯანსაღი და აუცილებელი კვების პროდუქტებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისათვის სავალდებულო მედიკამენტებით, სათანადო ადამიანური ყურადღებით და სხვა. ერთი სიტყვით, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებას, უმეტესწილად, სწორედ სარჩენი პირის მოლოდინი განაპირობებს, რომ მარჩენალად არჩეული პირისათვის გარკვეული ქონებრივი შეღავათის მინიჭების შედეგად, იგი სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული ცხოვრების პირობებით. ფაქტობრივად, ეს მიზანი განაპირობებს სარჩენის მიერ ქონების განკარგვას ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. თავის მხრივ, ამგვარი სახელშეკრულებო ბოჭვა მარჩენალისათვისაც წარმოშობს პოზიტიურ სამართლებრივ შედეგს. იმ ვალდებულებების პარალელურად, რომელთა შესრულებასაც იგი კისრულობს სარჩენის წინაშე მისი რჩენის ვალდებულების თავისთავზე აღებით, მარჩენალი, საბოლოო ჯამში, ურთიერთობის ნორმალური განვითარების პირობებში, მის მიერ განეული ხარჯის თუ სხვა ადამიანური რესურსის გაღების საკომპენსაციოდ, სარჩენის გარდაცვალების შემდეგ მოიპოვებს სრულ უფლებას, შეუზღუდავ საკუთრების უფლებას სარჩენის ქონებაზე.

19. საგულისხმოა, რომ მატერიალური კეთილდღეობის გარდა, სამისდღეშიო რჩენა ადამიანურ ღირებულებებსაც უკავშირდება, როგორცაა კონტრაქტებს შორის ნდობა, პატივისცემა, მაღლიერების განცდა, ურთიერთობის სურვილი, კეთილგანწყობა და სხვა. ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის ნორმალური განვითარება მეტწილად დამოკიდებულია კონტრაქტის პიროვნების სწორ შერჩევაზე, მასთან არსებულ სულიერ კავშირზე. ამიტომაც რისკი, რომელიც თან ახლავს სამის-

დღეშიო რჩენის ურთიერთობებს, ერთდროულად ორ ასპექტში ვლინდება: ვალდებულების არაჯეროვანი ან საერთოდ შეუსრულებლობა და ადამიანური შეუთავსებლობა.

20. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი ითვალისწინებს ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაუქმების გართულებულ წესს, რაც განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმ სამართლებრივი შედეგით, რაც თან ახლავს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გაუქმებას. ხელშეკრულების გაუქმება წარმოშობს სარჩენის უფლებას, მოითხოვოს გადაცემული ქონების უკან დაბრუნება, რასაც არეგულირებს სსკ-ის 949-ე მუხლი.

21. ამავედროულად, კანონმდებელი უშვებს სარჩენსა და მარჩენალს შორის ურთიერთობის გართულების აღბათობას და ითვალისწინებს მხარეთა უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების წესს.

22. უპირველეს ყოვლისა, ეს ვლინდება საწყის ეტაპზე მარჩენალისათვის ქონების შეზღუდული უფლებებით გადაცემაში, ანუ, მართალია, მარჩენალი კანონით დადგენილი წინაპირობების დაცვის შედეგად მოიპოვებს საკუთრების უფლებას სარჩენის ქონებაზე, თუმცა მხოლოდ შეზღუდული სახით, რაც განკარგვითი უფლებამოსილებების შეზღუდვაში ვლინდება (სსკ-ის 945-ე მუხლი). თავის მხრივ, ეს არის ბერკეტი სარჩენის ხელში, რათა შეინარჩუნოს გადაცემული ქონების საწყისი სამართლებრივი მდგომარეობა იმ შემთხვევისათვის, თუ მხარეთა შორის ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი გახდება.

23. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 941-ე მუხლზე, და განმარტა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვთ მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე არღვევს ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, რის გამოც მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა ან სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს, ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების გაგრძელებას. მითითებული გარემოებების არსებობა (მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა ან არსებობს სხვა არსებითი მიზეზები, რაც უკიდურესად აძნელებდა, ან შეუძლებელს ხდიდა ხელშეკრულების გაგრძელებას) განსახილველ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა, რადგან აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში განხილვით არ დგინდებოდა.

24. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-4 მუხლზე,

რომლის თანახმად შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს მხარის თავისუფლება, მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენაში, კერძოდ, მხარე აღჭურვილია უფლებით, თავადვე განსაზღვროს თუ რა ფაქტებითა და მტკიცებულებებით დაადასტუროს მისი მოთხოვნა, მან საკუთარი შეხედულებით, დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს და გადანყვიტოს თუ რა ფაქტობრივი საფუძვლის მითითებით გამყაროს მისი მოთხოვნის მართებულობა. ამ მხრივ მხარეს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, მიუთითოს ნებისმიერ ფაქტსა თუ მოვლენაზე, რაც მისი აზრით ადასტურებს მისი მოთხოვნის კანონიერებას. საქმის განხილვასა და მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებაში სასამართლოს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, განსაზღვროს მტკიცებულებათა შესაბამისობა – განკუთვნიადობის საკითხი როგორც პროცესუალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და სწორედ ამ საკითხის გადანყვევით უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად მართებულად და დასაბუთებულად აყენებს მხარე ამა თუ იმ მოთხოვნას. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

25. ამასთან, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისათვის მხოლოდ ზეპირი განმარტება არ იყო საკმარისი. ზეპირი განმარტება გამყარებული უნდა ყოფილიყო მტკიცებულებებით. როდესაც მხარეები დავობენ ფაქტობრივ გარემოებაზე (ამ შემთხვევაში, აუტანელი ურთიერთობა და ა.შ. საკითხებზე), ასეთ შემთხვევაში მხარის ვალდებულება იყო, წარმოედგინა სარჩელში ან შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი, დამაჯერებელი მტკიცებულება, რაც სასამართლოს მისცემდა ანალიზის საშუალებას და შეუქმნიდა დამაჯერებელ შინაგან რწმენას.

26. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარე თვითონ განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნასა და შესაგებელს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

27. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის (მონინაალმდევე მხარე) მიერ სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლად სარჩელში მითითებულ გარემოებებზე. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 30 იანვარს მხარეებს

შორის დამტკიცდა მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც მოპასუხე ვალდებული იყო, 2012 წლის 9 თებერვლამდე მოსარჩელისათვის გადაეხადა 1000 ლარი, ასევე, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით გადაეხადა მოსარჩელის ყოველთვიური კომუნალური გადასახადები, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის შეეძინა საჭირო მედიკამენტები და აენაზღაურებინა მკურნალობის ხარჯი არაუმეტეს 500 ლარისა ყოველი წლის განმავლობაში. მოსარჩელემ, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ არ შეასრულა მორიგების აქტით ნაკისრი აღნიშნული ვალდებულებები, მოითხოვა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისა და 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით დამტკიცებული სამისდღეშიო ურთიერთობის შეწყვეტა.

28. სსკ-ის 949-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერ დაადასტურა მათ შორის ურთიერთობის უკიდურესად გაძნელების, აუტანლობის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, განსხვავებით სხვა სახის ხელშეკრულებებისაგან, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის კანონმდებელმა მხარის ნებასთან ერთად, რომ გასულიყო აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი სივრციდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, იმავდროულად სავალდებულოდ მოითხოვა ისეთი გარემოებების არსებობის დადასტურებაც, როგორცაა მათ შორის ურთიერთობის განსაკუთრებულად დაძაბვა, ის, რომ მხარეთა ურთიერთობა რაიმე მიზეზით გახდა აუტანელი იმდაგვარად, რაც შეუძლებელს ხდიდა ხელშემკვრელ მხარეებზე მათ ყოფნას ერთიან სამართლებრივ სივრცეში – სამისდღეშიო ხელშეკრულების ფარგლებში.

29. სააპელაციო პალატამ ამ განსაკუთრებულ საფუძვლად არ ჩათვალა ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც 2009 წლის 6 იანვარს მხარეთა შორის დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, მოსარჩელემ რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით. მეტიც, 2012 წლის 30 იანვარს მხარეთა შორის შედგა მორიგების აქტი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც სასამართლოს განჩინებით იქნა დამტკიცებული. სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის მიღწეული მორიგება, რომელიც შემდგომში ასახვას ჰპოვებს სასამართლო განჩინებაში, წარმოადგენს მათი ინტერესების, ნებასურვილის გამოხატულებას, რის შესრულებასაც მხარეები ნებაყოფლობით კისრულობენ. იგი განსხვავდება სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან იმით, რომ სასამართლოს არსებითი სა-

ხის გადაწყვეტილების მიღებისას შეიძლება მხარე მას არ ეთანხმებოდეს. მორიგება კი, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების განსჯის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას, რომელიც 2012 წლის 30 იანვარს დასრულდა სასამართლოს განჩინებით მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

30. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე გვაქვს მხარეთა შორის სასამართლოს განჩინებით მორიგების აქტის საფუძველზე დამტკიცებული პირობების შეუსრულებლობის შედავებასთან იმ საფუძველით, რომ მხარემ არ შეასრულა სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნასთან.

31. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 2012 წლის 30 იანვრის სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები გათვალისწინებულია თანხობრივად და, შესაბამისად, აღსრულებადია დარღვევის შემთხვევაში.

32. სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე უარის თქმის ძირითადი გარემოების – სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის აუტანელი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ანდა სხვა არსებითი მიზეზების არსებობას, რაც უკიდურესად აძნელებდა ან შეუძლებელს ხდიდა მის გაგრძელებას, მხარე ვერ ადასტურებს, ხოლო 2012 წლის 30 იანვრის სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია, იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

33. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ შეძლო დაედასტურებინა, მხარეთა შორის აუტანელი ურთიერთობის არსებობის ფაქტები. ამდენად, არ არსებობდა სსკ-ის 941-ე მუხლისა და 949-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების წინაპირობები.

კასატორის მოთხოვნა და საფუძველები:

34. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

35. კასატორმა განმარტა, რომ კანონმდებელი უშვებს სარ-

ჩენსა და მარჩინალს შორის ურთიერთობის გართულების აღბათობას და ითვალისწინებს მხარეთა უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების წესს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული ვლინდება სანყის ეტაპზე მარჩინალისათვის ქონების შეზღუდული უფლებებით გადაცემაში, თავის მხრივ, ეს არის ბერკეტი სარჩენის ხელში, რათა შენარჩუნდეს გადაცემული ქონების სანყის სამართლებრივი მდგომარეობა იმ შემთხვევისათვის, თუ მხარეთა შორის ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი გახდება.

36. მხარის მითითებით, სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებით, როდესაც მხოლოდ მოსარჩელეს დაავალა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, გაძნელდა ან შეუძლებელი გახდა ხელშეკრულების გაგრძელება. მოპასუხე კი ყოველგვარი მტკიცების ტვირთისაგან გაათავისუფლა.

37. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სსსკ-ის 131-ე მუხლი და მოპასუხის აღიარება არ ჩათვალა მტკიცებულებად მაშინ, როდესაც მოპასუხე მიუთითებდა, რომ მისთვის ცნობილი იყო მედიკამენტებზე მოსარჩელის მოთხოვნილების გაზრდისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. ასევე, მოპასუხე განმარტავდა, რომ სადავო ბინას იმსახურებდა არა იმიტომ, უხდიდა თუ არა მოსარჩელეს სარჩოს, არამედ იმის გამო, რომ 17 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯი გაიღო მოსარჩელის შვილის საჭიროების გამო. მანვე განაცხადა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება, ედავა სამისდღეშიო ხელშეკრულების გაუქმებაზე.

38. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 949-ე მუხლის დარღვევით მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა არსებობდა. ამასთან, სააპელაციო პალატამ არასწორად არ გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის აღუსრულებელი სახით დაბრუნებას, თუ ქონების მოძიების შემთხვევაში მოვალეს არ აღმოჩნდება მის სახელზე არანაირი ქონება.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორს სახელმწიფო ბაჟის – 1000 ლარის

გადახდა უნდა გადაუვადდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

40. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამონმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

41. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 6 იანვარს მხარეთა შორის დაიდო სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მარჩენალმა – მოპასუხემ იკისრა სარჩენის – მოსარჩელის რჩენის ვალდებულება, ხოლო სარჩენმა მარჩენალს საკუთრებაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

42. რჩენის პირობები განისაზღვრა ხელშეკრულების მეორე პუნქტით, რომლის თანახმად, 1) მარჩენალი ვალდებულია, სარჩენი არჩინოს სარჩენის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; 2) სარჩო შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე ნატურალური, ან შერეული სახის. რჩენას შეიძლება ჰქონდეს, აგრეთვე, მომსახურების სახე; 3) მარჩენალი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს სარჩენის სრულფასოვანი კვებით; ბ) უზრუნველყოს სარჩენი სრულფასოვანი მკურნალობით, ჯანსაღი საცხოვრებელი პირობებით, ჯეროვანი მოვლა-პატრონობით, რაც აუცილებელია ადამიანის ღირსების შესატყვისი ცხოვრებისათვის; 4) რჩენას აქვს ყოველდღიური (უწყვეტი) ხასიათი და იგი გრძელდება სარჩენის სიცოცხლის მანძილზე. ამავე ხელშეკრულების მესამე პუნქტით განისაზღვრა მარჩენალისათვის ქონების გადაცემის საკითხი. კერძოდ, რჩენის სანაცვლოდ სარჩენმა მარჩენალს საკუთრებაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

43. 2009 წლის 6 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა მოპასუხის საკუთრების უფლება.

44. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: 2.1. მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას 2012 წლის 9 თებერვლამდე გადაუხადოს მოსარჩელეს 1000 (ათასი) ლარი ან მოსარჩელის დავალებით გადარიცხოს ხსენებული თანხა მის მიერ მითითებულ ანგარიშზე; 2.2. მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით გადაიხადოს

ყოველთვიური კომუნალური გადასახადი, რომელსაც მოიხმარს მოსარჩელე თავის კონკრეტულ მისამართზე; მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას, შეუძინოს მოსარჩელეს ამ უკანასკნელისთვის საჭირო მედიკამენტები და აუნაზღაუროს მედიკამენტების ღირებულება და მკურნალობის ხარჯი არა უმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა ყოველი ერთი წლის განმავლობაში; 2.4. მოპასუხე კისრულობს ვალდებულებას, მოსარჩელეს 2013 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად გადაუხადოს 50 (ორმოცდაათი) ლარი სარჩოს სახით; 2.5. მხარეები აცხადებენ, რომ 2009 წლის 6 იანვარს მათ შორის გაფორმებულ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პრეტენზიები არ გააჩნიათ; 2.6. მოსარჩელე კისრულობს ვალდებულებას, აღარ წაუყენოს მოთხოვნა მოპასუხის სამისდღეშიო რჩენის საგნის (ბინის) დაბრუნების თაობაზე; 2.7. მოსარჩელე იტოვებს უფლებას, მოცემული მორიგების აქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს მხოლოდ მორიგების პირობებით გათვალისწინებული თანხის დაკისრება მოპასუხისთვის.

45. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ სწორედ მას უნდა ემტკიცებინა ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობების არსებობა. კასატორმა ჩათვალა, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოპასუხის აღიარებითი განმარტებები. აღნიშნული აღიარებითი ხასიათის განმარტებები ადასტურებდნენ, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და დამატებითი მედიკამენტების შექმნის აუცილებლობის თაობაზე.

46. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამარ-

თლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

47. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

48. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად.

49. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის საგანია მხარეთა შორის დადებული სამისდღეშიო ხელშეკრულების შეწყვეტა.

50. მოცემული სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიუთითა სსკ-ის 949-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

51. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძ-

ლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

52. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მიითვებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება.

53. ამდენად, განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელის მტკიცების საგანში შედიოდა იმ გარემოების არსებობის სარწმუნო მტკიცებულების გზით დადასტურება, რომ სამისდღე-შიო ხელშეკრულების კონტრაქტმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც მხარეების ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა და მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულება ობიექტურად შეუძლებელია.

54. აღნიშნული საპროცესო მოვალეობის შესრულების მიზნით, კასატორმა თავისი პოზიციის გასამყარებლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე განგებ არიდებს თავს მის რჩენასა და საჭირო მედიკამენტების შექენას.

55. მხარეთა შორის სამისდღეშიო ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ადასტურებს სასამართლო განჩინება მათ შორის მორიგების დამტკიცების თაობაზე, რომლითაც ზუსტად განისაზღვრა, თუ რა გზითა და საშუალებებითაა შესაძლებელი სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება.

56. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მოსარჩელემ სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დაადასტურა სსკ-ის 949-ე მუხლში ასა-

ხული წანამძღვრებისა, შესაბამისად, სამისდღეშიო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების არსებობა.

57. დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თავისი შინაარსით ემსახურება მორიგების აქტის პირობების შეუსრულებლობის შედავებას. ამდენად, სარჩელში ასახული პრობლემების მოგვარება და მოპასუხის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული იმ სასამართლო განჩინების იძულებით აღსასრულებლად მიქცევის გზით, რომლითაც დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება.

58. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორიგების აქტი თავისი არსით წარმოადგენს, სადავო ურთიერთობის დარეგულირების მიზნით, მხარეთა შეთანხმებას, რომლის დროსაც მხარეთა მიერ ნების გამოვლენა ხდება იმავე სახით, როგორც აღნიშნული განხორციელდა დავის დაწყებამდე გარიგების დადებისას, თუმცა სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ მხარე იღებს ურყევ გარანტიას, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ მორიგების პირობების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება სააღსრულებო სამსახური მიერ. ამისათვის საკმარისია სააღსრულებო ორგანოში სააღსრულებო ფურცლის წარდგენა.

59. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას, რომ 2012 წლის 30 იანვრის სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები გათვალისწინებულია თანხობრივად, შესაბამისად, აღსრულებადია დარღვევის შემთხვევაში და მოსარჩელე დაუბრკოლებლად შეძლებს დარღვეული უფლების აღდგენას სააღსრულებო წარმოების წამოწყების დახმარებით.

60. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

61. კასატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

62. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო

სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძველით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

63. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

64. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

65. სსკ-ის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ გადასახდელი და საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით გადავადებული 1000 ლარის 30% – 300 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ლ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ე. ლ-ეს (პირადი №..) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 300 ლარის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიბეჯელი

1. ნასყიდობა	
ნასყიდობის საგნის ღირებულების ანაზღაურება	3
2. ერთობლივი საქმიანობა	
ამხანაგობის წევრობა	14
3. სესხი	
ვალდებულების შესრულება სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე	25
სესხის თანხის ოდენობის დადასტურება	47
4. ნარდობა	
შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება	73
სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება	86
საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების წარმოშობა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე	100
5. საბანკო გარანტია	
მოთხოვნის წარდგენის ფორმა	115
გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე	115
6. სამისდღეშიო რჩენა	
გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა	184
უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე	196